დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის
30 იანვარი - 5 თებერვალი
N 6 1470
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ავია ჩვენზე!

4






ელიზბარ ჯაველიძე:

## გიული,

კარგად გაიხსენე,
რა ასაკის ხარ და შესაბამისად ჩაიცვი!
რას გავხარ, რა ფუფალას დაემსგავსე?

12



## რა ფრითენზია გაქვთ თქვენ:

2

კასიანოვო, ზელენსკი და საქართველოში მოგრიალე უკრაინელო დეზერტირებო?!



# ხიდიოტობა

8

ამაზე გრძელი, ამაზე დიდი... წალენჯიხის მერს ენახოს ხიდი!



9

## ხანდაზმული თაღლითების განაჩენი ძალაში დარჩა!

ჯუმბერ პატიაშვილი:



## ჟიული შარტავა შევარდნაძემ მოკლა!

15-16





7

# კენედის გველობა

6

# რა «ფრითენზია» გაქვთ თქვენ – კასიანოვო, ზელენსკი და საქართველოში მოგრიალე უკრაინელო დეზერტირებო?!

***სანამ იმის განსჯა-გარკვევას შევუდგებოდეთ, რა ეშმაკი არ ასვენებს საქართველოში უკრაინის ელჩისნაცვალ ანდრეი კასიანოვს, ხუთიოდე წლის წინათ თბილისში მომხდარი ერთი ამბავი უნდა გაგახსენოთ.***

2018 წლის გაზაფხულზე თბილისის ერთ-ერთ უბანში ქართველებსა და ნიგერიელ მიგრანტებს შორის ხელჩართული ჩხუბი მოხდა, რადგან ნიგერიელებმა ქართველ ბავშვებს ფეხბურთის თამაში არ აცალეს და მოედნიდან გაყარეს. ბავშვების მშობლებმა ნიგერიის მოქალაქეებს წაუთაქეს. აიწია სკანდალი. საზოგადოებას ვნებათაღელვამ გადაუარა. ლიბერასტულმა ტელევიზიებმა ცეცხლზე ნავთი დაასხეს და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტს ეთნიკური შუღლის ელფერი მისცეს — ნიგერიელი მიგრანტების მიერ სტადიონიდან გაძევებული ქართველი ბავშვების მშობლებს ქსენოფობიური განწყობები აღმოუჩინეს. მოკლედ, საშარო ამბავი მოხდა და საქმეში ჩარევა თვით თბილისის მერს **კახი კალაძეს** მოუხდა, რომელმაც დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად ამხანაგური საფეხბურთო მატჩი მოაწყო იმავე სტადიონზე, საიდანაც გარეულმა დიდებმა შინაური პატარები გაყარეს. ასე ამოიწურა კონფლიქტი. აგრესია ჩაცხრა. ცუდად დაწყებული ამბის კარგად დამთავრებით ყველა კმაყოფილი დარჩა, ერთი კაცის გარდა.

ჰო, **თბილისში მცხოვრები ნიგერიის მოქალაქე უბანი ჩი** ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გამოვიდა, მთელ საქართველოს თითი დაუქნია და დამტვრეული ქართულით იკითხა — **„რა ფრითენზია გაქვთ თქვენ?“**

ცხაროზდა და მრისხანებდა **ნიგერიელი ჩი** — თბილისის მერმა დაპირისპირებულ მხარეებს ფეხბურთი რომ ათამაშა და შეარიგა, ეგ სულაც არ კმარა, სად არის შინაგან საქმეთა სამინისტრო და რატომ არ სჯის იმ ხალხს, ვინც ნიგერიელებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენაო? **დიდი „ფრითენზიების“ მქონე ნიგერიელი ბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ ქართველებს ტოლერანტობა და ევროპული ფასეულობების მიმდევრობა დაუწუნა — საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ერთი ფერადკანიანი ფეხბურთელი მაინც რატომ არ თამაშობსო?**

თუმცა, **ნიგერიელი უბანი ჩის „ფრითენზიები“** არაფერია იმასთან შედარებით, რა **„ფრითენზიებსაც“** საქართველოს უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული **ანდრეი კასიანოვი** უყენებს!

მაგალითად, **ნიგერიელი ჩის „ფრითენზია“** — საქართველოს ნაკრებში ერთი ფერადკანიანი ფეხბურთელი მაინც რატომ არ თამაშობსო, შეუდარებლად უწყინარი და უვნებელია, ვიდრე **უკრაინელი კასიანოვის „ფრითენზია“** — საქართველომ უკრაინას სამხედრო შეიარაღება უნდა მიაწოდოსო!

სრულიად ცხადი და აშკარაა, რომ ყველა **„ფრითენზია“**, რომელსაც უკრაინის ელჩისნაცვალი **კასიანოვი** ქართულ სახელმწიფოს პერიოდულად უყენებს, ერთადერთ მიზანს ემსახურება — საქართველო დაფიქსირდეს, როგორც უკრაინის სამხედრო მხარდამჭერი და, სულ ცოტა, ირიბად მაინც ჩაერთოს რუსეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში!

გარდა ამისა, უკრაინის ელჩისნაცვლის მიერ ქართული სახელმწიფოსათვის წაყენებული **„ფრითენზიები“** წარმოადგენს **ზელენსკის** ხელისუფლების მცდელობას, პოლიტიკურად იძიოს შური საქართველოს ხელისუფლებაზე, რომელმაც რუსეთს მეორე ფრონტი არ გაუხსნა და ქვეყანა საომარ პოლიგონად არ აქცია!

**ზელენსკის ხელისუფლება** ტყუილად როდი ვახსენეთ!

დიდი გამჭრიახობა ნამდვილად არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ **უკრაინის ელჩისნაცვალი კასიანოვი** პირადი ინციატივით არ მოქმედებს და მისი პირით გახმიანებული „ფრითენზიები“, სინამდვილეში, **ზელენსკის ხელისუფლების „ფრითენზიებია“!**

და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ზელენსკის ხელისუფლება** ბაიდენის **ადმინისტრაციის** ყურმოჭრილი მონაა, მარტივად მივხვდებით — **ქართულ სახელმწიფოს უკრაინის ელჩისნაცვლის პირით „ფრითენზიებს“ კოლექტიური კელი დეზნანი უყენებს!**

ამას უკვე კარგა ხანია, მივეჩვიეთ და, წესით, აღარ უნდა გვიკვირდეს, მაგრამ **ანდრეი კასიანოვის** პირით მოლაპარაკე **ზელენსკის ხელისუფლებამ და მისმა ამერიკელმა ბატონებმა** რამდენიმე დღის წინათ ქართულ სახელმწიფოს ისეთი **„ფრითენზია“** წაუყენეს, თვით **„ფრითენზიების მამა“** — ნიგერიელი **უბანი ჩიც** კი სახტად დარჩებოდა!

კერძოდ, საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა **ანდრეი კასიანოვმა** განაცხადა — **თუ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა აღდგება, უკრაინის ხელისუფლება იძულებული გახდება, საქართველოდან უკრაინის მოქალაქეთა ევაკუაცია მოახდინოსო!**

ელჩისნაცვლის თქმით, რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენის შემთხვევაში საქართველოში დიდი რაოდენობით რუსები შემოვლენ და აქ მცხოვ-



**ნიგერიელი უბანი ჩის „ფრითენზიები“ არაფერია იმასთან შედარებით, რა „ფრითენზიებსაც“ საქართველოს უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული ანდრეი კასიანოვი უყენებს!**



**ბოლოს და ბოლოს, რით ვერ ამოვიდა საქართველო თქვენი ვალიდან, რომელიც საერთოდ არ ჰქონია?!**

**მადლიერების გრძნობა რომ არ გაგაჩნიათ, საქართველო ამას უკვე მიხვდა და შეეგუა, მაგრამ თქვენს „ფრითენზიებთან“ შეგუებას აღარავინ აპირებს!**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



მესმის პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანების რეაქცია, მაგრამ **„ლაგუნა ვერეს“ მოწესრიგება მნიშვნელოვანია, მზადდება კარგი პროექტი და დედაქალაქში მიზიდულობის ახალი ცენტრი გაჩნდება.** მთლიანად ნარჩუნდება „ლაგუნა ვერეს“ ინფრასტრუქტურა, მეტიც, ტერიტორია საკუთრებაში გადმოეცემა მუნიციპალიტეტს. მინდა, მადლობა გადავუხადო **ბიძინა ივანიშვილს,** საქველმოქმედო ფონდ **„ქართუს“.**

„პირველი არხი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**კასიანოვისგან** ასეთ არარელევანტურ განცხადებებს მიჩვეულები ვართ. იმ შემთხვევაში დასჭირდებოდა, ალბათ, **უკრაინელების ევაკუაცია საქართველოდან** კასიანოვს, თუ ჩვენ „ბუკებს“ გავგზავნიდით უკრაინაში, რადგან ეს იქნებოდა საქართველოს პირდაპირი ჩართვა სამხედრო კონფლიქტში.

„აიპრესი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



**კასიანოვმა** საქართველოში მცხოვრებ უკრაინელ ლტოლვილებს უთხრას — **საქართველოდან თქვენს ევაკუაციას ვაპირებო!** მაინტერესებს, როგორ გაასწრებს მათ რისხვას და ვის მოუწევს სასწრაფო ევაკუაცია.

„აიპრესი“

**ვატო შაქარიშვილი**
*„აი ია“-ს თანადამფუძნებელი*



**კასიანოვი** ამჯერად უკვე საკუთარ ხალხს ემუქრება, რომ **მეორედ აქცევს ლტოლვილებად, ვისაც მისი ბოსების „დამსახურებით“ ერთხელ უკვე მოუწია იძულებით გადაადგილება.** საინტერესოა, ამ განცხადებამდე ერთ უკრაინელს მაინც თუ ჰკითხა აზრი, თუ იცის მათი ყოფის შესახებ?!

„იმედინიუსი“

რები უკრაინელების უსაფრთხოებას დაემუქრებიან!

**ასეთი აბსურდული, პროვოკაციული და ქართული სახელმწიფოს დამამცირებელი განცხადება თვით უაღრესად „ფრითენზიულ“ კასიანოვსაც კი აქამდე არ გაუკეთებია!**

ცხადია, უკრაინის ელჩისნაცვალმა მშვენივრად იცის, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოს ათეულათასობით უკრაინელმა და რუსმა შეაფარა თავი, მაგრამ დღემდე ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, ერთმანეთში რაიმე კონფლიქტი მოსვლოდეთ. პირიქით, უკრაინიდან ომს გამოქცეული უკრაინელები და რუსეთიდან სამხედრო მობილიზაციას გამოქცეული რუსები საქართველოში მშვენივრად თანაცხოვრობენ, ერთად ქეიფობენ, ერთად ერთობიან და ერთმანეთს უბატონოდ არ სცემენ ხმას.

მართალია, **უკრაინის ელჩისნაცვალი კასიანოვი** მთლად ბრძენის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მაგრამ არც ისეთი სულელი ჩანს, რომ არ იცოდეს — რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ავიარეისების აღდგენა ცხოვრებასა და საქმეს გაუმარტივებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც დღეს რუსეთში გაფრენა მხოლოდ ერევნიდან ან ბაქოდან შეუძლიათ, რაც მათთვის არამხოლოდ ზედმეტი წვალება და დროის კარგვა, არამედ ზედმეტი ხარჯიც არის.

**პირდაპირი ფრენების აღდგენა ასევე დიდი შვება იქნება რუსეთში მცხოვრები მილიონამდე ქართველისათვის, რომელიც საქართველოსთან არამხოლოდ გენეტიკურად და ემოციურად, არამედ ეკონომიკური საქმიანობითაც არიან დაკავშირებული.**

სხვა თუ არაფერი, რუსეთი საქართველოს ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორია და ქართული პროდუქციისათვის ერთ-ერთ უმსხვილეს საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს, რის გამოც მასთან პირდაპირი ავიამიმოსვლის არსებობა ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

თუმცა, **უკრაინის ელჩისნაცვალ კასიანოვს** საქართველოს მოქალაქეებისა და ქართული ეკონომიკის ბედი რაში ანაღვლებს? **მისთვის და მისი ხელისუფლებისათვის მთავარია, რაც შეიძლება მეტად ავნონ ქართულ სახელმწიფოს, რომელმაც სუვერენული ხმის ამოღება გაბედა და საკუთარი ეროვნული ინტერესები, საკუთარი მოსახლეობის სიმშვიდე და უსაფრთხოება უკრაინის ხელისუფლებისა და მისი ევრო-ამერიკელი ბატონების ინტერესებზე მაღლა დააყენა!**

უტიფრობამდე **„ფრითენზიული“ კასიანოვი** მის მიერ გაკეთებული პროვოკაციული განცხადების შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ახსნა-განმარტებისათვის დაიბარეს და, როგორც ჩანს, მკაცრადაც ჰკითხეს — **აბა, რა „ფრითენზია“ გაქვსო?!** ყოველ შემთხვევაში, საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამოსულმა უკრაინის ელჩისნაცვალმა პატრუქს ჩაუწია და თავის მართლება სცადა — **ჩემი ნათქვამი მედიამ კონტექსტიდან ამოგლეჯილად გაავრცელაო!**

სინამდვილეში, **„ფრითენზიული“ ელჩისნაცვლის** განცხადება კონტექსტიდან არავის ამოუგლეჯია და მან ზუსტად ის თქვა, რაც თქვა!

დარწმუნებული ვართ, **კასიანოვი** მომავალშიც გააგრძელებს საქართველოსთვის თავხედური **„ფრითენზიების“** წამოყენებას, მაგრამ ყოველი ასეთი პროვოკაციის შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ მას ყური უნდა აუწიოს და **„ფრითენზიები“** უკან წააღებინოს!

რაც შეეხება საქართველოდან უკრაინის მოქალაქეების ევაკუაციას, **კასიანოვსა და მის ხელისუფლებას** თუ ძალიან უნდათ, იმ ჯეელი უკრაინელი დეზერტირების ევაკუაციით დაიწყონ, რომლებიც თავიანთი მიწა-წყლის დაცვის მაგივრად, საქართველოში დაგრიალებენ და თან ქართულ სახელმწიფოს **„ფრითენზიას“** უყენებენ — უკრაინას იარაღით რატომ არ ეხმარებიო?

ბოლოს და ბოლოს, მართლა **რა „ფრითენზია“ გაქვთ თქვენ — კასიანოვო, ზელენსკი და საქართველოში მოგრიალე უკრაინელო დეზერტირებო?!**

ბოლოს და ბოლოს, რით ვერ ამოვიდა საქართველო თქვენი ვალიდან, რომელიც საერთოდ არ ჰქონია?!

მადლიერების გრძნობა რომ არ გაგაჩნიათ, საქართველო ამას უკვე მიხვდა და შეეგუა, მაგრამ **თქვენს „ფრითენზიებთან“ შეგუებას აღარავინ აპირებს!**

ასე რომ, **თქვენი „ფრითენზიები“** თქვენთვისვე შეინახეთ და მთლად ნუ გააფრენთ, სანამ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები აღდგება!

**ჯაბა ხუბუა**



**სააკაშვილს ზელენსკობა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა ზელენსკი პრეზიდენტი კი არა, შოუ-ბიზნესის მასხარა იყო!**





# სააკაშვილს სურდა, რომ ზელენსკი ყოფილიყო!

***თუ სააკაშვილი აქამდე ამტკიცებდა — 2021 წლის შემოდგომაზე საქართველოში იმიტომ შემოვიპარე, რომ ქვეყანა ივანიშვილის პრორუსული რეჟიმისაგან გამეთავისუფლებინა და ქართველი ერი დაღუპვისგან მეხსნაო, ახლა გერმანულ გამოცემა „შპიგელთან“ ინტერვიუში ამბობს — არ გამოვრიცხავ, რომ ის ხალხი, რომელმაც 2021 წლის ოქტომბერში ჩემი საქართველოში დაბრუნება დაგეგმა, რუსეთის აგენტები იყვნენო!***

აქეთ სააკაშვილის დედა **გიული ალასანია** აცხადებს — **ჩემი შვილი უკრაინიდან საქართველოში იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ კრემლს არ უნდოდა, მიშა ზელენსკის გვერდით ყოფილიყო იმ დროისათვის, როცა უკრაინაში ომი დაიწყებოდაო!**

ესე იგი, დედაც და შვილიც ამტკიცებენ, რომ არაჟნიან კონტეინერში დამალვა და საქართველოში შემოპარვა სააკაშვილის მხრიდან თავგანწირული პატრიოტული აქტი და სამშობლოს გათავისუფლების მცდელობა კი არ ყოფილა, როგორც ამას აქამდე ლაპარაკობდნენ, არამედ **საწყალი მიშიკო, თურმე, რუსულ სპეცსამსახურებს გაუცუცურაკებიათ და საქართველოში მოტყუებით ჩამოუყვანიათ.**

მოკლედ, **მიხეილ სააკაშვილი** და **გიული ალასანია** ხან ისე ურიკინებენ და ხან ასე უპიპინებენ!

ერთადერთი, რაც უეჭველია და რაზეც არ შეიძლება, ორი აზრი არსებობდეს, ის არის, რომ **ელგუჯა ცომაიას** ტრაილერში არაჟნებთან ერთად ჩადებული სააკაშვილის საქართველოში შემოტანა, ყველა ვარიანტში, ქვეყნის არევ-დარევასა და უბედურების დატრიალებას ემსახურებოდა.

დიახ,

## რუსეთის სპეცსამსახურების ჩარევითა თუ მათი ჩარევის გარეშე, სააკაშვილი საქართველოში იმისათვის შემოიპარა, რომ სურდა, ზელენსკი ყოფილიყო!

**სააკაშვილიც სიამოვნებით იქნებოდა თანახმა, რუსეთს საქართველოში ისეთი მასშტაბის უბედურება დაეტრიალებინა, როგორსაც დღეს უკრაინაში ვუყურებთ, ოღონდ ზელენსკის მსგავსი საერთაშორისო პოპულარობა მოეპოვებინა და მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში ჩაწერილიყო!**

2008 წლის აგვისტოში **სააკაშვილმა ზელენსკობა** ვერ მოასწრო, რადგან ომი ორიოდე დღეში დასრულდა და, შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით იმხელა რეზონანსი ვერ გამოიწვია, როგორსაც დღეს უკრაინის ომთან დაკავშირებით ვხედავთ.

**2008 წელს სააკაშვილს არ მიეცა საშუალება, ზელენსკივით პირდაპირი ვიდეოჩართვები ჰქონოდა ამერიკის სენატში, გერმანიის ბუნდესტაგში, დიდი ბრიტანეთის პარლამენტში, გაეროს, ევროკავშირისა თუ ევროსაბჭოს სხდომებზე!**

**2008 წელს,** ომის დღეებში, სააკაშვილისათვის ხელის ჩამოსართმევად და მასთან ფოტოების გადასაღებად თბილისში არ ჩამოსულან ამერიკისა და საფრანგეთის, ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის პრეზიდენტები, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, გერმანიის კანცლერი და სხვა დიდებული გვამები, რომლებიც ახლა პერიოდულად ჩააკითხავენ ხოლმე ზელენსკის კიევში.

**2008 წელს სააკაშვილსა და მის ცოლს სანდრა რულოვსს არ გამოუჩნდათ შანსი, ეპოზიორათ მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილი ჟურნალ-გაზეთების, მათ შორის, ბულვარული გამოცემების გარეკანებზე, როგორც ამას დღეს ზელენსკი და მისი ცოლი აკეთებენ!**

მოკლედ, 2008 წელს რუსეთთან ორდღიანმა ომმა სააკაშვილს ისეთი საერთაშორისო აქტუალობა ვერ შესძინა, როგორიც დღეს ზელენსკის აქვს!

მერე რა, რომ ეს უკრაინის ნგრევა-რღვევისა და უკრაინელი ხალხის მოთქმა-გოდების ფონზე ხდება?

**სააკაშვილიც სიამოვნებით იქნებოდა თანახმა, რუსეთს საქართველოში ისეთი მასშტაბის უბედურება დაეტრიალებინა, როგორსაც დღეს უკრაინაში ვუყურებთ, ოღონდ ზელენსკის მსგავსი საერთაშორისო პოპულარობა მოეპოვებინა და მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში ჩაწერილიყო!**

**დაე, ყოფილიყო საქართველოში ბუჩა და მარიუპოლი, ბახმუტი და სოლედარი, ოღონდ სააკაშვილი გამხდარიყო ზელენსკი!**

თქვენ წარმოიდგინეთ, **სააკაშვილს ზელენსკობა** ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა ზელენსკი პრეზიდენტი კი არა, შოუ-ბიზნესის მასხარა იყო!

დიახ, **ზელენსკიზმი,** როგორც საკუთარი ქვეყნის უბედურების ხარჯზე მსოფლიო პოპულარობის მოპოვებისა და ამით თვითტკბობის სინდრომი, **სააკაშვილს ჯერ კიდევ მაშინ სჭირდა, როცა მასხარა ზელენსკი რუსული ესტრადის სცენიდან რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ართობდა და ამხიარულებდა, მათ შორის, პიანინოზე ცოცარით დაკვრით!**

მოკლედ რომ ვთქვათ, **ზელენსკიზმი** — ეს **ჰეროსტრატეს სინდრომის** ერთგვარი მოდიფიკაციაა, რომლითაც სააკაშვილი ყოველთვის იყო შეპყრობილი და რაკი 2008 წელს მისი სრულად გამოვლენა ვერ შეძლო, ამ დანაკლისს აუცილებლად აინაზღაურებდა ახლა, არაჟნიანი ტრაილერიდან რუსთავის ციხეში რომ არ მოხვედრილიყო!

**თბილისში უკვე წლებია, ჭორად დადის, თითქოს ერთხელ ზურაბ ადეიშვილს პრივატულ წრეში სააკაშვილის შესახებ ეთქვას — მაგას პირველობა და ყურადღების ცენტრში ყოფნა ისე უყვარს, სულ უნდა, რომ გასვენებაში მიცვალებული იყოს და ქორწილში — პატარძალიო!**

დანამდვილებით არავინ იცის, სად, როდის და რა ვითარებაში დაახასიათა ასე **ადეიშვილმა** სააკაშვილი, მაგრამ მთავარია, რომ მის მიერ დასმული ლაკონიური და გონებამახვილური დიაგნოზი აბსოლუტურად ზუსტია.

**ადეიშვილს, უკიდეგანო ბოროტებასა და უკეთურობასთან ერთად, ჭკუა ნამდვილად არ აკლია და, როგორც ჩანს, თავიდანვე არ გამოეპარა, რომ სააკაშვილი ზელენსკიზმით იყო შეპყრობილი!**

ადეიშვილმა, რომელიც ახლა ქართულ მართლმსაჯულებას უკრაინაში ემალება და ზელენსკის შორიახლოს ტრიალებს, ალბათ, ისიც კარგად იცის, რომ **ზელენსკიზმით** შეპყრობილნი თავიანთ პოლიტიკურ კარიერას ისე ცუდად და სამარცხვინოდ ამთავრებენ, როგორც ახლა — „ვივამედის“ ოროთახიან პალატაში მოკოტრიალე სააკაშვილი, რომელიც, ბოროტი ენების თქმით, **საკუთარ ფეკალიებს ამრგვალებს და მედპერსონალს ესვრის,** ამისგან თავისუფალ დროს კი საწოლიდან თავის გადმოგდების ხერხებს ამუღამებს.

**სააკაშვილი ზელენსკიდ ვერ იქცა, მაგრამ, ემანდ, ზელენსკი არ იქცეს სააკაშვილად!**

**იქნებ ადეიშვილმა გააფრთხილოს!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



მზადდებოდა ოპერაცია უკრაინაში და ამ დროს **სააკაშვილი** არ უნდა ყოფილიყო **ზელენსკის** გვერდით — კრემლმა ამ ამოცანას მიაღწია და ჰყავთ ახლა გამოკეტილი წელიწადი და ოთხი თვეა.

„ინტერპრესნიუსი“

**ვანო მერაბიშვილი**
*შს ყოფილი მინისტრი*



წარსულში **შეცდომები დამიშვია,** მაგრამ პასუხისმგებლობას არასოდეს გავქცევივარ. **სამარტოო საკანში გატარებულმა 7 წელმა ბევრი** დრო მომცა, მათ შორის, საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებისათვის.

**რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას** ხშირად სწორედ ის ხალხი მაბრალებს, ვისაც მთელი თავისი ბიოგრაფია სავსე აქვს ჩვენი ქვეყნის მტრებთან პირდაპირი თუ ირიბი კოლაბორაციის მაგალითებით.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვსტყორცნე“** — ამ „ობრაზშია“ ჩემი **„ხაბე“.** ნაცმოძრაობაში ყველა **ავთანდილია,** რომ ჰკითხო, **ტარიელი** ერთი ჰყავთ!

„ინტერპრესნიუსი“

# აკია ჩვენზე!

*ცნობილი ფრანგი ავანგარდისტი და სიურრეალისტი, მწერალი და დრამატურგი ჟან კოქტო წერდა — საუკეთესო სპექტაკლი ძაღლებისთვის იქნება, გაიხსნას ფარდა და სცენაზე გამოჩნდეს ძვალი!*

წინა კვირას სწორედ ასეთი სპექტაკლი მოიწყვეს სააკაშვილის პოლიტიკური საძაღლეთის სადომაზოხისტებმა რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლის წინ, სადაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი, სამარცხვინო და საბედისწერო სამხედრო-კრიმინალური დრამა გათამაშდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დიდებული **ნიკო ლორთქიფანიძისა** არ იყოს, **„ყველაფერი ჩატარდა ძველებურათ, სულ ძველებურათ, ისე როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან“,** მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, თუ ადრე საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ალამდარობას ძირითადად შევარდნაძისა და მისი „კასსირის“ **ბურამ მგელაძის** „კარმუშკაზე“ ჩამოკიდებული ბანდიტები იჩემებდნენ, ახლა ეს „უკვდავი მისია“ ძირითადად გეი-მანიფესტზე ხელმომწერმა პარტიებმა იტვირთეს და გამოგვიცხადეს — **საქართველოში ისეთ ეროვნულ მოძრაობას დავიწყებთ, 24 თებერვალს ქვეყანას დავაქცევთო!**

ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა ჩემი დროის სტუდენტმა და შემდეგ უკვე შევარდნაძის ნაგუბერნატორალმა **გედეონ ფოფხაძემ,** რომელიც სადაც კი ჩავა, **რიხტერის შკალით** სუყველგან ცხრაბალიან პოლიტიკურ მიწისძვრას იწვევს... დიახ, სწორედ **გედეონ ფოფხაძემ თუ გედეონ რიხტერმა** განაცხადა — **24 თებერვალს ამ ხელისუფლებას განაჩენს გამოვუტანთო!**

მოკლედ, ორშაბათს, 2023 წლის 23 იანვარს, სამი გეიპარტია და მასთან გათანაბრებული პირები სწორედ ამ მიზნით შეითქვნენ... კრებაზე ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივდნენ სოფელ ატოცთან შარვალჩახდილი **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე,** რუსული „ეფესბეს“ მიერ მილიონებით დაფინანსებული „მრგვალი ბაღის“ ტურფა — **ლიაკა ხოშტარია და ჭიჭე ვაშაძე „ალმაშენებელი“,** რომელმაც 2022 წლის შემოდგომაზე სულ შიფერები და კრამიტები დალეწა, ისეთი „ცხელი“ პოლიტიკური სეზონი ჰქონდა. იმედია ჭიჭე ვაშაძე უქმად არც თებერვალში იქნება და შიფერებისა და კრამიტების შემდეგ ბუს კვერცხებსაც დაამტვრევს.

ტელეკამერების ცენტრში იმთავითვე მოექცა **დიდი ქართველი სტრატეგოსი, პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძე,** რომელმაც სამხედრო წოდება, თუ არ ვცდები, აბაშის ან ფოთის აღების გამო მიიღო. სწორედ უავგუსტესი აკიას არგეს თავყრილობის გახსნის პატივი, რომელმაც **გეი-პარტიებით დამშვენებული** „ეროვნული მოძრაობის“ დაწყება აკურთხა და განაცხადა — **საქართველოში პუტინისტური რეჟიმი უნდა შეიცვალოს და ჩვენს უკრაინელ ძმებს გვერდით უნდა დავუდგეთო!**

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, **აკია ბარბაქაძე** კომუნისტების დროს ქარელში ტკბილ-ტკბილ „პონჩიკებს“ აცხობდა და ქვეყანას ჯერ კიდევ არაფერს ვნებდა, მაგრამ მერე, როცა გვარდიაში დურთა თავი და **თენგიზ კიტოვანისთვის** „პივების“ ზიდვა დაიწყო, პოლიტიკური ამბიციებიც მოეძალა და როლებში შეჭრილმა სამეგრელოში საშინელებები დაატრიალა. **აკიამ და მისთანებმა იმ არეულობის წლებში არამხოლოდ მეგრელ გლეხს, არამედ სამეგრელოში თავისუფლად მოკუნტრუშე თხებსა და გოჭებსაც შეუტიეს და სუყველა მძევლად აიყვანეს, ხოლო ბრძოლის ველზე სწორედ თხებივით და გოჭებივით გაგორდნენ და, მოღალატე შევარდნაძის ბრძანებით, ყველაფერი მიატოვეს!** სოციალურ ქსელებში უკანასკნელ ხანს გავრცელდა აწ განსვენებული გენერლის **ბუჯარ ყურაშვილის** ინტერვიუ, სადაც ის დეტალურად საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ მიატოვეს **აკია ბარბაქაძემ და მისთანა „სტრატეგოსებმა“** ბრძოლის ველი და კბილებამდე შეიარაღებული ხუთასი კაცით დათმეს სტრატეგიული პოზიცია, რამაც ოჩამჩირისა და გალის დაკარგვა გამოიწვია.

**როგორ ფიქრობთ, საითკენ გაიქცნენ „მეპონჩიკე“ აკია და მისი ხუთასკაციანი რაზმი ბრძოლის ველიდან? დიდი ალბათობით, სამეგრელოსკენ, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, დაწიოკება და ზვიადისტებზე ნადირობა შევარდნაძის მიერ წახალისებული და ნაკურთხი იყო!**

სწორედ **„მეპონჩიკე“ აკია ბარბაქაძისა** და მისთანა ბანდიტების დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით დაახლოებით 12 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია აქვს დაკარგული. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ერს, რომელსაც ჰყავს ე.წ. **„გენერლები“,** რომელთაგან ზოგს **„ლუსტრას“** ეძახიან, ხოლო ზოგს — **„სიმკარას“,** დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, თვით მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს. **„ლუსტრას“** იმას ეძახიან, ვინც სამეგრელოში, ერთ-ერთ ოჯახში ჭერიდან ძვირფასი ჭაღი, ანუ „ლუსტრა“ ჩამოხსნა და თბილისში, თავის სახლში ჩამოკიდა, ხოლო **„სიმკარა“** ის „გენერალია“, რომელმაც სამხედრო ბაზა დაშალა და სიმკარები გაყიდა...

აკიას შემდეგ ილაპარაკა **გეი-მანიფესტზე ხელმომწერმა ჭიჭე ვაშაძემ,** მერე **ლიაკა ხოშტარიამ,** ხოლო შემდეგ **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ,** რომელიც კეთილშობილ და აღმატებულ გვარს არცხვენს! **სოფელ ატოცთან შარვალჩახდილმა და უკანალამღერებულმა ზურაბ-გირჩმა ძალიან ბევრი ისაუბრა „ღირსებასა“ და „თავმოყვარეობაზე“, რასაც მის გვერდით მდგომნი ურცხვად ისმენდნენ, განსაკუთრებით ისტორიკოსი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი ბეჟან ჯავახია,** რომელმაც მშვენივრად იცის, რომ სოლომონ პირველმა და ერეკლე მეორემ 1757 წელს სოფელ ატოცთან ლეკთა 8-ათასიანი ლაშქარი პირწმინდად გაანადგურეს და მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს!

სხვათაშორის, მოვლენები ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება, **ბეჟან ჯავახია,** რომელიც ზვიადისტობას იჩემებს და რომელმაც წინა ხუთშაბათს „ჭუტელვიზიაში“ უხერხულ ადგილზე წაგვკბინა, შესაძლოა, არათუ **ზვიად გამსახურდიას მომხრეთა თავებზე მონადირე აკიას ძმადნაფიცი,** არამედ, საერთოდ ახალი გეი-მანიფესტის ავტორი გახდეს და ზურაბ-გირჩის უკანალის სადიდებლად ხოტბა აღავლინოს!

აღარაფერს ვამბობთ **ბიმურზა აფრასიძის** შესახებ, რომელმაც ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ბევრი იწვალა და ბოლოს სამარცხვინოდ დაამთავრა — **სოფელ ეცერში თავისი სისხლისა და ხორცის, ევგენი აფრასიძის ოჯახის ამომწყვეტი სააკაშვილისა და ბარამიძის „მაოხრებელ ცქირად“ იქცა!** კაცი რომ **აფრასიძე** იქნები და გიორგი ბარამიძის პარტიისთვის სინდის-ნამუსზე ხელს აიღებ, არ ხარ ღირსი, ისევე ამოგთხარონ, როგორც ვანო მერაბიშვილმა სოფელ ეცერის სასაფლაოზე ორასი-სამასი წლის წინათ დასაფლავებული სვანი ვაჟკაცები ამოთხარა და ურცხვად გამოგვიცხადა — **ლევან ქალაძის** ცხედარი ვიპოვეთო?!

ტელეკამერების ცენტრში იმთავითვე მოექცა **„შეფურთხების პროფესორი“ და 853 წლის 5 აგვისტოს თბილისის გადამბუგველი არაბი სარდლის ბუღა-თურქის სულიერი შთამომავალი, დიდი ქართველი „ტუალეტის მჯღაბნელის“ ლაშა ბუღაძის მამა გია ბუღაძე. მხატვარმა ბუღაძემ,** რომელმაც წლების წინათ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ერთმანეთისთვის სახეში აფურთხებინა, ბევრი იბჟუტურა და საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებაც დააანონსა, მაგრამ მთელი მისი ნაბჟუტურევიდან მხოლოდ მისი **ულვაშების ცმაცუნილა** დაგვამახსოვრდა.

მოკლედ, **ლაშა ბუღაძისა** არ იყოს, **მამამისი გია ბუღაძე და მთელი მისი „პასაჟირები“ მართლაცდა „მაგარ მძღ...ში“ არიან!** (ცენზურა ჩვენია. რედ.)

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშა დიდმა ილიამ აღმართა... მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ეს დროშა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გადაიბარეს. მათი ბრძოლა მერაბის საეჭვო ავტოკატასტროფით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ქვეყნის დაშლით და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობით დასრულდა...

**დღეს საქართველოში „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა“ დაირქვეს, ამ საქმის ავანგარდში ჩადგნენ და ერთმანეთში სააკაშვილის ნეხვის გორგალივით აიზილნენ გეი-პარტიები, ზვიადის მკვლელები და ზვიადისტებად სახელდებულნი.**

მერედა, რა იქნება ამ საქმის ბოლო? ცხადია, ქვეყნის ზუსტად ისეთივე აყროლება, როგორც სააკაშვილმა კლინიკა „ვივამედის“ ოროთახიანი პალატა ააყროლა!

ვიცი, ბოლოს როგორც დამთავრდება ეს ყველაფერი — **აკია ბარბაქაძე მთელ „ეროვნულ მოძრაობას“ ან თბილისის ზღვაზე აიყვანს და იქ დააყაჩაღებს, ანდა დაშლილებში ჩააბარებს და კიტოვანს „პივას“ მაინც აუტანს!**

ველოდებით, როდის მიეტმასნება ამ მოძრაობას **კიდევ ერთი „გენერალი“, რომელიც დღეს გატრუნულია, მაგრამ თავის დროზე კიტოვანის მეძალლედ მუშაობდა...**

საქართველომ რა დააშავა, თორემ რაც ხდება, მართლაცდა, **აკია ჩვენზე!**

***დიტო ჩუბინიძე***



აკია ბარბაქაძემ და კომპანიამ ახალი „ეროვნულ-გამათავისუფლებელი“ მოძრაობის დაწყება გამოაცხადეს!





**ლაშა ბუღაძისა არ იყოს, მამამისი გია ბუღაძე და მთელი მისი „პასაჟირები“ მართლაცდა „მაგარ მძღ...ში“ არიან! *(ცენზურა ჩვენია. რედ.)***



მალხაზ მაჩალიკაშვილი, აკია ბარბაქაძე და გიორგი ვაშაძე

## როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, აკია ბარბაქაძე კომუნისტების დროს ქარელში ტკბილ-ტკბილ „პონჩიკებს“ აცხობდა და ქვეყანას ჯერ კიდევ არაფერს ვნებდა!

# ისევ ქვემორე ხელისმომწერთა შესახებ


ჩვენ, ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები

ვთანხმდებით, რომ

WE, THE SIGNATORY POLITICAL PARTIES

RECOGNIZE THAT HOMOPHOBIA IS A SIGNIFICANT CHALLENGE IN GEORGIA BECAUSE PEOPLE OFTEN EXPERIENCE VIOLENCE, DISCRIMINATION OR STIGMA BASED ON THEIR SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY;

DECLARE OUR DESIRE TO LIVE IN A STATE WHERE ALL HUMAN BEINGS ARE EQUAL BEFORE THE LAW, REGARDLESS OF THEIR SEXUAL ORIENTATION OR GENDER IDENTITY;

UNDERSTAND THAT WE CAN PLAY AN IMPORTANT ROLE IN OVERCOMING HOMOPHOBIA THROUGH PARLIAMENTARY AND NON-PARLIAMENTARY POLITICAL ACTIVITIES.

WE AGREE THAT

- USING ALL MECHANISMS AT OUR DISPOSAL, INCLUDING RELEVANT LEGISLATIVE ACTIVITIES AND PARLIAMENTARY OVERSIGHT, WE WILL FIGHT TO ELIMINATE DISCRIMINATION AND VIOLENCE AGAINST LESBIAN, GAY, BISEXUAL, TRANSGENDER AND GAY PEOPLE IN GEORGIA;
- WE WILL PROTECT THE RIGHT TO PEACEFUL ASSEMBLY AND THE FREEDOM OF EXPRESSION OF ALL HUMAN BEINGS, REGARDLESS OF THEIR SEXUAL ORIENTATION OR GENDER IDENTITY IN ACCORDANCE WITH THE CONSTITUTION OF GEORGIA AND INTERNATIONAL HUMAN RIGHTS STANDARDS;
- WE WILL NOT ALLOW OUR REPRESENTATIVES TO USE HATE SPEECH AND INCITE SOCIAL STRIFE IN THE POLITICAL PROCESS ON THE BASIS OF SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY.

TBILISI PRIDE

***ერთგან რომ ვთქვით და ლამის ცა და ქვეყანა შევძარით — ვინც 2023 წლის 23 იანვარს რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლის წინ, „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის“ დაწყება გვამცნო, იმ ოთხი კაციდან სამი გეი-პარტიის ლიდერია, ხოლო ერთი გაბანდიტებული „მეპონჩიკეა“-მეთქი, კინაღამ ჯვარს გვაცვეს და არ დაგვიჯერეს — ტყუილია, აკია ბარბაქაძე „მეპონჩიკე“ და ბანდიტი კი არა, გმირია, ხოლო ჭიჭე ვაშაძე „აღმაშენებელი“, ლიაკა ხოშტარია და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე მაგ აქოთებულ „პედორასტებს“ (ცენზურა ჩვენია. რედ.) ხელს არაფერზე მოუწერდნენო!***

## ერთადერთი დიდი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელმომწერთა შორის არსად იძებნებოდა, „ქართული ოცნება“ გახლდათ, თორემ დანარჩენი სუყველა ან სოფელ ატოცთან შარვალჩახდილი იყო, ანდა ალამუტელ-ბახმუტელი!

რომ ვუთხარი — **შარვალჩახდილი ზურაბ-გირჩი და ვაშაძე-ხოშტარია კი არა, ე.წ. გეი-მანიფესტს თვით ნაცმოძრაობამ და მამუკა ხაზარაძემაც კი მოაწერეს ხელი-მეთქი,** ამაზე სულ გაგიჟდნენ და აიჯაგრნენ — **მამუკა მაგას როგორ იკადრებდა, მთელი ცხოვრება ლოცულობს და მარხულობს, თუმცა, იმდენი იმარხულა, იმდენი იმარხულა, ნახევარი საქართველო ცოცხლად დამარხა და ხალხს დასამარხი ფულიც კი ქვეშაგებიდან გამოუღოო!**

სხვა რომ ვერაფერი გავაწყვეთ, შევედით „გუგლის“ საძიებო სისტემაში და ჩავწერეთ ასეთი სიტყვები — **„პარტიებმა ხელი მოაწერეს გეი-მანიფესტს“** და 2021 წლის 16 მაისის ამბებში უმალ ვიპოვეთ ცნობა იმის შესახებ, რომ მესაჯდომეთა ბრიგადა — „თბილისი პრაიდი“ სიხარულს ვერ მალავდა და ცასა და ქვეყანას ულოცავდა — **დღეს თხუთმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ ლგბტ უფლებებზე პოლიტიკურ შეთანხმებას მოაწერა ხელიო!**

ჩამოვყევით ცნობას და მაშინვე გამოჩნდა ე.წ. გეი-მანიფესტზე ხელმომწერი თხუთმეტივე პარტიის ჩამონათვალიც! როგორც მოსალოდნელი იყო, ესენი აღმოჩნდნენ:

**ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, რესპუბლიკური პარტია, „გირჩი“, „გირჩი — მეტი თავისუფლება“, „კანონი და სამართალი“, „პროგრესი და თავისუფლება“, „დროა“, „სამართლიანობისთვის“, „თავისუფალი დემოკრატები“, „რეფორმერი“, „ერთიანი საქართველო“ და „გამარჯვებული საქართველო“.**

ერთადერთი დიდი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელმომწერთა შორის არსად იძებნებოდა, **„ქართული ოცნება“** გახლდათ, თორემ დანარჩენი სუყველა ან სოფელ ატოცთან შარვალჩახდილი იყო, ანდა ალამუტელ-ბახმუტელი!

ცნობას თან ახლდა იმ წყეული დოკუმენტის ფოტოპირიც, რომელზეც ზემოხსენებული გეი-პარტიების ლიდერების ხელმოწერებია, ხოლო გეი-მანიფესტში ზემოხსენებული თხუთმეტივე პარტია საშვილთაშვილოდ აღთქმას დებს, რომ **„საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად დაიცავენ ყველა ადამიანის მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა!“**

ცნობისათვის, სწორედ **თხუთმეტი გეი-პარტიის მიერ ხელმოწერილი და გაქეზებული ამ პუნქტისა და კიდევ პარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ გამო** ითხოვენ სოდომისტები რუსთაველის პროსპექტზე „გეი-პარადის“ გამართვას, რასაც ამერიკის საელჩოც უჭერს მხარს და, ზოგადად, დასავლური დემოკრატიაც უფითილებს!

მოკლედ, ეს დოკუმენტი რომ ავაფრიალეთ და თან **აკია ბარბაქაძის** „საგმირო საქმეებზეც“ ჩამოვაგდეთ სიტყვა, ჩვენი თანამეინახენი ერთხანს შედრკნენ და კარგა გვარიანად მოფახფახდნენ კიდეც, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს და მერე ამაზე აიშალნენ — ხელმოწერები გაყალბებულიაო!

მოკლედ, პატივცემულო მკითხველო,

## თქვენ წინაშეა ახალ-დაფუძნებული „საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა“ და გეი-მანიფესტი, რომელზეც ამ „მოძრაობის“ მაკურთხებელი სამი გეი-პარტია – ჭიჭე ვაშაძის „აღმაშენებელი“, ლიაკა ხოშტარიას „დროა“ და შარვალჩახდილი ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის „გირჩი – მეტი თავისუფლება“ აწერს ხელს!

თუ როგორ „ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას“ წამოიწყებს საქართველოში ეს სამი სოდომისტი და რით დასრულდება მათი ხუნტრუცი, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდია. ისე კი, ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ იმას ვერასოდეს წარმოვიდგენდით, თუ ილიას, ზვიადისა და მერაბის სათაყვანებელი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ისე დაკნინდებოდა, რომ საბოლოოდ **გეი-ბანდიტების სარეცელზე** დალაფავდა სულს!

***დიტო ჩუბინიძე***

## ვერასოდეს წარმოვიდგენდით, თუ ილიას, ზვიადისა და მერაბის სათაყვანებელი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ისე დაკნინდებოდა, რომ საბოლოოდ გეი-ბანდიტების სარეცელზე დალაფავდა სულს!



# უნდა აღდგეს თუ არა რუსეთთან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა?



**დავით მარტიაშვილი**, *პოლიტიკური დევნილი:* — აუცილებლად! ეს ნაბიჯი 800 ათას ქართველს გაუადვილებს სამშობლოსთან და ნათესავებთან ურთიერთობას. რაც მთავარია, საჰაერო მიმოსვლა არ შეიცავს არანაირ საფრთხეს და ვინც ამისი წინააღმდეგია, ტყუის ან იდიოტია.



**მედეა ადამია**, *იურისტი, ჟურნალისტი:* — ძალიან მინდა, მალე აღდგეს გაწყვეტილი სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული და დიპლომატიური კავშირები რუსეთთან! ორ მართლმადიდებელ ერს შორის კეთილგანწყობის დამკვიდრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის!



**ლაშა გოლუბიანი**, *ადვოკატი:* — ცხადია, უნდა აღდგეს რუსეთთან საჰაერო მიმოსვლა და დაინიშნოს პირდაპირი ფრენები, თან იმ ფონზე, როდესაც რუსეთის ხელისუფლებიდან ამის მზაობას ვხედავთ. ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ და გავუადვილოთ გადაადგილება ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც მრავლად ცხოვრობენ რუსეთში. **ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს არა უკრაინის ან ამერიკის კარნახით, არამედ მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე!**



**ზაზა სიამაშვილი**, *ამერიკანისტი, ლიტერატორი, პროფესორი:* — აუცილებლად, თანაც ყოველგვარი კონიუნქტურისა და ყოყმანის გარეშე! დღეს სხვაგვარად ფიქრი კიდევ უფრო დაგვაშორებს ჩვენს ძმებს აფხაზეთში!



**ამირან ბუთურიშვილი**, *ჟურნალისტი:* — რატომღაც მიაჩნიათ, რომ, თუ რუსეთი საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლას აღადგენს, ეს იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე გადადის. ნუთუ რუსეთში მცხოვრები მილიონამდე ქართველის ბედი არავის ადარდებს? იფიქრონ ამ ადამიანების მდგომარეობაზე და ისე გადაწყვიტონ საკითხი. ჩვენი ადგილი ევროპაშია და მისკენ სწრაფვას ფრენა-არფრენა ვერაფერს დააკლებს.



**ზვიად ტომარაძე**, *ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ ხელმძღვანელი:* — რუსეთში მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, თუ ფრენები აღდგება, ამით, უპირველესად, ისინი იხეირებენ. მითუმეტეს, ვინც ფრენები გააუქმა, სწორედ ის გამოდის აღდგენის ინიციატივით და ამით თავმოყვარეობა არ გველახება. და, საერთოდ, ხორბლის 85 პროცენტი როცა რუსეთიდან შემოდის, ფრენების აღდგენა რაღა პრობლემაა?



**დავით ახრახაძე**, *აფხაზეთის ომის ვეტერანი:* — უნდა აღდგეს! თუმცა, მე არასოდეს გავემგზავრები რუსეთში, აფხაზეთის ომის შემდეგ არ მაქვს სურვილი...



**თამაზ ჭეიშვილი**, *მწერალი, ჟურნალისტი, ექსტრასენსი:* — რატომ არ უნდა აღდგეს? თუ ისრაელთან ან თურქეთთან არის ფრენები, რუსეთთან რატომ არ უნდა იყოს, მითუმეტეს, იქ მილიონი ქართველი ცხოვრობს! მოკლედ, უნდა აღდგეს ფრენები, ოღონდ შემომსვლელთა კონტროლით.



**ვასილ ტაბიძე**, *ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი:* — არა, ამ რეალობაში არ უნდა აღდგეს. 1 წლის წინათ რომ გეკითხათ, ვიტყოდი, დიახ-მეთქი, მაგრამ ახლა წინააღმდეგი ვარ. ახლა რუსეთთან ურთიერთობის დათბობა კოლაბორაციონიზმს უტოლდება და ნაღდად არ მინდა, მსოფლიოს წინაშე ჩემი ქვეყანა ამნაირად გამოჩნდეს!



**ბონდო მძინარაშვილი**, *ჟურნალისტი:* — რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები ავიამიმოსვლის განახლების თაობაზე ეკონომიკური და ჰუმანიტარული კუთხით სრულიად გამართლებულია და რუსეთში მცხოვრებ თანამემამულეებს სამშობლოში ჩამოსვლას გაუადვილებს. ფრენების აღდგენა შესაძლოა, ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად, რასაკვირველია, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით!



**ნინო ჯღარკავა**, *ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ რედაქტორი:* — რა თქმა უნდა, უნდა აღდგეს! რუსეთთან აუცილებლად უნდა დავიწყოთ დიალოგი, იქ ხომ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს! ფრენების აღდგენა ურთიერთობის დათბობასაც ნიშნავს, რაც ამ დაძაბულ დროში ძალიან გვჭირდება!



**უჩა ნანუაშვილი**, *ყოფილი სახალხო დამცველი:* — რუსეთთან ცალმხრივად უვიზო რეჟიმის დაწესება თავიდანვე იყო არასწორი. და თუ იქნება, ეს ვადა 360 დღიდან უნდა შემცირდეს რეალურად ტურისტული მიზნისთვის საჭირო ვადამდე, მაგალითად, 1 თვემდე. **ფრენების აღდგენა იმ დროს, როდესაც ისედაც რუსეთის ათასობით მოქალაქე შემოდის საქართველოში და ეროვნული უსაფრთხოების პრიზმით არ ხდება საკითხის დარეგულირება, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.**

*მოამზადა* ***ნინო პაპოშვილმა***

***„კენედის მკვლელობა“ — ეს არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი სიტყვათშეთანხმება, რომელიც თითქმის 60 წლის წინათ, 1963 წლის 22 ნოემბერს, დალასში მომხდარ ისტორიულ ფაქტს — ამერიკის შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტის ჯონ ფიცჯერალდ კენედის მკვლელობას აღნიშნავს.***


აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმისშვილი კერი კენედი






# კენედის

**„კენედის მკვლელობა“** — ეს არის ერთგვარი იდიომა ან მეტაფორა, რომელიც სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა კონტექსტით გამოიყენება.

მაგალითად, როცა ადამიანს უღირსი საქციელის ან დანაშაულის ჩადენას ტყუილად აბრალებენ, მავანი იტყვის — **„ბარემ კენედის მკვლელობაც შეტენეთ!“**

როცა სამართალდამცავი ორგანოები მარტივი საქმის გამოძიებას თავს ვერ აბამენ და სიმართლის დადგენას უსაშველოდ დიდ დროს ანდომებენ, მავანი გაიოცებს — **„რა გახდა, კენედის მკვლელობას ხომ არ იძიებენ?!“**

როცა ადამიანი ცდილობს, ბანალური ჭეშმარიტება თავის დიდ მიგნებად თუ აღმოჩენად წარმოაჩინოს, მავანი ირონიულად ჩაიქირქილებს — **„გახსნა კენედის მკვლელობა და ეგ არის!“**

შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათშეთანხმება — **„კენედის მკვლელობა“** გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე პირდაპირი გაგებით.

და რას ნიშნავს სიტყვათშეთანხმება **„კენედის გველობა“?**

**კენედის გველობა** ის არის, რაც 60 წლის წინათ მოკლული აშშ-ის პრეზიდენტის **ჯონ კენედის ძმისშვილმა კერი კენედიმ** გასულ კვირას ჩაიდინა, როცა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, პატიმარ სააკაშვილის უფლებების დაცვა უზრუნველყოს!

**კერი კენედი ჯონ კენედის ძმის — რობერტ კენედის ქალიშვილია,** რომელიც მამის სახელობის ორგანიზაციას — **რობერტ კენედის სახელობის იუსტიციისა და ადამიანის უფლებების ცენტრს ხელმძღვანელობს.**

**კერი კენედის მამა და აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ ფიცჯერალდ კენედის ძმა — რობერტ ფრენსის კენედი** თავადაც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, რომელიც 1961-1964 წლებში აშშ-ის იუსტიციის მინისტრის თანამდებობას იკავებდა, შემდეგ კი ნიუ-იორკის შტატიდან სენატორად აირჩიეს. **რობერტ კენედი,** რომელიც ვიეტნამის ომის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო, 1968 წელს აშშ-ის პრეზიდენტადაც იყრიდა კენჭს, მაგრამ საარჩევნო კამპანიის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა, რადგან არაბმა ემიგრანტმა **სირჰან სირჰანმა** მოკლა.

**რობერტ კენედის** 11 შვილი დარჩა, რომელთაგანაც ნაბოლარა მისი მკვლელობის შემდეგ დაიბადა, ხოლო **კერი,** რომელიც ახლა პატიმარ სააკაშვილს ესარჩლება, მე-7 შვილი გახლავთ.

საქართველოს ხელისუფლება პატიმარ სააკაშვილის უფლებებს რომ არღვევდეს, **კენედის მოწოდება** — მისი უფლებები დაიცავითო, სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ **კენედის განცხადება** სწორედ რომ **გველობაა** მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება პატიმარ სააკაშვილის უფლებებს არათუ არ არღვევს, არამედ დამნაშავე ნაცბელადს იმაზე გაცილებით მეტ უფლებებს ანიჭებს, ვიდრე ეს კანონით არის გათვალისწინებული!

სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ **კერი კენედი** წერს:

> ***„ვუერთდები იმ ადამიანებს, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამენ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით მისი შესაძლო მოწამვლისა და ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ბოლოდროინდელი ცნობების ფონზე, როგორც ამას ქვეყნის სახალხო დამცველი ადასტურებს“.***

გესმით? **კერი კენედი** შეშფოთებულია სააკაშვილის პატიმრობის პირობებით!



## კენედის გველობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ როგორ გარყვნა და წაბილწა ევრო-ამერიკული პოლიტიკა ლობიზმმა, ანუ ლეგალიზებულმა მექრთამეობამ!

მერე რა, რომ სააკაშვილი სასჯელს ციხის საკანში კი არა, **სამოქალაქო კლინიკის ლუქს-პალატაში,** ოროთახიან აპარტამენტში იხდის? **კერი კენედი** მაინც შეშფოთებულია!

მერა რა, რომ სააკაშვილს ქართული სახელმწიფოც და კლინიკის მედპერსონალიც თავს ევლებიან, არაფერს აკლებენ და ყველაფერს უთმენენ? **კერი კენედი** მაინც შეშფოთებულია!

მერე რა, რომ სააკაშვილის „შესაძლო მოწამვლის“ შესახებ ინფორმაცია არავითარი სამედიცინო გამოკვლევით, საექსპერტო დასკვნითა და სამართლებრივი სამხილით არ დასტურდება? **კერი კენედი მაინც შეშფოთებულია, რადგან სამედიცინო გამოკვლევებს, საექსპერტო დასკვნებსა და სამართლებრივ სამხილებს კი არა, სააკაშვილის ოჯახის წევრების, თანაპარტიელების, ადვოკატებისა და ვადაგასული ლომჯარიას ლიტონ განცხადებებს ეყრდნობა!**

აი, სწორედ ამაში გამოიხატება **კენედის გველობა!**

აი, სწორედ ამიტომ არის **კენედის** განცხადება **გველური სისინი!**

**კენედის გველობა** იმ პოლიტიკური კამპანიის შემადგენე-

## კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ბატონებო, **კეზერაშვილის** „ნაჩუქარი“ ავტომობილი პარტიის ავტოფარეხშია. **დავით კეზერაშვილო,** დარჩა რამე, რაც კიდევ შეიძლება იკადროთ?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



**მელიას** მანქანას რა უჭირს, **ხაბეს** კბილები არ დააყვედრონ.

„საქართველოს რესპუბლიკა“,

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის კანდიდატი*



თუ საჭირო გახდა **შევვარდებით** და პრეზიდენტ **სააკაშვილს გამოვიხსნით!**

„TV პირველი“

**ვადიმ სკიბიცკი**
*უკრაინის დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე*



სამწუხაროდ, **პუტინს** საუკეთესო **დასავლელი ექიმები მკურნალობენ.** ამიტომ, ის ჯერ კიდევ ცოცხალია, **რუს ექიმებს რომ ემკურნალათ,** ყველაფერი უფრო სწრაფად დამთავრდებოდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



ნაციონალური მოძრაობა **დეგრადაციას** განიცდის.

„ახალი თაობა“

**მამუკა ტუსკაძე**
*მოძრაობა „სოლიდარობა სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



ნაცმოძრაობა **მომაკვდავი ორგანიზაციაა,** რომელიც 28-29 იანვარს **გედის სიმღერას** იმღერებს.

„ახალი თაობა“



ჯონ კენედი

# ჯონ კენედის ძმისშვილი და რობერტ კენედის შვილი კერი კენედი მისი მამისა და ბიძის მკვლელთა იდეური შთამომავლების ბანაკიდან იგესლება!



რობერტ კენედი

# გველობა

როგორც ჩანს, ამერიკულმა ლობისტურმა კომპანიამ **ბიული ალასანიას** დაკვეთა, ასე თუ ისე, წარმატებით შეასრულა, რადგან სააკაშვილის ციხეში „მოწამვლის“ შესახებ სტატია ავსტრალიურ პრესაშიც კი გამოქვეყნდა, ხოლო ახლა თვით ამერიკის ლეგენდარული პრეზიდენტის **ჯონ კენედის ძმისშვილი** შეაშფოთა სააკაშვილის ბედმა.

**კენედის გველობა** კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ როგორ გარყვნა და წაბილწა ევრო-ამერიკული პოლიტიკა ლობიზმმა, ანუ ლეგალიზებულმა მექრთამეობამ!

**კენედის გველობა** კიდევ ერთი სავალალო მაგალითია იმისა, რომ კოლექტიური დასავლეთი, რომელიც ერთ დროს ჭეშმარიტი დემოკრატიისა და სამართლიანობის ოაზისად ითვლებოდა, დღეს ორმაგი სტანდარტებისა და პოლიტიკური ფარისევლობის უდაბნოდ არის ქცეული!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ძალიან სამწუხაროა, რომ ჯონ კენედის მკვლელობიდან — 60** და რობერტ კენედის მკვლელობიდან 55 წლის შემდეგ **კერი კენედის გველობის** მომსწრენი გავხდით!

ამერიკის პრეზიდენტი **ჯონ კენედი** და მისი ძმა, ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი **რობერტ კენედი** სწორედ იმ იდეოლოგიის ადეპტებმა მოკლეს, რომელიც დღეს ამერიკასა და მთელ დასავლურ სამყაროშია გაბატონებული!

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ **ჯონ კენედის ძმისშვილი და რობერტ კენედის შვილი კერი კენედი** მისი მამისა და ბიძის მკვლელთა იდეური შთამომავლების ბანაკიდან იგესლება!

ლი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს, სააკაშვილს სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი აარიდოს და სისხლის სამართლის დამნაშავე კანონის გვერდის ავლით გამოიყვანოს ციხიდან!

უეჭველია, რომ **კენედის გველობა** იმ ამერიკული ლობისტური კომპანიის საქმიანობის შედეგი გახლავთ, რომელსაც **ბიული ალასანიამ** ძვირადღირებული კონტრაქტი გაუფორმა, რათა დასავლეთში შეექმნა საზოგადოებრივი აზრი, ვითომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის გადასარჩენად მისთვის სასჯელის გადავადება და სამკურნალოდ საზღვარგარეთ წაყვანაა აუცილებელი.

კერძოდ, **ალასანიას** მიერ დაქირავებულ ლობისტურ ფირმას ევალებოდა ორი რამ: **უზრუნველეყო უცხოურ პრესაში შეკვეთილი სტატიების გამოქვეყნება იმის შესახებ, თითქოს ქართულ ციხეში სააკაშვილს წამლავენ და აწამებენ; ასევე უზრუნველეყო, რომ მეტ-ნაკლებად გავლენიან უცხოელ პოლიტიკოსებს, დიპლომატებსა და უფლებადამცველებს სააკაშვილის სასარგებლოდ ორიოდე სიტყვა დაესველებინათ...**



რობერტ კენედი მიშა მესხის გულშემატკივარი იყო, მისი შვილი კერი კენედი კი მიშა სააკაშვილს გულშემატკივრობს!

1965 წელი, ბრაზილია. სენატორი რობერტ კენედი გასახდელში ეწვია ქართული ფეხბურთის ლეგენდას მიხეილ მესხს

## ბოლოთქმა

აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის **ჯონ კენედის ძმასა** და ახლა სააკაშვილის დასაცავად თავგამოდებული **კერი კენედის მამას — რობერტ კენედის** საქართველოსთან თავისებური შეხების წერტილი ჰქონდა. კერძოდ, **რობერტ კენედი** ქართული ფეხბურთის ჯადოქრით, ლეგენდარული **მიშა მესხით** იყო აღფრთოვანებული და ერთ-ერთი მატჩის დასრულების შემდეგ საგანგებოდ შევიდა მოთამაშეთა გასახდელში მასთან სამახსოვრო ფოტოს გადასაღებად.

ეს მოხდა 1965 წელს ბრაზილიაში, სადაც „მარაკანას“ სტადიონზე ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა მატჩი იმართებოდა. თამაშის მეორე ტაიმის ერთ ეპიზოდში მიშა მესხმა ფეხბურთის მეფედ აღიარებულ პელეს საოცარი ფინტი გაუკეთა და ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა. პელე ჯერ სახტად დარჩა, შემდეგ კი ადგილიდან მოწყდა, მიშა მესხს გაეკიდა, ზურგზე შეახტა და შუბლზე აკოცა. **სწორედ ამ მატჩს ესწრებოდა ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი, ამერიკელი სენატორი რობერტ კენედი, რომელიც მესხის თამაშით ისე მოინუსხა, რომ ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს თამაშის დასრულების შემდეგ გასახდელში მიადგა და სამახსოვრო ფოტოს გადაღება სთხოვა.**

ასე რომ, **რობერტ კენედი მიშა მესხის** გულშემატკივარი იყო, მისი შვილი **კერი კენედი** კი **მიშა სააკაშვილს** გულშემატკივრობს! განსხვავება ნამდვილად არის, თანაც — კოლოსალური!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ჯემალ გამახარია**
*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე*



შეიარაღების მოწოდება აქეთ გვჭირდება. **რუსეთის არაადეკვატური ხელისუფლება** რას მოიმოქმედებს, არ ვიცით.

„ახალი თაობა“

**დავით ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ნაცებს მხარდამჭერებიც აღარ ჰყავთ,** საარჩევნოდ რეგისტრაცია მხოლოდ 30 ათასმა კაცმა გაიარა. **ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ** ხალხის წიაღიდან უნდა ამოხეთქოს.

„ახალი თაობა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



უკრაინის ხელისუფლება საერთაშორისო არენაზე **საქართველოს რეპუტაციის შელახვას** ცდილობს.

„რეზონანსი“

**ვახტანგ მაისაია**
*ანალიტიკოსი*



ომი უკვე იმ ფაზაში შევიდა, რომ **ორივე მხარემ ბოლო რესურსამდე უნდა იბრძოლოს,** რაც სამწუხარო რეალობაა, საქართველო კი წითელ ზონაშია.

„რეზონანსი“

**მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩი**
*ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი*



საქართველოს **რამდენიმე პუნქტი აქვს შესასრულებელი** და იმედია, მალე გახდება კანდიდატი ქვეყანა.

„რეზონანსი“

*ამ დღეებში სოციალური ქსელები ლამის წალეკა წალენჯიხის ოპოზიციონერი მერის გია ხარჩილავას ღამეულმა ვიდეომიმართვამ, რომელიც წალენჯიხაში რომელიღაც ღელეზე გადებულ საცალფეხო ხიდზეა გადაღებული.*

# ამაზე გრძელი, ამაზე დიდი... წალენჯიხის მერს ენახოს ხიდი!

ვიდეო ასეთი შინაარსისაა: **ხარჩილავა, რომელიც მემთვრალეობაშია მხილებული და ერთხელ სახელმწიფო მანქანა დაამტვრია, ხოლო მეორეჯერ საკუთარი მანქანა, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, თავადვე დაწვა, ე.წ. „სეტკისგან“ შეკრულ ვიწრო ხიდზე, ბონდის ხიდს რომ ეძახიან, ზუსტად ისეთზე დგას და სააკაშვილისეული რიხითა და უტიფრობით იჭიმება — ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ეს ხიდი გააკეთა, გარდიგარდმო ზღუდეებიც დაუმონტაჟა, ღამის განათებაც ჩაურთო და ამიერიდან რვა ოჯახი სოფელს დაუკავშირდებაო!**

ხიდს, რომელიც მთლიანად ე.წ. „სეტკებისგან“ არის გაკეთებული, ცხადია, სავალი ნაწილიც ე.წ. „სეტკის“, ანუ მავთულბადის აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ გაგიჭირდა, ხიდის ქვეშ ვერსად დაიმალები, სამაგიეროდ, თუ თავში გარყვნილი აზრები მოგივა, **შეგიძლია, შეინიღბო, ჩასაფრდე და ერთ დღეში დაადგინო, სოფელში რომელ ქალს რა ფერის ნიფხავი აცვია!**

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის მკვიდრი **ლავრენტი ბერია,** რომელიც სინამდვილეში **გვარად კვარაცხელია** გახლდათ, 30-იან წლებში თბილისში გახსნილი თითოეული ხიდის ქვეშ დამპროექტებელ და მშენებელ ინჟინრებს დააყენებდა ხოლმე და ხიდის მდგრადობას ასე ცდიდა, მაშინ უსათუოდ **გია ხარჩილავას** მოუწევს იმ „სეტკის“ ხიდის ქვეშ ყურყუტი. **ეს კი ქმნის იმის მომეტებულ საფრთხეს, რომ ამაყმა წალენჯიხელებმა, რომლებმაც შევარდნაძის ღორ-ძაღლებს სამეგრელოში ყველაზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, შესაძლოა, თავიანთი მერი გარყვნილი ქცევის, კერძოდ, ქალებისთვის ნიფხვებში ჭვრიტინის გამო დაბეგვონ!**

მოკლედ, **გია ხარჩილავა** რომ ლოთი იყო, ვიცოდით, მაგრამ, თუ ასეთი ქაჯი და ყეყეჩი ბრძანდებოდა, არ გვეგონა!

**ნაცების მიერ წალენჯიხაში გადებულმა ხიდმა თუ ხიდის პროვოკაციამ ბუნებრივად გაგვახსენა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და ძველი თბილისის მესაიდუმლის იოსებ გრიშაშვილის ცნობილი ლექსი, რომელიც მან მტკვარზე გადებული ერთ-ერთი ხიდის გახსნის დროს წარმოთქვა** — „ამაზე გრძელი, ამაზე დიდი... კიდევ გვენახოს თბილისში ხიდი!“ **ეს ლექსი იმ დღიდან მთელ საქართველოს მოედო და გასაგები მიზეზების გამო დავიწყებას არა და არ ეძლევა.**

რაც შეეხება მეორე ისტორიას, ის უკავშირდება **ბარყვნილი სააკაშვილის** ზეობის ხანას, როცა ზუგდიდს **გრიშა ქობალიას** ვაჟი, **„ლეგენდარული“ ალიკა ქობალია** მართავდა! საქვეყნოდ ცნობილია, რომ **უწიგნური და გია ხარჩილავაზე უარესი ალიკა ქობალია,** რომელიც ერთხელ სააკაშვილის დაცვის წევრებს **ვერა ქობალიაში** აერიათ და განმუხურის სასტუმროში მიხეილ პრეზიდენტს „საპახმელიოდ“ მიუთრიეს, სააკაშვილმა ზუგდიდის გამგებლად მხოლოდ იმიტომ დანიშნა, რომ მამამისმა **გრიშა ქობალიამ** ნაცმებს მეგრულად ატარებდა, გამგებლად დანიშნა. ერთხელ **ალიკა ქობალიამ, გია ხარჩილავას მსგავსად,** ზუგდიდის რომელიღაც სოფელში მდინარეზე საცალფეხო ხიდი გადო და ადგილობრივი ტელევიზიით ხალხს აუწყა — **„ზუგდიდში ცალი ფეხის ხიდი გავხსენითო!“**

**ბადრი ჯაფარიძე და მამუკა ხაზარაძე,** რომლებიც თავიანთი ბიზნესების გადატანას წალენჯიხაში აპირებდნენ, ცხადია, გია ხარჩილავას მიერ გახსნილ ხიდზე ვერ გაეტევიან







## გრიშაშვილი: ამაზე გრძელი, ამაზე დიდი...




## გრიშას შვილი: ცალი ფეხის ხიდი გავხსენით...

ფიურერი ერთხელ უცილობელი სიკვდილისგან იხსნა. კერძოდ, **შევარდნაძის დროს ზუგდიდში ასარევად ჩასული მიშა გრიშა ქობალიამ ტელეკომპანია „ოდიშის“ ტუალეტში დამალა, რათა ბადრი ზარანდიას არ მოეკლა.**

**ქობალიებს** სააკაშვილმა ეს სიკეთე დაუმახსოვრა და **ალიკა,** რომელმაც ქართული არ იცოდა და გამგეობაში სხდომებზე და ერთმანეთს გვერდს ვერ შეუქცევენ!

ამიტომ **მამუკა ხაზარაძისა და მისთანა „ხანდაზმული თაღლითების“ გულის გასახარად და წალენჯიხაში ბიზნესის ასაყვავებლად ვისურვებთ, რომ „ამაზე გრძელი, ამაზე დიდი... წალენჯიხის მერს ენახოს ხიდი!“**

***დიტო ჩუბინიძე***

## ქვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



პური 10 წლის წინათ **40 თეთრი ღირდა.** დღეს ყველაზე ნაკლები **1,50 ღირს,** სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვა. კატასტროფა ხდება ქვეყანაში.

საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების შანსს არ დაკარგავს. ერთადერთი გზაა, **გავუშვებთ „ოცნებას“** თავის რუსეთში, **გადასახლდება კობახიძე** სადღაც ტაგანროგში და ჩვენ გვეშველება, **ივანიშვილიც უკან გაჰყვება.** ამის შემდეგ ჩვენ გავიმარჯვებთ და ევროკავშირის სტატუსს მივიღებთ.

„ახალი თაობა“

**შოთა მალაშხია**
*„ქრისტიან-კონსერვატიული“ პარტიის თავმჯდომარე*



**სააკაშვილი პუტინის** პატიმარია. ის არის უკრაინის მოქალაქე, რომელიც მოწამლეს. **ნავალნი** რომ მოწამლეს, მის გერმანიაში გადაყვანაზე თავად **პუტინმა** მიიღო გადაწყვეტილება. **პუტინს,** როგორც ჩანს, არ სცალია, რომ ამ საკითხზე დავალებები გასცეს.

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**კობახიძე** რომ რუსეთთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენას მიესალმება, ეს ქვეყნის ღალატია! **იტყუებიან, თითქოს რუსეთში მილიონი ქართველი ცხოვრობს.** ოფიციალურად 220 ათასი ქართველია დარეგისტრირებული.

„ახალი თაობა“

# ხანდაზმული თაღლითების განაჩენი ძალაში დარჩა!

***2023 წლის 26 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ხანდაზმული თაღლითების — მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ (ჭუტა) წერეთლის გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 12 იანვარს გამოუტანა.***

აღსანიშნავია, რომ **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი ჯგუფური თაღლითობის ჩადენაში დამნაშავედ იქნენ ცნობილი, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული ჰქონდა ორივე მხარეს — ბრალდებასაც და დაცვასაც.** პროკურატურა ითხოვდა, სააპელაციო სასამართლოს **ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი** დამნაშავედ ეცნო არა ჯგუფური თაღლითობის, არამედ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ანუ **ფულის გათეთრების** მუხლით, ხოლო ადვოკატები თავიანთი კლიენტების უდანაშაულოდ ცნობასა და სრულად გამართლებას ითხოვდნენ.

თუმცა, **სააპელაციო სასამართლომ არცერთი მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის ტრიო კვლავ ჯგუფური თაღლითობის ჩამდენებად ცნო!**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ **ხაზარაძეს, ჯაფარიძესა და წერეთელს** 2019 წელს ბრალი 17 მილიონამდე ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის წარუდგინა, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამივე მათგანს ბრალდების კვალიფიკაცია შეუცვალა და **ჯგუფური თაღლითობის** ჩადენისათვის გაასამართლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის განაჩენით **მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძესა და ავთანდილ წერეთელს** 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, მაგრამ **ჯგუფური თაღლითობის მუხლს,** რომლითაც ისინი გასამართლდნენ, ხანდაზმულობის ვადა გასული ჰქონდა, რის გამოც მსჯავრდებულები საპატიმრო დაწესებულებაში სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდნენ.

მოკლედ, **ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის ტრიუმვირატმა ციხეში ჯდომა თავიდან აიცილა, მაგრამ ვერაფრით აირიდა „ხანდაზმული თაღლითის“ თიკუნი, რომლითაც მათ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მოიხსენიებს.**

მაგალითად, როცა **პარტია „ლელოს“** ლიდერები — **ხაზარაძე და ჯაფარიძე** პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ,






საზოგადოებამ იცის, რომ მათი სახით პოლიტიკოსები კი არა, **ხანდაზმული თაღლითები** ლაპარაკობენ!

როცა **მამუკა ხაზარაძე** საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრობლემებზე ლაპარაკობს, საზოგადოების დიდი ნაწილი ამას აღიქვამს როგორც **ხანდაზმული თაღლითის** ლაყაფს!

როცა **მამუკა ხაზარაძე** ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებს და ქვეყნის დაქცევაში ადანაშაულებს, საზოგადოების დიდი ნაწილი ამას აფასებს როგორც **ხანდაზმული თაღლითის** პოლიტიკურ ბოდვას!

როცა **მამუკა ხაზარაძე** აცხადებს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში საქართველოს ააყვავებდა და სულ რაღაც ხუთ წელიწადში რეგიონის ამომავალ ვარსკვლავად აქცევდა, საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ისმენს როგორც **ხანდაზმული თაღლითის** უნიჭო ზღაპრებს!

იგივეა **ავთანდილ (ჭუტა) წერეთლის** შემთხვევაშიც...

მართალია, **ბატონი ჭუტა,** დანარჩენი ხანდაზმული თაღლითების — **ხაზარაძისა და ჯაფარიძისაგან განსხვავებით,** ხშირი საჯარო გამოსვლებითა და პოლიტიკური განცხადებებით არ გამოირჩევა, მაგრამ საზოგადოებას მუდმივად ახსენებს თავს საკუთარი ტელევიზიის — **„ტვ პირველის“** სახით, რომელსაც **„ჭუტავიზიასთან“** ერთად, **ხანდაზმული თაღლითის ტელევიზიასაც** ეძახიან.

*— ნახე, გუშინ რა სიბინძურე გადმოანთხია „ჭუტავიზიამ“?*

*— ეგ რომელია?*

*— რომელი და, ხანდაზმული თაღლითის ტელევიზია!*

*— რომელი ხანდაზმული თაღლითის — ხაზარაძის?*

*— არა, ჭუტა წერეთლის! თუმცა, მგონი, ხაზარაძეც აფინანსებს მაგ ტელევიზიას!*

**ასეთი დიალოგები კარგა ხანია, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურობად იქცა!**

ერთი სიტყვით, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებმა **ხანდაზმული თაღლითის** სახელი არამხოლოდ ცალკეულ პირებს, არამედ ორგანიზაციებსაც დაარქვა.

შესაბამისად, საქართველოში არსებობენ არამხოლოდ **ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძე, ხანდაზმული თაღლითი ბადრი ჯაფარიძე და ხანდაზმული თაღლითი ავთანდილ წერეთელი, არამედ ხანდაზმული თაღლითების პარტია „ლელო“, ხანდაზმული თაღლითების ბანკი „თიბისი“ და ხანდაზმული თაღლითების ტელევიზია „ტვ პირველი“.**

**საქართველოში არსებობენ არამხოლოდ ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძე, ხანდაზმული თაღლითი ბადრი ჯაფარიძე და ხანდაზმული თაღლითი ავთანდილ წერეთელი, არამედ ხანდაზმული თაღლითების პარტია „ლელო“, ხანდაზმული თაღლითების ბანკი „თიბისი“ და ხანდაზმული თაღლითების ტელევიზია „ტვ პირველი“!**

სხვათაშორის, **ხანდაზმული თაღლითების პარტიის — „ლელოს“** ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით უსუფაშვილმა** ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენის კვალდაკვალ განაცხადა — **საქმე გვაქვს პოლიტიკურ მართლმსაჯულებასთან, მაგრამ „ლელოში“ ყოჩაღი ხალხი ვართ და არაფრის გვეშინია, თუ ერთ ჩვენგანს დაიჭერენ, მის ადგილას შვიდნი ამოვალთო!**

აბა, წარმოიდგინეთ, რომ **ერთი ხაზარაძის ადგილას შვიდი ხაზარაძე** ამოვიდა, ანუ **ერთი ხანდაზმული თაღლითის** ადგილას მივიღეთ **შვიდი ხანდაზმული თაღლითი,** ერთი **ყაჩაღ-ბანკირის** ადგილას — შვიდი **ყაჩაღ-ბანკირი** და ასე შემდეგ, **ვიდრე ერთი ყოფილი ზონდერკომკავშირელის მაგივრად შვიდ ყოფილ ზონდერკომკავშირელამდე...**

მტრისას და ავისას, ბატონებო და ქალბატონებო!

თუმცა, **ხანდაზმული თაღლითების პარტიას** მიკედლებული **უსუფაშვილი** სულ ტყუილად ბაქიბუქობს, რადგან „ლელო“ 7-თავიანი პოლიტიკური დევების კი არა, 1-პროცენტიანი პოლიტიკური ლუზერების პარტიაა!

**ღვთისა და ქართველი ხალხის სიბრძნის წყალობით, ქართულ პოლიტიკაში ხანდაზმული თაღლითების ხანა ვერ დადგა და ვერც ვერასდროს დადგება!**

**ჯაბა ხუბუა**

## ხანდაზმული თაღლითების პარტიას მიკედლებული უსუფაშვილი სულ ტყუილად ბაქიბუქობს, რადგან „ლელო“ 7-თავიანი პოლიტიკური დევების კი არა, 1-პროცენტიანი პოლიტიკური ლუზერების პარტიაა!

### კვირგვინოსნები

**დავით უსუფაშვილი**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



ჩვენ გვაქვს შენობა, რომელსაც **აწერია პარლამენტი,** მაგრამ რომ შეხვალთ, ვერ მიხვდებით, რომ საკანონმდებლო ორგანოში ხართ; გვაქვს შენობა, რომელსაც **სასამართლო აწერია,** მაგრამ იქ სამართალს ვერ იპოვით; გვაქვს **თვითმმართველობის შენობა,** მაგრამ ქვეყანაში გაქანებული ცენტრალური მმართველობაა; გვყავს სახელად **თავისუფალი მედია,** მაგრამ მას აუცილებლად ვიღაცა აკონტროლებს. **სახელმწიფო ინსტიტუციები პროფანაციადაა ქცეული.** ამიტომ გვჭირს, რაც გვჭირს!

„კვირის პალიტრა“

**ლევან მამალაძე**
*საზოგადოებრივი პლატფორმის „დაიცავი მშვიდობა“ ხელმძღვანელი*



აგვისტოს ომში **მიხეილ სააკაშვილის** კომერციული ინტერესები იკვეთება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



ნაცმოძრაობაში **თუ არ იციან, როგორ დაიშალონ,** კარგი მაგალითის აღება „ევროპული საქართველოდან“ შეიძლება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაო...** მერამდენედ უნდა დაიხრჩოს ეს ხალხი **ერთსა და იმავე მდინარეში,** აღარ ვიცი უკვე.

„რეზონანსი“

# თეა წულუკიანის მიერ გასმული ნუნუ გინტური რატი ბრეგაძეს შეუსვეს!

*„ასავალ-დასავალის“ 2023 წლის 16-22 იანვრის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა სტატია „რატისაგან ველით პასუხს!“ — რომელშიც ვწერდით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან ოფიციალური წესით გვქონდა გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ და როგორ აღუდგა ნოტარიუსის უფლებამოსილება სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ღამის ნოტარიუსად წოდებულ ნუნუ გინტურს?*


ნუნუ გინტური

კონკრეტულად, გვაინტერესებდა ორი საკითხი:

1. 2014 წელს, **თეა წულუკიანის** იუსტიციის მინისტრობის დროს, **რის საფუძველზე მოხდა ნუნუ გინტურისათვის ნოტარიუსის უფლებამოსილების შეწყვეტა და მისი ამორიცხვა საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრიდან?**

2. 2022 წელს, **რატი ბრეგაძის** იუსტიციის მინისტრობის დროს, **რის საფუძველზე აღუდგა ნუნუ გინტურს ნოტარიუსის უფლებამოსილება და როგორ მოხდა მისი თანამდებობაზე დაბრუნება?**

ძნელად წარმოგვედგინა, რომ ისეთ წესიერ კაცსა და პატიოსან ჩინოვნიკს, როგორიც იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე** გახლავთ, თეა წულუკიანის ხელით ქართული ნოტარიატიდან გასმული გინტური ქართულ ნოტარიატში საკუთარი ხელით შეესვა!

**უფრო იმას ვვარაუდობდით, რომ წულუკიანის მიერ ნოტარიატიდან გასმული გინტური, რომლის სახელიც ათას ბინძურ და დანაშაულებრივ საქმეში ფიგურირებს, ბრეგაძეს ნოტარიატში საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ შეასმევინეს!**

ჰოდა, იუსტიციის სამინისტროდან საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვეთ!

პასუხს კარგა ხანს ველოდით და ბოლოს, როგორც იქნა, პასუხიც მოვიდა!

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იუსტიციის სამინისტროდან პასუხი მივიღეთ და არც მივიღეთ!

კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის **მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა,** საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა **სალომე რთველაძემ** მოგვწერა — **თქვენ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია, თუ რა მიზეზით შეუწყდა ნუნუ გინტურს ნოტარიუსის უფლებამოსილება, მის პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენს, ჩვენ კი კანონით არ გვაქვს უფლება, პიროვნების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე მოგაწოდოთო!**



იუსტიციის სამინისტროს **მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის** მიერ მოწერილი პასუხი, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რადგან ჩვენ **ნოტარიუს გინტურის** პერსონალური მონაცემები — პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფეხის ზომა და ქვედა კბილების რაოდენობა კი არა, **მხოლოდ ის გვაინტერესებდა, 2014 წელს იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა კონკრეტულად რა კანონდარღვევისა თუ გადაცდომის გამო გაათავისუფლა თანამდებობიდან ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი?**

რაც შეეხება მეორე საკითხს — **თეა წულუკიანის მიერ ნოტარიატიდან გასმული გინტური** რატი ბრეგაძის მინისტრობისას ნოტარიატში როგორ შესვეს — ამის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს **მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა** მოგვწერა:

*„ნუნუ გინტური თანამდებობაზე აღდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გა-*



„ა-დ“. 2023 წლის №4

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010155296452323

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№450 17 / იანვარი / 2023 წ.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს,
ბატონ ჯაბა ხუბუას

ბატონო ჯაბა,

...

მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია – ნუნუ გინტურს რა მიზეზით შეუწყდა ნოტარიუსის უფლებამოსილება, არის ნუნუ გინტურის პერსონალური მონაცემები. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებს განსაზღვრავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ ამავე მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლის არსებობისას. კერძოდ, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად). გასათვალისწინებელია, რომ პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციულ ორგანოში პერსონალური ინფორმაციის არსებობის ფაქტი არ იძლევა მესამე პირებისთვის ამ ინფორმაციის დაუსაბუთებლად და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაცნობის შესაძლებლობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნუნუ გინტური თანამდებობაზე აღდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 23 მარტის №136 ბრძანებით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სალომე რთველაძე

# პასუხი მოვიდა!

## კვირგვინოსნები



**ნათია მეზვრიშვილი**
*პარტია „საქართველოს“ წევრი*

ჩვენ არ ვიქნებით ოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც „ოცნებისთვის“ **მაშველი რგოლის ფუნქციას ასრულებენ.** პირველ რიგში, ეს ეხება ბატონ **ვაშაძეს,** რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ხელისუფლებას სჭირდება. **ეს კაცი ჯობია, საერთოდ არ გაინძრეს!**

„ინტერპრესნიუსი“



**სერგო ჩიხლაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*

**გახარია** იყო „ოცნების“ პრემიერ-მინისტრი და როცა სხვაზე ამბობ: **„შენ ხარ ქოცი“,** უხერხულია — არ ვაპირებთ, გულთან ახლოს მივიტანოთ!

„პალიტრანიუსი“



**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*

**ივანიშვილის** ანტიდასავლური პროპაგანდის ფარგლებში მისი პარტია „სიენენ“-ს შეთქმულებაში ადანაშაულებს — **დროა, დასავლეთი გაერთიანდეს საქართველოს დემოკრატიის მხარდასაჭერად!**

„ინტერპრესნიუსი“



**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოს“ წევრი*

კატეგორიულად მიუღებელია, როცა **ცხელ შემოდგომას** აანონსებ და **ცივი შემოდგომა** დგება.

„პირველი არხი“



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

ჩვენი მიზანია, **ხელისუფლება დავამარცხოთ.** იქმნება ახალი პოლიტიკური ცენტრი და ეს ქვეყანაში პოლიტიკურ მოცემულობას ცვლის. ხელისუფლებას 24 თებერვალს განაჩენს გამოვუტანთ.

„ახალი თაობა“

*დაწყვეტილების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 23 მარტის №136 ბრძანებით".*

**აჰა, ყველაფერი გასაგებია!**

იუსტიციის სამინისტროს **მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის** მიერ გამოგზავნილი პასუხის მიხედვით, სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსად სახელდებულმა **გინტურმა** სამივე ინსტანციის სასამართლო მოიგო და **თეა წულუკიანის** მიერ გამოცემული ბრძანების გაუქმებას მიაღწია, რის შემდეგაც **რატი ბრეგაძე** იძულებული გახდა, გამოეცა ახალი ბრძანება მისთვის ნოტარიუსის უფლებამოსილების აღდგენის შესახებ.

ესე იგი, **თეა წულუკიანის მიერ ნოტარიატიდან გასმული გინტური რატი ბრეგაძემ ნოტარიატში სასამართლოს გადაწყვეტილებით შესვა!**

და ვინ არიან ის მოსამართლეები, რომლებმაც **რატი ბრეგაძე** დაავალდებულეს, **თეა წულუკიანის მიერ ნოტარიატიდან გასმული გინტური** კვლავ ნოტარიატში შეესვა?

ამის გასარკვევად მცირე ჟურნალისტური მოკვლევა ჩავატარეთ და ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით მოვიპოვეთ უმაღლესი ინსტანციის — უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 1 თებერვლის განჩინება, რომლის ძალითაც **ნოტარიატიდან გასმული გინტური** კვლავ ნოტარიატში შესვეს.

როგორც უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ვკითხულობთ, **2014 წელს, თეა წულუკიანის იუსტიციის მინისტრობის დროს, ნოტარიუსი ნუნუ გინტური განსაკუთრებით მძიმე დისციპლინურ გადაცდომაში იქნა მხილებული და უფლებამოსილება სწორედ ამის გამო შეუწყვიტეს.** კერძოდ, უზენაესი სასამართლოს განჩინებაში წერია, რომ გინტურისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდა ***„ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმის დარღვევა, რომლის თანახმადაც, ნოტარიუსს აკრძალული აქვს შუამავლობა მხარეებს შორის გარიგების დადებისას".***

სამართლებრივი კაზუისტიკის ზღვაში რომ არ შევცუროთ და მკითხველი იურიდიული ტერმინების რახარუხით არ გადავღალოთ, მარტივად ვიტყვით: **თეა წულუკიანმა სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსი გინტური ნოტარიატიდან იმიტომ გასვა, რომ იგი ეწეოდა საქმიანობას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ნოტარიუსს კატეგორიულად ეკრძალება და განსაკუთრებით მძიმე დარღვევად ეთვლება!**

**გინტურმა** იუსტიციის მინისტრ **წულუკიანის ბრძანება** თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა და საქმე მოიგო!

**იუსტიციის სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ ზემდგომმა ინსტანციამაც გინტურის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა!**

**იუსტიციის სამინისტრო მაინც არ შეეპუა და საკასაციო საჩივრით მიმართა უკანასკნელ ინსტანციას — უზენაეს სასამართლოს,** რომელმაც მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, სააპელაციო სასამართლოს მიერ გინტურის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ბრძანა: ***„საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება".***

ამის შემდეგ **იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე** იძულებული გახდა, ბრძანება გამოეცა და **სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსი, 2016 წელს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, თაღლითობასა და არაერთი ადამიანის გაუბედურებაში მხილებული გინტური, რომელიც თეა წულუკიანმა ნოტარიატიდან გასვა, კვლავ ნოტარიატში შეესვა!**

**ბიძინა სტურუა, მაია ვაჩაძე და გოჩა აბუსერიძე** არიან უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლეები, რომლებმაც საბოლოო ბეჭედი დასვეს და **სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსი გინტური,** რომელიც ნოტარიატიდან **თეა წულუკიანმა** გასვა, **რატი ბრეგაძეს** ისევ ნოტარიატში შეუსვეს!

სასამართლოს განჩინების სამართლებრივი კუთხით განსჯასა და აწონ-დაწონვას ამ ეტაპზე არ და ვერ შევუდგებით, მაგრამ მორალური ასპექტის გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია, ვთქვათ: **იმ მოსამართლეებმა, რომლებმაც თეა წულუკიანის მიერ თანამდებობიდან გასმული გინტური** კვლავ თანამდებობაზე **დასვეს,** ყელში დანა **გამოუსვეს** არამხოლოდ **რატი ბრეგაძეს,** არამედ მთელ ქართულ ნოტარიატს, რომელსაც სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსი ისევე უქადის გაფუჭებასა და აყროლებას, როგორც ერთი დამპალი ვაშლი საღი ვაშლებით სავსე მთელ კალათას!

რადგან ქართული სასამართლო სისტემა დღესაც **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის** ქურაში გამომწვარი მოსამართლეებით არის სავსე, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა** სამივე ინსტანციის სასამართლოში თავისი გაიტანა!

სწორედ ამიტომ გავიძახით ამდენი ხნის განმავლობაში, რომ

**ადეიშვილის აგენტურა და ა-გინტურ-ა ქართული სახელმწიფოს ნიადაგიდან ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს!**

## იმ მოსამართლეებმა, რომლებმაც თეა წულუკიანის მიერ თანამდებობიდან გასმული გინტური კვლავ თანამდებობაზე დასვეს, ყელში დანა გამოუსვეს არამხოლოდ რატი ბრეგაძეს, არამედ მთელ ქართულ ნოტარიატს!





მოსამართლეები – ბიძინა სტურუა, მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე

**ბიძინა სტურუა, მაია ვაჩაძე და გოჩა აბუსერიძე არიან უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლეები, რომლებმაც საბოლოო ბეჭედი დასვეს და სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსი გინტური, რომელიც ნოტარიატიდან თეა წულუკიანმა გასვა, რატი ბრეგაძეს ისევ ნოტარიატში შეუსვეს!**



**ამის ძახილით, ამის ღაღადით, ამის წერით არ დავიღლებით მანამ, სანამ ადეიშვილის აგენტურა და ა-გინტურ-ა საბოლოოდ არ აილაგმება!**

*ჯაბა ხუბუა*

**რადგან ქართული სასამართლო სისტემა დღესაც სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ქურაში გამომწვარი მოსამართლეებით არის სავსე, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ღამის ნოტარიუსმა გინტურმა სამივე ინსტანციის სასამართლოში თავისი გაიტანა!**

## კვირგვინოსნები

**ბილ ბრაუდერი**
*„მაგნიტსკის აქტის" ავტორი*



ეს-ეს არის შევხვდი **თემურ ალასანიას** და მასიმო დი ანჯელის, რათა განგვეხილა **„მაგნიტსკის სიის"** დასრულება იმ პირებისთვის, ვინც მიხეილს ციხეში აწამებს. **მიხეილი კვდება და დრო მთავარია.**

„ტვიტერი"

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**„მაგნიტსკის სიის"** ავტორი ლონდონში **თემურ ალასანიას** შეხვდა — ნეტა **ლიტვინენკოს** ისტორია თუ ახსოვს მისტერ **ბროუდერს?**

„ტვიტერი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



თუ ოპოზიცია სექტემბერ-ოქტომბერში ისეთივე მდგომარეობაში იქნება, როგორშიც დღეს არის, ჩათვალეთ, რომ **2024 წლის არჩევნები „ქართულ ოცნებას" გარანტირებულად აქვს მოგებული.**

„კვირის პალიტრა"

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



ავის მსურველებმა **ვერ შეძლეს საქართველოს ომში ჩათრევა,** სამაგიეროდ, უკრაინის ზოგიერთი ჩინოვნიკი აპირებს, **ჩვენ გაგვიხსნას მეორე ფრონტი,** რასაც სიტყვიერად და განცხადებების დონეზე, მგონი, ახერხებს კიდეც.

„იმედინიუსი"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



პოლიტიკური მეორედ მოსვლაა, სახელმწიფოებრივ საქმეებზე საუბრისას გვერდით დაიყენო **რუსული სახელმწიფოს აგენტი** საქართველოში **ლიაკა ხოშტარია.**

„იმედინიუსი"



«გიული,

კარგად გაიხსენე, რამდენი წლისა ხარ და ასაკის შესაბამისად ჩაიცვი! რას გავხარ, რა ფუფალას დაემსგავსე, სინდის-ნამუსი სულ დაკარგე?! მთელი საზოგადოება დაგცინის და არ გრცხვენია?“



„გიული ალასანიას ბაბუა, პროფესორი ნიკუშა წერეთელი ჩემი უსაყვარლესი ბიძა იყო და სად ჰქონდა მას ფული?“

*ელიზბარ ჯაველიძე:*

# ვინც გინდა გახდეს ნაცების თავმჯდომარე, ბოდიში მომითხოვია და, ნაგავი ნაგვად დარჩება!

***აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე საკაშვილისა და ნაცსექტის გარშემო განვითარებულ პროცესებს ეხმიანება და ახალი თავმჯდომარის არჩევნების კვირაძალს გიული ალასანიას საგანგებო განცხადებით მიმართავს:***

— დავიწყოთ იმით, რომ ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში მკვლელებისა და მოღალატეების პარტია უკვე დამთავრებულია! დიახ, ნაცების თავმჯდომარეობის ყველა კანდიდატი არარაობაა! ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — **ნაცები უნდა ამოიძირკვონ!** ჯერ კიდევ 2016 წლის 10 ივლისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლის ძალითაც ადამიანების წამებაში, მკვლელობაში, გაუპატიურებასა და პოლიტიკურ დევნაში მხილებულ ნაცებს საჯარო და კერძო სივრცეში პოლიტიკური საქმიანობა უნდა აკრძალვოდათ. ქალბატონმა **მანანა კობახიძემ,** რომელიც მაშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერი იყო, ეს დადგენილება შემდგომი რეაგირების მიზნით, სამართალდამცავ სტრუქტურებსა და უცხოეთის საელჩოებს გადაუგზავნა, მაგრამ ამით ყველაფერი მორჩა. **რატომ არ სრულდება ეს დადგენილება და რატომ ბოგინობენ დღეს ისევ ნაცები, რომლებმაც ქვეყნის ტერიტორიები ჩააბარეს?** ეს ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის დიდი სირცხვილი და თავის მოჭრაა!

**დანამდვილებით ვიცი, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, სულ მცირე, 6 ათასი უმძიმესი საქმე მაინც არის თაროზე შემოდებული, რომელსაც ხელს არ ჰკიდებენ, რადგან ამ საქმეებში ნაცების მიერ ჩადენილ სიბინძურეებზეა ლაპარაკი!**

როგორც მითხრეს, რამდენიმე დამწყები პროკურორი, როცა ეს საქმეები გადაათვალიერა, გულწასული დაეცა და ძლივს მოასულიერეს!

**— ბატონო ელიზბარ, როგორც ამბობენ, ყველა ეს მასალა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გაანადგურეს!**

— ჰოდა, ეს იყო ამ ხელისუფლების უდიდესი შეცდომა! **ეს მასალები კი არ უნდა გაენადგურებინათ, არამედ ქართველი ხალხისთვის ეჩვენებინათ, რათა სააკაშვილისა და მისი ხროვის ამორალური სახე ყველას დაენახა.** არადა, ვიცი, რომ ეს მასალები სადღაც კიდევ არის შემორჩენილი და უნდა გამოქვეყნდეს, რათა ნაცებს ქუჩაში გამოსვლის ეშინოდეთ! ხაბეიშვილს, მელიას, მუმლაძესა და მამულაშვილს საერთოდ რა უნდათ საქართველოში? ნონა მამულაშვილის ძმა ხომ უკრაინაშია და წავიდეს და იომოს მასთან ერთად! **ვინც გინდა გახდეს ნაცების თავმჯდომარე, ბოდიში მომითხოვია და, ნაგავი ნაგვად დარჩება!** მე საერთოდ დიდ სირცხვილად მიმაჩნია ამ ხელიდან წასულ ხალხსა და გარეწრებზე ლაპარაკი! ესენი სექტანტებზე უარესები არიან... **გამოდიან და გაიძახიან — სააკაშვილმა სახელმწიფო შეგვიქმნაო! არადა, სწორედ სააკაშვილია ამ ქვეყნის პირველი მტერი. რაც სააკაშვილმა საქართველოს ავნო, იმდენი უბედურება თემურ-ლენგსა და ჩინგიზ-ხანს არ ჩაუდენიათ!**

**— სხვათაშორის, სააკაშვილის დედა გაიძახის — ჩემი შვილი წმინდანია, რომელმაც ქვეყანა წუმპიდან ამოათრიაო!**

— როგორც **გიული ალასანიაა** წმინდანი, ისეთივე წმინდანია **სააკაშვილიც,** რომელიც დედამისივით ბავშვობიდან ბოდავდა. **მოვუწოდებ ჩემს ნათესავ გიული ალასანიას: კარგად გაიხსენე, რამდენი წლისა ხარ და ასაკის შესაბამისად ჩაიცვი! რას გავხარ, რა ფუფალას დაემსგავსე, სინდის-ნამუსი სულ დაკარგე?! მთელი საზოგადოება დაგცინის და არ გრცხვენია?**

**— სააკაშვილმა გერმანულ „შპიგელს“ მისცა ვრცელი ინტერვიუ, სადაც განაცხადა — ვინც საქართველოში ჩამოსვლას მაძალებდა, არ გამოვრიცხავ, მათ შორის რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები იყვნენ ჩანერგილიო! თავის მხრივ, გიული ალასანიამაც იმავე ჟურნალს განუცხადა — ჩემი შვილი კვდებაო! რას იტყვით?**

— მანამდე გიული ალასანია აცხადებდა, რომ მან **თემურ ალასანიასთან** ერთად უკრაინაში ჩააკითხა სააკაშვილს და ურჩია — არ ჩამოხვიდეო! იმასაც ამბობდა — ყველაზე მთავარი ის არის, რუსეთი რას იზამსო! **დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოყვანა სწორედ რუსეთთან იყო შეთანხმებული და, მითუმეტეს, უკრაინის ომის ფონზე.** კარგად მახსოვს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ტაკიმასხარა და შარვალჩახდილი ზელენსკი როიალზე უკრავდა და დაგვცინოდა — **ქართველებმა ჩაისვარესო! უკრაინელებმა რუსებს თავიანთი ქვეყანა ხომ გაანადგურებინეს და ახლა ჩვენთან რაღა უნდათ?**

**— სააკაშვილმა განაცხადა — დედაჩემი ბინის გაყიდვას აპირებს, რადგან ადვოკატებისა და ექსპერტების მომსახურება ძვირი გვიჯდებაო! სააკაშვილის ოჯახს მართლა გაუჭირდა?**

— აურაცხელი ქონების პატრონები არიან და რას მიქვია, გაუჭირდათ?! **გიული ალასანიამ, ათეულობით მილიონი დოლარის ქონება რომ უპოვეს, ურცხვად განაცხადა — ეს ყველაფერი ბებიაჩემმა და ბაბუაჩემმა დამიტოვესო!** გიული ალასანიას ბაბუა, პროფესორი **ნიკუშა წერეთელი** ჩემი უსაყვარლესი ბიძა იყო — დედაჩემის ძმა და სად ჰქონდა მას ფული? დავუწერე კიდეც — **გიული, წილში გამიყვანე, არ დაგავიწყდე-მეთქი!** სად ჰქონდა ცხონებულ ბიძაჩემს ფული და ქონება, გიულისთვის რომ დაეტოვებინა? ათი წელი გადასახლებაში იყო, მერე ჩამოვიდა, იწვალა, იჯახირა, ოროთახიანი ბინა მისცეს, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, ჭიათურაში სპექტაკლებს დგამდა, წერდა და ასეთ კაცს ფული ექნებოდა? სააკაშვილსა და მის ოჯახს უზარმაზარი ქონება აქვთ მიტაცებული და მხოლოდ კომერციული ფართების გაქირავებით აურაცხელი შემოსავალი შესდით... აი, სწორედ ამ შემოსავლებიდან უხდიან იმ ამერიკელ ადვოკატებსა და ექსპერტებს.

**— სააკაშვილის პატიმრობას როგორ აფასებთ?**

**– სააკაშვილი ოროთახიან ლუქსში კი არ უნდა იყოს ნამოწოლილი, ყველაზე ბნელ ჯურღმულში უნდა ჩააგდო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯო!**

მიუხედავად იმისა, რომ ახლო ნათესავია, რაც გინდა მოხდეს, სააკაშვილისადმი ჩემი დამოკიდებულება არ შეიცვლება! **ამ ხელისუფლებას დღეს თუ რამ ნაკლი აქვს, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ამ გარეწარ სააკაშვილსა და სხვა დამნაშავეებს ძალიან ელოლიავება.**

**„ვიცი, რომ ეს მასალები სადღაც კიდევ არის შემორჩენილი და უნდა გამოქვეყნდეს, რათა ნაცებს ქუჩაში გამოსვლის ეშინოდეთ!“**

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

# ასავალ-დასავალი

№8-9 (176-177) ★ 2023 წლის 30 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან


# ქართველო ჯარისკაცებო, ნუ მოუკლავთ შვილებს მამებს!

*წინამდებარე წერილი ჩემი კოლეგის, პოლიტოლოგ არნო ხიდირბეგიშვილის ვრცელი პუბლიცისტური ნაშრომის „ვიეტნამის სინდრომის“ ერთგვარი სემანტიკური გაგრძელებაა, რომელიც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა.*

**ბატონმა არნომ საგარეჯოში დატრიალებული საშინელი სისხლიანი ტრაგედია, რომლის შემზარავი დეტალებიც საზოგადოებისთვის ნელ-ნელა ცნობილი ხდება, გლობალურ კონტექსტში განიხილა და შემზარავი დასკვნა გამოიტანა — ნოდარ ათუაშვილს, რომელმაც საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან ავტომატით ხუთი კაცი მოკლა, ეგონა, რომ ავღანეთში აფხაზეთისთვის იბრძოდაო!**

სხვათაშორის, როცა აწ განსვენებულმა **პანტელეიმონ გიორგაძემ** 90-იანი წლების მიწურულს რომელიღაც ქართულ გაზეთს ვრცელი ინტერვიუ მისცა და განაცხადა — **კუბაშიც, ანგოლაშიც, ეგვიპტეშიც, ვიეტნამშიც, ავღანეთშიც, სირიაშიც საქართველოს ვიცავდითო!** — ახლად წამოყელყელავებულმა ლიბერასტ-კონჩიტებმა, რომლებმაც ფილარმონიაში „სამოქალაქო ფორუმი“ ჩაატარეს და მთელი თავიანთი სექტა შეჰყარეს, მოხუც გენერალს სიცილი დააყარეს და მასხრად აიგდეს!

გამოხდა ხანი, 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში „ტყუპები“ ააფეთქეს და ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთში ისე შევარდა, როგორც ბაკულას ღორები — ზენათისა და გალაქტიონის ბოსტანში. ავღანეთს ერაყი მიაყოლეს, ერაყს — ლიბია, ლიბიას — „არაბული გაზაფხული“... თუმცა, მანამდე იყო ის საშინელება და უბედურება, რომელიც გლობალურმა დასავლეთმა სომალიში დაატრიალა...

**ე.წ. „აისაფის“ პროგრამით, თითქმის ყველა ამ ცხელ წერტილში ქართველი ჯარისკაცები წაასხეს, რომელთა სიცოცხლეც 600-დან 700 ამერიკულ დოლარამდე იყო შეფასებული მაშინ, როცა თითოეულ ამერიკელ ჯარისკაცს ყოველთვიურად ათასებს უხდიდნენ, ხოლო ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევაში ოჯახს მილიონი ამერიკული დოლარით ასაჩუქრებდნენ.**

მიდიოდნენ და მიიჩქაროდნენ ქართველი ბიჭები ამ 600 თუ 700 ამერიკული დოლარის გულისთვის და ჰერათსა და ყანდაარში, მოსულსა და ბაღდადში, ერითრიასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და, როგორც თავად აცხადებდნენ, **„მსოფლიო მშვიდობასა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და უსაფრთხოებას იცავდნენ“!**

მოკლედ, ის, რასაც საბჭოთა მესაზღვრე, გენერალი **პანტელეიმონ გიორგაძე** გულწრფელად გვიმტკიცებდა და ლიბერასტ-კონჩიტებისთვის ასე სასაცილოდ ჟღერდა, ახლა უკვე ამერიკული იმპერიალიზმისთვის სასაცილო და საღლაბუცო სულაც აღარ იყო, რადგან ყველა იმპერია, დამპალი იქნება ის, ნახევრად დამპალი, ბრწყინვალე თუ სიდამპლეშეპარული, სხვის მიწაზე თავის ძალადობრივ ყოფნასა და ბატონობას, როგორც წესი, ხან — „მსოფლიო მშვიდობისა“ და „წესრიგის“ ფაქტორით, ხანაც დამონებული ერის ინტერესებზე თავგადაკლული ზრუნვით ხსნის.

**ამას ამტკიცებდნენ ესპანელი კონკისტადორები,** როცა აცტეკებსა და ინკებს ცეცხლზე წვავდნენ; **ამას იფიცებოდნენ ინგლისელი ლორდები,** როცა ბრიტანეთის პარლამენტში ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ, რათა ინდოეთიდან რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე გამოეზიდათ, ხოლო ინდოელი პატრიოტები ზარბაზნებით დაეფლითათ; **ამას ამტკიცებდნენ რუსები,** როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობას სპობდნენ და კავკასიის მთიელებს, მაგალითად, ოსებს, სამარცხვინო და ღირსების შემლახველ ეგზეკუციებს უწყობდნენ და **ამასვე ჩაგვჩიჩინებენ ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები,** რომელთა სპეცსამსახურებმაც მხოლოდ მეოცე საუკუნეში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 50-ზე მეტი სისხლიანი სამხედრო გადატრიალება, სასახლის

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

## გადაძახილი პოლიტოლოგსა და პუბლიცისტ არნო ხიდირბეგიშვილთან, „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული მისი წერილის კვალდაკვალ ★ ვიდრე ჰხვალ?!




## რატომ გვეშინია იმის თქმა, რომ ჩვენი ბიჭები სხვის ომში, იმ ჯოჯოხეთში მიდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის, რათა ავღანელი და ერაყელი ბავშვების მამები დაეხოცათ, ხოლო შემდეგ თავიანთ ოჯახებში სისხლიანი დოლარები ჩამოეტანათ!

# გადაძახილი პოლიტოლოგსა და პუბლიცისტ არნო ხიდირბეგიშვილთან, „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული მისი წერილის კვალდაკვალ




**ვიდრე ჰხვალ?! ★**

# ქართველო ჯარისკაცებო, ნუ მოუკლავთ შვილებს მამებს!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

კარის გადატრიალება, სოციალური ბუნტი, რევოლუცია თუ ამბოხი მოაწყვეს!

## თუ არა ვირეშმაკური იდეოლოგია ან ფული, ქართველ კაცს ავღანეთსა და ერაყში სასაკლაოზე ვერავინ შეიტყუებდა!

საქართველოს ისტორიიდან არ მახსენდება პრეცედენტი, რომ ქართველებს ფულის გულისთვის უცხო მიწაზე ვინმეს დედა გაემწარებინოთ! **თუ უბედური დემეტრე თავდადებული, გრიგოლ სურამელი, გიორგი მეთერთმეტე, უიღბლო სვიმონ მეფე, ბედდამწვარი გიორგი სააკაძე, ნაღალატევი ერეკლე მეორე და სხვა ქართველი გმირები უცხო მიწაზე სხვის ომში სისხლს ღვრიდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დაპყრობილი ქვეყნის შვილები იყვნენ!** სამშობლოდან არცერთი მათგანი ფულის გულისთვის არ გადახვეწილა და ქართველები ალამუთის, გილანის, ყანდაარის, ბაღდადისა თუ ალეპოს მისადგომებთან იმისთვის არ წაუსხამთ, რომ შინ დაბრუნებულებს თავიანთი ცოლ-შვილისთვის დოლარები ჩაეთვალათ! **ისინი ხან მონღოლების, ხან ოკუპანტი თურქეთის და ხანაც ყიზილბაშური ირანის დროშით იბრძოდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დაპყრობილი საქართველოს შვილები იყვნენ და თავს ზევით ძალა არ ჰქონდათ!**

**ახლა რა ღმერთი გიწყრებათ, ქართველებო?**

**ვინ მოგვცა ჩვენ დასაკარგავი შვილები, რომლებსაც ნახევრად შიზოიდი ნონა მამულაშვილის ძმა — ავანტიურისტი მამუკა მამულაშვილი ფულის სანაცვლოდ უკრაინის სასაკლაოზე მიერეკება?**

**„მიწა უცხო ჯარისკაცს ვერ იტანს!“** — ასე მიუგო ცხონებულმა **ზვიად გამსახურდიამ** თავის უახლოეს მეგობარსა და ინგუში ერის სასიქადულო შვილს **ისა ქაძოევს,** რომელიც გადატრიალების დაწყების წინ თბილისში საგანგებო მისიით ჩამოვიდა და საქართველოს პირველ პრეზიდენტს თბილისის ზღვაზე დაბანაკებული ქვეყნის დამაქცევრების ასალაგმავად ჩეჩნებისა და ინგუშების სამხედრო დახმარება შესთავაზა!

## საინტერესოა, ავღანეთისა და ერაყის მიწამ რამდენად აიტანა ქართველი ჯარისკაცები? ისიც საკითხავია, ქართველ ჯარისკაცს რამდენად იტანს უკრაინის მიწა, სადაც უკვე სამჯერ მეტი მებრძოლი დავკარგეთ, ვიდრე ავღანეთსა და ერაყში...

ეს წერილი იმიტომ დაიწერა, რომ ჩვენ ჩვენი გვაქვს სატირალი და სავიშვიშო... **ავღანეთისა და ერაყის სისხლიანი სამხედრო კამპანია ორმოცი საჯიშე ქართველის სიცოცხლედ დაგვიჯდა, მაგრამ ვინმემ დათვალა, რა დაუჯდა იმავე ავღანეთსა და ერაყს ამერიკულ სამხედრო ფორმაში გამოჭიმული და ამერიკულ ტანკებსა და საბრძოლო „ჰამერებზე“ გადამჯდარი ქართველების საბრძოლო ყიჟინა?**

რატომ გვეშინია იმის თქმა, რომ ჩვენი ბიჭები სხვის ომში, იმ ჯოჯოხეთში მიდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის, **რათა ავღანელი და ერაყელი ბავშვების მამები დაეხოცათ, ხოლო შემდეგ თავიანთ ოჯახებში სისხლიანი დოლარები ჩამოეტანათ!**

ვიცით კი, რამდენი ბავშვი დააობლა შორეულ ყანდაარსა და ბაღდადში უბედურმა **ნოდარ ათუაშვილმა,** რომელსაც თავი შესაძლოა, მართლაცდა ავღანეთში ეგონა და ნაახალწლევს თავისიანებს დაერია?

არც **დიდ სტალინს,** რომელმაც რუსი ერი მთელ მსოფლიოს თავზე დაასვა და არც **პეტრე ბაგრატიონს,** ნაპოლეონს რომ სისხლი გაუშრო, ტრიუმფი და დიადი გამარჯვებები რუსებმა არ დაუფასეს! საქვეყნოდ ცნობილია, რომ რუსეთში მათ საფლავებსა და სახელებს ნაგავი მიაყარეს, რადგან **სტალინიც და პეტრე ბაგრატიონიც** ქართველები იყვნენ და აქედან გამომდინარე, რუსები ქვეცნობიერად მიიჩნევდნენ და დღესაც ასე ფიქრობენ, რომ როგორც ერთმა, ისე მეორე გენიამ არა საქართველოსთვის ატეხილ ჯოჯოხეთში, არამედ **„სხვის ომში“** გაიბრწყინა...

**ამიტომაც დააფასეს და განადიდეს ბაგრატიონზე მეტად მიხეილ კუტუზოვი!**

**ამიტომაც დაუდგეს ძეგლი მორროდიორ გიორგი ჟუკოვს და უწოდეს „მარშალ პობედი“, ხოლო სტალინის სახსენებელი აკრძალეს!**

უკრაინაში ატეხილი ომიც „სხვისი ომია“...

ქართველო ჯარისკაცებო, **სტალინს, ბერიასა** და **ბაგრატიონს** არ დაუმადლეს და არც თქვენ დაგიმადლებენ, იცოდეთ!



**ვიდრე უკრაინის ჯოჯოხეთში ფეხს შედგამდეთ და ნაძირალა მამუკა მამულაშვილს სიკვდილის კონტრაქტზე ხელს მოუწერდეთ, გახსოვდეთ, რომ ჩვენ ჩვენი გვაქვს დასაცავი, ხოლო მიწა უცხო ჯარისკაცს ვერ იტანს!**

*დიტო ჩუბინიძე*

## ვიცით კი, რამდენი ბავშვი დააობლა შორეულ ყანდაარსა და ბაღდადში უბედურმა ნოდარ ათუაშვილმა, რომელსაც თავი შესაძლოა, მართლაცდა ავღანეთში ეგონა და ნაახალწლევს თავისიანებს დაერია?



*ნოდარ ათუაშვილი*

# ჟუმბერ პატიაშვილი:

# ჟიული შარტავა შევარდნაძემ მოკლა!



*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2022 წლის №43-44, 2023 წლის №1-2, 3-4, 5, 6-7*

***საბჭოთა საქართველოს ცეკას მდივანი ჟუმბერ პატიაშვილი „გენერალისიმუსთან“ ვრცელ საგაზეთო საუბარს წინამდებარე ინტერვიუთი ასრულებს... კომუნისტური საქართველოს ლიდერი 9 აპრილის ტრაგედიის პერიპეტიებისა და ცეკაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების ფონზე საქართველოს ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას იხსენებს და აცხადებს, რომ ქვეყანას დღეს აქვს ერთადერთი პერსპექტივა — რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ხარჯზე აფხაზებთან და ოსებთან კავშირების აღდგენა:***

— 1989 წლის 8 აპრილს აქტივის კრებას რომ ვატარებდი, უეცრად თბილისის თავზე ვერტმფრენებმა გადაიფრინეს, გამოჩნდა ტანკიც. გენერალი **იგორ როდიონოვი** და **კოჩეტოვი** იმ აქტივის კრებაზე დაპატიჟებული არ მყოლია, უცბად გამოჩნდნენ... მაშინვე მივუტრიალდი **როდიონოვს** და ვკითხე — აქ ტანკს რა უნდა-მეთქი? ამაზე **კოჩეტოვმა** მიპასუხა — ბაქოში 100-ათასკაციანი აქცია ტარდებოდა და სწორედ მაგ ტანკებით დავშალეთო! მე ვუთხარი — ბაქოში კი დაშალეთ, მაგრამ თბილისი რა შუაშია-მეთქი?! უკვე ის საშინელი 9 აპრილი თენდება, 03:30 საათი იყო, ვიცოდი, რომ 04:00 საათზე მიტინგი უნდა დაწყებულიყო და მიტინგზე **ილია მეორე** უნდა მისულიყო. დავეძებდი **იგორ როდიონოვს,** რომელსაც, როგორც იქნა, დავუკავშირდი და ტელეფონით ველაპარაკე...

**— ბატონო ჯუმბერ, მომიტინგეებთან რომ ჩასულიყავით, იქნებ ვითარება განმუხტულიყო!**

— მითხრეს, რომ მთავრობის სასახლის წინ ჩემ ჩასვლას არავითარი აზრი არ ჰქონდა, პირიქით, არსებობდა დიდი საფრთხე, რომ ვინმეს პროვოკაცია მოეწყო. წინა საუბრების დროს უკვე გითხარით, რომ, როგორც წლების შემდეგ გავარკვიე, თურმე, არათუ პროვოკაცია, არამედ ჩემი განადგურებაც კი იგეგმებოდა და ჩემი ლიკვიდაციის მიზნით, რუსთაველის პროსპექტზე სნაიპერები იყვნენ ჩასაფრებული.

**— როდიონოვს რაზე ელაპარაკეთ?**

— გენერალ **იგორ როდიონოვს** ვთხოვდი, რომ მიტინგის დასაშლელად სპეციალური აქცია არ ჩაეტარებინა! — ჯუმბერ ილიჩ, ესლი ეტო მი ნე პრიოსტანოვიმ, სუმგაიტ პავტარიტსია! — მიპასუხა **როდიონოვმა.** არადა, მე სუმგაითი ნანახი მქონდა და ვიცოდი, რა საშინელება დატრიალდა იქ. როცა ყველაფერი მორჩა და უბედურება თავს დაგვატყდა, **იგორ როდიონოვმა** რომელიღაც რუსულ გაზეთში დაწერა — ჩტო ია მოგ სდელატ, კაკ სალდატ? ია ვიპოლნიალ პორუჩენიე! ა კაკ რიადავოი კომუნისტ, ნიჩეგო ნე მოგ სდელატ პატიაშვილი!

**— კიდევ ერთხელ გეკითხებით — ტრაგედიამდე ერთი დღით ადრე, 1989 წლის 8 აპრილს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე თბილისში იყო ჩამოსული და თქვენ, რესპუბლიკის პირველმა პირმა, ასეთი მაღალი რანგის სტუმრის ჩამოსვლის შესახებ არაფერი იცოდით?**

— დიახ, არ ვიცოდი, რადგან უნდა ჩამოსულიყო ლიტერი და მაგის თავი მქონდა? ლიტერი მიდის და მოდის და სად მეცალა მაგის გასაკონტროლებლად, როცა ქვეყანა თავზე გვემხობოდა? **ხოლო ის, რომ შევარდნაძე 8 აპრილს ნამდვილად იყო ჩამოსული, ჩემთვის მაშინ არავის უთქვამს.** კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ეს ამბავი 1989 წლის მაისში, მოგვიანებით შევიტყვე ერთი ქალბატონისგან, რომელიც დეპუტატების ოთახში მუშაობდა და მითხრა — 8 აპრილს **გივი გუმბარიძეს** გავყევი აეროპორტში, სადაც ის თვითმფრინავში შევიდა და შეხვდა შევარდნაძეს. შევარდნაძე დავინახე თუ არა, მაშინვე კარი მომიხურეს და იქაურობას მომაშორესო!



**„ამას ვერ დავამტკიცებ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჟიული შარტავას ეს სატელეფონო საუბარი ჩაიწერეს და შევარდნაძეს მაგიდაზე დაუდეს!**

**ა, სწორედ ამის შემდეგ იყო, შევარდნაძემ ჟიული შარტავა ალებულ სოხუმში რომ გაგზავნა და მოკლა!“**

**— მაშინდელ პროცესებში შევარდნაძე რომ არ ჩარეულიყო, ჩვენი ქვეყნის საქმე როგორ წარიმართებოდა?**

— არ ვიცი, ძნელია იმის თქმა, რა მოხდებოდა... უბრალოდ, ჩვენ ერთ რამეს ვივიწყებთ და ამაზე დღეს არც ლაპარაკობენ, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, სწორედ საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა! მე მისაუბრია საფრანგეთში ჩვენს ემიგრანტებთან და იცით თუ არა, რომ **ნოე ჟორდანიას** მთავრობის წევრები ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ? მეორე — აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ხელშეკრულებით შემოდიოდა და მხოლოდ **ბერიას** ცეკას მდივნობის დროს მიიღო მან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. საქართველოს დღეს აქვს ერთადერთი პერსპექტივა — რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ხარჯზე აფხაზებთან და ოსებთან კავშირების აღდგენა! რუსეთის როლი ამ საქმეში შეუფასებელია, რუსეთის ფაქტორის იგნორირებით საქართველო ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს! ახლა გაიძახიან — უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ ომში იმარჯვებსო! რას იმარჯვებს უკრაინა, როცა ქვეყნისგან, ფაქტობრივად, აღარაფერია დარჩენილი?

**— როგორ დასრულდება უკრაინის ომი?**

— **უკრაინას დაშლიან! კაცმა რომ თქვას, უკვე დაშლილია... ეს მსოფლიო ომია.** რასაც ევროპარლამენტი აკეთებს, როცა ყველას და, მათ შორის, ჩვენ ჭკუას გვასწავლის, ამის გაკეთება როგორ შეიძლება? ასე საქართველოს კრემლიც კი არ ექცეოდა!

**— ბიძინა ივანიშვილს იცნობთ?**

— ვიცნობ! ბიძინას შესახებ კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი... სოფლის მეურნეობას ვკურირებდი და ზუსტად ვიცი, რომ საბჭოთა საქართველოს 30 ათასი ტრაქტორი ჰყავდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ 30 ათასი ტრაქტორი ორ წელიწადში გააქრეს და ჯართში ჩააბარეს! იმ დაქცეულ დროს, 90-იან წლებში, **ბიძინა ივანიშვილმა** საქართველოში ხუთასი ტრაქტორი ჩამოიყვანა და სწორედ მაშინ გავიცანი ეს ღირსეული კაცი. სართიჭალასთან ეს ხუთასი ტრაქტორი რომ დავინახე, გაოცებული დავრჩი და იმედი მომეცა. გავიფიქრე — როგორც ჩანს, ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული-მეთქი! ჭორვილაშიც ვყოფილვარ, ბიძინას დედასაც ვიცნობდი... მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა ამ კაცზე!

**— ირაკლი ღარიბაშვილი როგორი კაცია?**

— ირაკლი ძალიან წესიერი და პატრიოტი ახალგაზრდაა და წარმატებებს ვუსურვებ!

**— ასლან აბაშიძის შესახებ რას იტყვით?**

— რა უნდა ვთქვა, **ასლან აბაშიძე** თბილისში მე ჩამოვიყვანე და ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. საერთოდ, აბაშიძეების მიმართ პატივისცემა ყოველთვის მქონდა, განსაკუთრებით ამ მხრივ ცნობილ მოჭიდავეს **როსტომ აბაშიძეს** გამოვარჩევ, რომელიც აი, აქ, **ბაქრაძეების ოჯახში** იზრდებოდა.

**— რატომ გაიყო თქვენი და ასლან აბაშიძის გზები?**

— ჩემი და ასლანის დაპირისპირების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მან 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯერ ფარულად და შემდეგ ღიად **შევარდნაძის კანდიდატურას** დაუჭირა მხარი! მქონდა ამ თემაზე საუბარი აწ გარდაცვლილ **ბეჟან ხურციძესთან,** რომელმაც მითხრა — შევარდნაძესთან

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*



**რაც არასოდეს მითქვამს...**

# «მე და სოლიკო ხაბეიშვილი ჩოგბურთს რომ ვთამაშობდით და სოლიკო ბურთს გააფუჭებდა, ჟიული აუცილებლად იტყოდა – ბადე ცოტა დაბალზე უნდა იყოს, მაღლაა აწეულიო!»

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ასლანის დაპირისპირება არ გამოვაო!

**— მაინც როგორ დაუჭირა ასლან აბაშიძემ შევარდნაძეს მხარი?**

— ბათუმის თეატრში ხალხთან შეხვედრა რომ მქონდა დანიშნული, **ასლან აბაშიძემ** კარი ჩამიკეტა და თეატრში არ შემიშვა! გაგვიშვეს მეზობელ რაიონში... იქიდან რომ გამოვუარე, ასლანს მადლობა გადავუხადე და ვუთხარი — ჩვენ ერთმანეთს აწი აღარ შევხვდებით, მაგრამ იცოდეთ, რაც მე გამიკეთეთ, ყველაფერი უკან დაგიბრუნდებათ-მეთქი! ასლანის მეუღლე, **ქალბატონი მაგული**, ძალიან კარგი ქალი იყო, კარგი პიროვნება...

**— ერთ შეკითხვაზე მაინც არ მაქვს პასუხი! თუ შევარდნაძე და გორბაჩოვი უცხო ძალის ინტერესებს გამოხატავდნენ, რატომ არ ჰქონდათ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა? გორბაჩოვი შევარდნაძეზე ეჭვიანობდა და ფიქრობდა, რომ ედუარდი მის ადგილს უმიზნებდა?**

— არ მგონია, **გორბაჩოვი** არ იყო ასეთი ეჭვიანი კაცი... საერთოდ, „პერესტროიკის" იდეოლოგთაგან ყველაზე უფრო მდაბალი სულის ადამიანი იყო **ალექსანდრე იაკოვლევი**, რომელიც საშინლად ვერ იტანდა **სტალინს**. 1989 წლის თებერვალში იაკოვლევი ცოლთან ერთად ბორჯომში ისვენებდა. ჩავედი, მოვინახულე, ბაკურიანში წავიყვანე, ვარძია დავათვალიერებინე... ვარძიაში სადილობისას რაიკომის მდივანმა გვერდზე გამიხმო და მითხრა — ჯუმბერ ილიჩ, იაკოვლევისთვის საჩუქრად წიგნები და ხანჯალი მაქვს მოტანილიო! მე ვუთხარი — ეს ხანჯალი მოაშორე, მაგრამ წიგნები აჩუქე-მეთქი! რაიკომის მდივანი ამას რომ მელაპარაკებოდა, საჩუქრებს თვალი ჰკიდა **იაკოვლევის** დაცვამ, რომელმაც პატრონს მაშინვე ყველაფერი მოახსენა. რამდენიმე ხნის შემდეგ რაიკომის მდივანმა მითხრა — თქვენ რომ თბილისში წაბრძანდით, იაკოვლევის დაცვა საგანგებოდ ჩამოვიდა და ხანჯალი წაიღოო! აი, ასეთი უტვინოები და პატარა კაცები იყვნენ...

**— ჟიული შარტავა ვინ მოკლა?**

— **ჟიული შარტავა შევარდნაძემ მოკლა!** ამ ამბავში დეტალურად არის ჩახედული **ბორის კაკუბავა**, რომელმაც ჟიული უკანასკნელად გააფრთხილა და მეგრულად უთხრა — სად მიდიხარ, სოხუმი აღებულიაო! ჟიული კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მე დავნიშნე. შემდეგ, როცა მე ვიყავი პირველი მდივანი, ის მეორე მდივანი გახლდათ... ძალიან ახლოს ვიყავი დედამისთანაც და მამამისთანაც. ჟიული ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ, იცით, როგორი თვისება ჰქონდა? აი, მაგალითად, მე და **სოლიკო ხაბეიშვილი** ჩოგბურთს რომ ვთამაშობდით და სოლიკო ბურთს გააფუჭებდა, ჟიული აუცილებლად იტყოდა — ბადე ცოტა დაბალზე უნდა იყოს, მაღლაა აწეულიო! (იცინის) სხვათაშორის, **სოლიკო ხაბეიშვილს მჟავანაძის დროს კომკავშირის ცეკას მეორე მდივნობიდან მოხსნას და გაფუჭებას უპირებდნენ, მაგრამ მე დავუჭირე მხარი და გადარჩა.**

**— სოლიკო ხაბეიშვილს მჟავანაძის დროს რას ერჩოდნენ?**

— მთაში ალპინისტები დაიღუპნენ და რადგან სოლიკო ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, პასუხს სთხოვდნენ! 1984 წელს საგარეჯოში რაიკომის მდივნების თათბირზე, რომელსაც **შევარდნაძეც** ესწრებოდა, სიღნაღის რაიკომის მდივანმა **ბუჩუკურმა** განაცხადა — წელს 30 ათას ტონა ყურძნის მოსავალს ავიღებთო! მაშინ დარგის ხელმძღვანელი ვიყავი და ვკითხე — 200 ჰექტარიდან 30 ათას ტონა ყურძენს როგორ აიღებ-მეთქი? — მოსახლეობისგანაც ჩავიბარებთო! შევარდნაძეს ეს ამბავი აშკარად არ ესიამოვნა, თათბირი ჩაიშალა და წამოვედით. ორშაბათს უკვე შევარდნაძესთან იყო თათბირი დანიშნული, სადაც გამოვედი და ვთქვი — ამ რაიკომის მდივნებს ყურადღება მივაქციოთ, თორემ ისე თვითნებობენ და ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რაღაც უბედურებას გადაგვკიდებენ. ამიტომ ბიუროზე ყველა მოვიწვიოთ და რაიკომის მდივნებს მოვუსმინოთ-მეთქი! ეს რომ ვთქვი, **ჟიული შარტავა** ადგა და განაცხადა — რაიკომის მდივნების ავტორიტეტს უნდა გავუფრთხილდეთო! ეს ვერ მოვითმინე და იქვე მკაცრად ვუპასუხე — გავუფრთხილდეთ კი არა, ესენი ჩვენ როგორ გვიფრთხილდებიან, კარგად ვიცი, მაგათ გადამკიდე ხალხში თავი აღარ გამოგვეყოფა, დაგვცინიან და ჩვენზე ანეკდოტები დადის — ყურძენი გაგვითავდა და რთველი გავაგრძელოთ თუ არა-მეთქი...

**— ეს შევარდნაძის თვალწინ მოხდა?**

— დიახ, შევარდნაძის თვალწინ მოხდა! ბოლოს და ბოლოს, დავშოშმინდით, მაგრამ ჟიულიმ ეს წყენა ვერ გადახარშა... გავიდა ცოტა ხანი და სიღნაღის რაიკომის მდივნის **ბუჩუკურის** მუშაობის განზოგადება მოაწყვეს, რასაც მხარს უჭერდა **ხაბეიშვილი**. წამოვდექი და ვთქვი — თქვენ, ხალხო, ნორმალური ხართ-მეთქი? დავურეკე **გუგული დანელიას** — ეს საკითხი ბიუროდან მოხსენით, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ-მეთქი! — მე რა ვქნა, **ხაბეიშვილმა** მითხრა, საკითხი შევარდნაძესთან არის შეთანხმებულიო! — მიპასუხა გუგულიმ. როგორც მერე გაირკვა, თურმე, მოსკოვში **პონომარიოვის** ადგილას შევარდნაძის გადაყვანაზე მიდიოდა ლაპარაკი, ხოლო საქართველოში ცეკას მდივნად **სოლიკოს** უნდოდა მოსვლა... ამიტომ ამზადებდნენ ხალხს და ამიტომაც იყო ერთი ამბავი. **იგორ პონომარიოვი** ცეკას მდივანი იყო, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას კურირებდა.

**— ჟიული შარტავას მივუბრუნდეთ!**

— შევარდნაძემ ჟიული აფხაზეთში რომ წაიყვანა, შარტავა მას ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა, თუმცა, მასთან დაპირისპირებას ვერ ბედავდა.

**— ჟიული შარტავა შევარდნაძის კადრი იყო?**

— კი, შევარდნაძის კადრი იყო! **მე და ჟიული რომ ერთმანეთს ვიცნობდით, შევარდნაძე მაშინ საერთოდ არ ჩანდა, მაგრამ ჟიული აშკარად მისი კადრი იყო. ბორის პასტუხოვი** საკავშირო კომკავშირის ცეკას მდივანი გახლდათ, რომელსაც ჟიული კარგად იცნობდა. აფხაზეთის ომის დროს რუსებმა ჩვენ შემოგვთავაზეს ასეთი რამ — ჯარს ჩავაყენებთ, ომს შევწყვეტთ და მოვილაპარაკოთო! შევარდნაძემ ამაზე უარი თქვა... სწორედ ამ თემაზე ელაპარაკა ჟიული **ბორის პასტუხოვს** და ტელეფონში შევარდნაძეზე უთხრა — **ეტოტ სტარიკ სავსემ ოხ...ელ!** (ცენზურა ჩვენია. რედ.) ამას ვერ დავამტკიცებ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ **ჟიული შარტავას** ეს სატელეფონო საუბარი ჩაიწერეს და შევარდნაძეს მაგიდაზე დაუდეს! **აი, სწორედ ამის შემდეგ იყო, შევარდნაძემ ჟიული შარტავა აღებულ სოხუმში რომ გაგზავნა და მოკლა!**

1988 წელს, როცა ჟიული რუსთავის ქალაქკომის მდივანი იყო, მოსკოვმა შეგვამოწმა. რუსთავისა და თბილისის ბინათმშენებლობაში დაფიქსირდა მიწერები. კერძოდ, 180 ათასი კვადრატული მეტრი ბინა ქაღალდზე არსებობდა, მაგრამ რეალობაში — არა! აქედან 150 ათასი კვადრატული მეტრი დაფიქსირდა თბილისში, ხოლო 30 ათასი — რუსთავში. ბიუროზე იხილებოდა ეს საკითხი, რომელსაც ესწრებოდა რუსთავის აღმასკომის თავმჯდომარეც. ეს კაცი წამოდგა და იქვე მყოფ ჟიულის დაადო ხელი — **მე რას მერჩით, ამან დამავალა ყველაფერიო!** მოკლედ, რუსთავის აღმასკომის თავმჯდომარე გავათავისუფლეთ, ხოლო ჟიული საყოფაცხოვრებო მინისტრის პირველ მოადგილედ გადავიყვანეთ.

ჟიული ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და ლამის მეხვეწებოდა — **ცოლი მყავს ავად, სამკურნალოა, მოსკოვში მინდა წასვლა და გამიშვითო!** გავუშვი და წავიდა... სწორედ იმ წელს **შევარდნაძე** ჩამოვიდა მოსკოვიდან ლანჩხუთში, სადაც ჩავაკითხე.

### შევარდნაძემ ასეთი რამ მითხრა – ეს ჟიული რა გახდა, მაგის გამო მოსკოვში ტელეფონის ნომერი შევცვალე, ძალიან შემაწუხაო!

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, 14 აპრილს, თბილისში პლენუმი ჩატარდა, სადაც ჟიული სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ აირჩიეს! ასე დაბრუნდა ის მოსკოვიდან თბილისში...

**— შევარდნაძემ გადმოიყვანა?**

— ცხადია, შევარდნაძემ გადმოიყვანა, რადგან მისი კადრი იყო და, აბა, ვინ გადმოიყვანდა?! დაბრუნების შემდეგ შარტავას ერთხელ შევხვდი სვეტიცხოველში... ის დრო იყო, როცა შევარდნაძე აფხაზეთში აგზავნიდა. მაშინ ვუთხარი, რომ ფრთხილად ყოფილიყო, რადგან ეს იყო მისთვის მახე! ჟიულიმ ჩემს რჩევას ყური დიდად არ ათხოვა და ცოტა მედიდურად მიპასუხა, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო!

**— რაც მოსკოვიდან დაბრუნდა, შევარდნაძესთან თუ გქონიათ პირდაპირი შეხება?**

— 1994 წელს ჩემთან მცხეთაში ჩამოვიდა, რათა ჩვენი მუშაობა შეეფასებინა... დაესწრო თათბირს და მერე წეროვანში სუფრა გაშალა, სადაც არ წავედი, რადგან ჩემი ახლობლის დაკრძალვა იყო... ერთხელ პარლამენტის სესიაზე ვუთხარი — არის საკითხები, რაც მე და თქვენ ერთმანეთში უნდა გავარკვიოთ-მეთქი! ადგა და წავიდა... ასე დასრულდა ჩემი და შევარდნაძის ურთიერთობა!

**— სათქმელი კიდევ ბევრი გაქვთ?**

— ჩემი მთავარი სათქმელი მაინც ის არის, რომ ქართველები ერთმანეთს შეურაცხყოფას ნუ ვაყენებთ და ნუ ვაგინებთ, თორემ ეს ყველაფერი დარჩება და ამ სიბინძურეს ჩვენი შვილები წაიკითხავენ! ისე, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ამჯერად ასე იყოს... ვნახოთ, იმედია, ჩვენ კიდევ შევხვდებით!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**რაც არასოდეს მითქვამს...**



***სოლიკო ხაბეიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი და ედუარდ შევარდნაძე***

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# უკრაინას დაშლიან! კაცმა რომ თქვას, უკვე დაშლილია... ეს მსოფლიო ომია!



### „ასლანს მადლობა გადავუხადე და ვუთხარი – ჩვენ ერთმანეთს აწი აღარ შევხვდებით, მაგრამ იცოდეთ, რაც მე გამიკეთეთ, ყველაფერი უკან დაგიბრუნდებათ-მეთქი!"



**უფლებადამცველის თვალით**



„პოსეიდონებით" აღჭურვილი რუსული ატომური წყალქვეშა ნავი „ბელგოროდი"

***მაშინ, როდესაც ოპოზიციური ტელეკომპანიები ლამის პუტინის აღსასრულის თარიღს ასახელებენ და რუსეთზე გამარჯვების დროშას აფრიალებენ, უფლებადამცველი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ***

***მაშინ, როდესაც ოპოზიციური ტელეკომპანიები ლამის პუტინის აღსასრულის თარიღს ასახელებენ და რუსეთზე გამარჯვების დროშას აფრიალებენ, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ბირთვული ომის საფრთხე დღითი დღე რეალური ხდება:***

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ბირთვული ომის დაწყების საფრთხე ძალიან რეალურია!



— მოდით, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ, რომ ეს არის ომი რუსეთსა და **გლობალურ დასავლეთს** შორის. დიახ, 2022 წლის 24 თებერვალმა მთლიანად შეცვალა მსოფლიო წესრიგი. წარსულს ჩაბარდა ერთპოლარული ანგლო-საქსური ჰეგემონია, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პოლიგონი გახლდათ.

რუსეთის მხრიდან პირველი დემარში დასავლეთის წინააღმდეგ **ევგენი პრიმაკოვის** გაპრემიერმინისტრებას უკავშირდება. 2005 წელს რუსეთმა ბირთვული უსაფრთხოების დოქტრინა გამოაქვეყნა და პრევენციული დარტყმების მიყენების შესაძლებლობა განიხილა იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე დაემუქრებოდა. მოგვიანებით **პუტინმა** პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთს თავისი დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მისწრაფებები ექნებოდა. ამის შემდეგ მოვლენები უკრაინის კრიზისის გაღრმავებით გაგრძელდა, ხოლო 2014 წლიდან დაიწყო ლატენტური ომი და 8 წელი დასჭირდა **გლობალურ დასავლეთს**, რათა უკრაინის შეიარაღებული ძალების ხელით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას მისცემოდა სტარტი. და აი, **დღეს დასავლეთი უკანასკნელ უკრაინელამდე იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ!**

**— და როგორც საინფორმაციოები იუწყებიან, წარმატებაც მათ მხარესაა... რუსეთი მობილიზაციას მობილიზაციაზე აცხადებს....**

— სახმელეთო შეიარაღება რუსეთის მიერ ამ დროისთვის არასრულყოფილად არის გამოყენებული. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მოსკოვმა მობილიზაცია გამოაცხადა და რეზერვები ამოწურა, ძალიან ცდება. ეს მისი შესაძლებლობის მხოლოდ მეათედი იყო. რუსეთმა დღეს უკვე სამი ფლოტის მიმართულებით განალაგა თავისი ძალები, თუმცა, ამას მედია ნაკლებად აშუქებს. დიდი ალბათობით, სინქრონულად შეუტევს და შეეცდება არა ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის ან კიევის ალყაში მოქცევას, არამედ აღმოსავლეთ უკრაინის მოკვეთას დასავლეთისგან, შეიარაღების მიმწოდებელი სატრანსპორტო ხაზების დახშობას, საიდანაც **გლობალური დასავლეთის** მხრიდან უწყვეტად ხდება უკრაინის მომარაგება.

საქართველოს მოსახლეობა ქართული ტელეარხებიდან მხოლოდ იმ ინფორმაციას იღებს, რაც დასავლეთს აწყობს, არადა, რეალურად, რუსეთის ხელშია მრავალფუნქციური საოკეანო სისტემა **„პოსეიდონი"**.

**— რა შესაძლებლობები აქვს „პოსეიდონს"?**

— **„პოსეიდონი"** გახლავთ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული ჭკვიანი ტორპედო, რომლის, სულ მცირე, 12 ერთეული, მოთავსებულია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ატომურ წყალქვეშა ნავ **„ბელგოროდზე"**. ჩრდილოეთ ფლოტის ეს ფლაგმანი ორი თვის წინ გაუჩინარდა და, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მის მიერ გაშვებული ჭკვიანი ტორპედოები პატრულირებენ კონკრეტულ სამხედრო მისიებს. ერთია, რომ **„ბელგოროდი"** არის ტორპედოების მზიდი და მეორეც — თვითონ ტორპედოებს გააჩნიათ დაახლოებით 2-3 წლის მანძილზე დამოუკიდებელი დრეიფის შესაძლებლობა. ეს გულისხმობს ბირთვული აფეთქების ინსპირირებას თუნდაც უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე, ატლანტის ოკეანეში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. **საბრძოლო ცუნამი,** რომლის სიმაღლეც, ლაბორატორიული ცდების მიხედვით და თეორიული გაანგარიშებით, შესაძლოა, 300 მეტრიც კი იყოს. წარმოიდგინეთ, 100 მეგატონა სიმძლავრის ბომბი რომ აფეთქდეს შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე, როგორი დამანგრეველი შედეგი ექნება.

**— იმის თქმა გსურთ, რომ ამის რეალური საფრთხე მართლა არსებობს?**

— მეტიც, ჩრდილოეთ ფლოტიდან უკვე დაძრულია ულტრათანამედროვე სარაკეტო სისტემებით აღჭურვილი ფრეგატი, რომელიც, რუსეთის შეიარაღებული ძალების განცხადებით, დადგება შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროსთან და თუ მისი მიმართულებით გასროლა მოხდება, უმალ ნახავენ, რამხელა მასშტაბის უბედურება დაატყდებათ თავს.

ასეა თუ ისე, ძალიან სერიოზული გამოცდის წინაშე აყენებენ რუსეთს, თითქოს ეპარებიან, რათა გამოსცადონ, ბლეფია თუ არა ეს ყველაფერი. ან თუ მართლაც არსებობს ისეთი ტიპის შეიარაღება, რომელსაც შეუძლია, მიწასთან გაასწოროს მოწინააღმდეგის სტრატეგიული წერტილები. ამდენად, არ არის შემთხვევითი შეერთებული შტატებისა და გერმანიის მეთაურთა სინქრონული განცხადებები უკრაინის მხარდაჭერის თაობაზე, რათა თავად დარწმუნდნენ, რა სამხედრო პოტენციალს შეაგებებს რუსეთი **კოლექტიური დასავლეთის** „აბრამსებსა" თუ „ლეოპარდებს". და, საერთოდ, გარისკავს თუ არა პუტინი ბირთვული პოტენციალის ამოქმედებას.

**— ანუ დიდია ბირთვული ომის დაწყების ალბათობა?**

— თუ ერთი თვის წინ ბირთვული საფრთხე 65 პროცენტის ნიშნულზე იყო, ბოლო ინფორმაციით, ის 75 პროცენტამდე გაიზარდა. კიდევ ერთხელ ვამბობ — **გერმანიის მიერ უკრაინისათვის „ლეოპარდ-2"-ის ასეთი პომპეზური გადაცემა და განსაკუთრებული ხაზგასმა იმაზე, რომ ამას მისი მოკავშირეების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის ფონზე აკეთებს, აჩენს დასაბუთებულ ეჭვს, რომ ეს ყველაფერი კიდევ უფრო ძლიერი ესკალაციისთვის კეთდება, რათა რუსეთმა თავისი ბირთვული ტრიადა გამოიყენოს.**

ომის დრამატიზმით აღსავსე სურათი ლოგიკური დასასრულისკენ მიდის! გონიერმა კაცობრიობამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — მხარეები დაიზავოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბირთვული ომის დაწყების საფრთხე ძალიან რეალურია!

**— ამ გლობალურ ქაოსში როგორ გამოიყურება საქართველოს ხელისუფლება და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ჩვენი ქვეყანა ნაკლებად დაზარალდეს?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ — **გლობალური დასავლეთის** ამოცანაა, ყველა სახელმწიფომ, რომელსაც მოკავშირედ მიიჩნევს, თავისი კონკრეტული წვლილი შეიტანოს რუსეთთან დაპირისპირების პროცესში და საქართველოც ამისთვის სჭირდებათ. **ირაკლი ღარიბაშვილის** ერთპიროვნული დამსახურებაა, რომ საქართველო რუსეთის 55 არამეგობარ სახელმწიფოთა ჩამონათვალში არ აღმოჩნდა. ამდენად, ზამთრის კრიზისში ჩაძირული მეზობელი ქვეყნების ფონზე საქართველო არის სტაბილურობის ოაზისი!

ხაზგასმით ვამბობ — **ვითარების დაძაბვა რუსეთ-საქართველოს შორის ხელოვნურად არის გამოწვეული და უმნიშვნელოვანესია როგორც დიალოგის დაწყება, ასევე პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენა**. ის, ვინც დღეს საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებს, არის ამ ქვეყნის მტერი!

**— მათ შორისაა საქართველოს პრეზიდენტიც?**

— **სალომე ზურაბიშვილის განცხადება, რომ მხარს არ დაუჭერს რუსეთთან ფრენების აღდგენას, არის არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საფრანგეთის ელჩის პოზიცია.** რატომ უნდა იღებდეს სომხური ავიაკომპანია ასჯერ მეტ შემოსავალს, როცა შესაძლებელია, ეს შემოსავალი საქართველოს ბიუჯეტში შევიდეს? იმედია, **კელი დეგნანის, სალომე ზურაბიშვილისა და კასიანოვის** განცხადებები ბოლო გაბრძოლება იქნება იმ გარდაუვალი სასიკეთო ცვლილებების წინ, რომლებიც ქართულ-რუსულ ურთიერთობას ელის!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



„ღარიბაშვილის ერთპიროვნული დამსახურებაა, რომ საქართველო არის სტაბილურობის ოაზისი!"



გერმანული „ლეოპარდი"



ამერიკული „აბრამსი"



„სალომე ზურაბიშვილის განცხადება, რომ მხარს არ დაუჭერს რუსეთთან ფრენების აღდგენას, არის არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საფრანგეთის ელჩის პოზიცია!"

ისტორიკოსის თვალით ★

*პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი თავის დროზე საქვეყნოდ გახმაურებული „ლენინგრადის საქმის“ დეტალებს იხსენებს და აცხადებს, რომ 1949 წელს შეთქმულებს თავიანთი გეგმა რომ განეხორციელებინათ, საბჭოთა კავშირი 1991 წლის ნაცვლად 1955-1956 წლებში დაიშლებოდა:*



სვიმონ მასხარაშვილი:

# დახვრეტას გადაურჩნენ ალექსეი კოსიგინი და იური ანდროპოვიც!

## რა უნდა ვიცოდეთ



ალექსეი კოსიგინი



იური ანდროპოვი

— „გარდაქმნის“ მამებმა და, უპირველეს ყოვლისა, **ალექსანდრე იაკოვლევმა,** იმისათვის, რომ სტალინისთვის ტალახი კიდევ უფრო გამეტებით ესროლათ, 80-იან წლებში წინა პლანზე წამოსწიეს ე.წ. **„ლენინგრადის საქმე“** და გააჩაღეს სამარცხვინო და ცილისმწამებლური კამპანია, თითქოს ყველაფერი, რაც 1949-1950 წლებში ლენინგრადში მოხდა, იყო ფალსიფიკაცია და ტყუილი! არადა, სინამდვილეში, ლენინგრადში 1949 წელს გამოვლინდა ის პოლიტიკური შეთქმულება და არნახული კორუფცია, რომელიც სამამულო ომის პერიოდიდან მოყოლებული ბლოკადაში მოქცეულ ქალაქს განადგურებით, ხოლო ქვეყნის ერთიან პოლიტიკურ სისტემას ჩამოშლით ემუქრებოდა!

**— მაინც რა მოხდა სინამდვილეში ლენინგრადში?**

— თვით ისტორიის ფალსიფიკატორებიც კი ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ **გიორგი მალენკოვისა და ანდრეი ჟდანოვის** დაჯგუფებებს შორის მძაფრი დაპირისპირება არსებობდა. სამამულო ომის დასრულების შემდეგ ბელადის უმცროსმა ვაჟმა **ვასილი სტალინმა,** რომელიც ავიაციის გენერალი და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი იყო, აღმოაჩინა, რომ საბჭოთა ავიამშენებლობაში ადგილი ჰქონდა დიდ ფალსიფიკაციას. კერძოდ, იმისათვის, რომ ომის დროს გეგმა გადაჭარბებით შეესრულებინათ, საბჭოთა თვითმფრინავებს ნაჩქარევად აკეთებდნენ, რაც იწვევდა ხშირ კატასტროფებსა და მფრინავების დაღუპვას. არადა, სამხედრო მფრინავთა მომზადება ერთ-ერთი ყველაზე რთული, ხარჯიანი და შრომატევადი პროცესია... ვასილიმ ამ საგანგაშო ჩავარდნას ჯერ კიდევ ომის დროს მიაქცია ყურადღება და შექმნილი მდგომარეობის შესახებ მამას მოახსენა. ამას მოჰყვა ავიაციის სარდლის **ნოვიკოვისა** და ავიაციის მრეწველობის მინისტრის **შახურინის** დაპატიმრება. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი დახვრიტეს კიდეც...

**— მალენკოვი და ჟდანოვი ერთმანეთს რატომ დაუპირისპირდნენ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ მართალია, **ეჟოვის** მოშორების შემდეგ **მალენკოვი,** პირველ რიგში, კადრების შერჩევის პოლიტიკას განსაზღვრავდა, მაგრამ ომის დროს ავიაციასაც კურირებდა. საერთოდ, პოლიტბიუროს წევრები ქვეყანაში სხვადასხვა დარგის განვითარებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. **მალენკოვი** გახლდათ **კრუპსკაიას** პროტეჟე და ცეკას აპარატში სწორედ ამ გზით მოხვდა. ის იყო არისტოკრატიული წარმოშობის და დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია და შემდეგ უმაღლესიც.

სტალინისა და ტროცკის დაპირისპირებაში სტუდენტმა **გიორგი მალენკოვმა** იმთავითვე სტალინის მხარე დაიჭირა. მაშინ, როცა ცეკას ზოგიერთმა წევრმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა, მას სხვებისგან გამოარჩევდა ბრწყინვალე კალიგრაფია, პუნქტუალობა, აკადემიურობა და მოწესრიგებულობა. მიუხედავად ამ სიკეთეებისა, საერთო ჯამში **მალენკოვი** სუსტი პიროვნება აღმოჩნდა, რაც ხრუშჩოვთან დაპირისპირებაშიც გამოჩნდა.

მოკლედ, ავიამშენებლობაში არსებული ჩავარდნის გამო მართალია, **მალენკოვი** სტალინს პოლიტბიუროდან არ გაურიცხავს, მაგრამ 1949 წლამდე სათოფეზე არ იკარებდა. **მალენკოვი,** რომელიც ობლობაში გაიზარდა და წარმოშობით მაკედონიელი იყო, ქვეყნის მმართველ ბირთვს ჩამოაშორეს, სამაგიეროდ, 1946-1948 წლებში, ვიდრე არ გარდაიცვალა, სტალინმა ძალიან დაიახლოვა **ანდრეი ჟდანოვი,** რომელიც ინტელიგენციისა და არისტოკრატიის წრიდან გამოსული განათლებული მუშაკი იყო. **ჟდანოვი,** რომელსაც ბელადმა **კიროვის** მკვლელობის შემდეგ ლენინგრადის პარტიული რგოლი ჩააბარა, სიკვდილამდე სტალინის უახლოეს მეგობრად დარჩა. 1935 წლიდან 1948 წლის 31 აგვისტომდე, როცა **ჟდანოვი** ნაადრევად გარდაიცვალა, ამ მეგობრობას ვერავინ ვერაფერი დააკლო. თვით **ვოროშილოვთანაც** კი გაუცივდა ბოლო წლებში სტალინს ურთიერთობა, რადგან მისი ინტელექტუალური ჩამორჩენილობა ბელადისთვის უკვე აშკარად აუტანელი გახდა. ამას **ანდრეი ჟდანოვზე** ვერ ვიტყვით, რომელიც მაღალი ინტელექტის პატრონი იყო.





ბევრი იმასაც კი ფიქრობდა, რომ სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირის ლიდერი **ანდრეი ჟდანოვი** გახდებოდა. შესაბამისად, სამამულო ომის წლებში სტალინს განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა ჟდანოვის ჯგუფის მიმართ. ამ ჯგუფს წარმოადგენდნენ: ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი და ცეკას მოქმედი მდივანი **ალექსეი კუზნეცოვი,** საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლაი ვოზნესენსკი,** ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პეტრე პოპკოვი,** ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **იაკობ კაპუსტინი,** რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ როდიონოვი,** იაროსლავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **იოსებ ტურკო,** ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის საქმეთა მმართველი **ფილიპე მიხეევი,** ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე **პეტრე ლაზუტინი** და სხვ. გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ — **ვოზნესენსკი, როდიონოვი, პოპკოვი და კუზნეცოვი.** 1941 წლიდან ვოზნესენსკი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატიც კი იყო... საერთოდ, რევოლუციის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში სამი მთავარი დაჯგუფება იყო — **ლენინგრადის, მოსკოვისა და უკრაინის.** ლენინგრადის დაჯგუფებას მეთაურობდა **გერშელ ზინოვიევი,** მოსკოვის — **ლევ კამენევი,** ხოლო უკრაინის — **სტალინი.** 1926 წლის მდგომარეობით, საკავშირო კომპარტიის ცეკას წევრთა 96 პროცენტი სწორედ ამ სამი ცენტრიდან იყო დაკომპლექტებული. არსებობს სხვა საინტერესო სტატისტიკაც... მაგალითად, 1924 წელს საქართველოში 2 ათასამდე ბოლშევიკი თუ იყო, მენშევიკური პარტიის წევრთა რაოდენობა 100 ათას კაცს აჭარბებდა. თითქმის ანალოგიური ვითარება გახლდათ რუსეთშიც, სადაც მილიონზე მეტი „ესერისა“ და ასეულათასობით „სოციალ-დემოკრატის“ ფონზე ბოლშევიკები ძალიან მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ და მათი რიცხვი 100 ათასს არ აღემატებოდა!

**— მაშინ როგორ მოხდა, რომ ბოლშევიკებმა რუსეთის სამოქალაქო ომში გაიმარჯვეს?**

— ამ გამარჯვებას ჰქონდა ორი მთავარი მიზეზი — ბოლშევიკების მაღალი ორგანიზებულობა და კიდევ ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები ყველაზე რუსულ პარტიას წარმოადგენდნენ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ყველაზე მეტი მართლმადიდებელი და ინტელექტუალი სწორედ ბოლშევიკების ელიტაში იყო... ბოლშევიკები იყვნენ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც რუსეთის იმპერიის ერთიანობას ქადაგებდა. ამის გამო რუსი ოფიცრების 90 პროცენტი სწორედ ბოლშევიკებს მიემხრნენ, რამაც სამოქალაქო ომის ბედი გადაწყვიტა.

**— მერედა, სად იყვნენ ეს მართლმადიდებლები მაშინ, როცა ბოლშევიკები ეკლესიებს ანგრევდნენ და მღვდლებს ხვრეტდნენ?**

— ეს საშინელება დაიწყო სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ. გვახსოვდეს ისიც, რომ **დენიკინსაც** და **კოლჩაკსაც** დასავლეთი სრულ სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობას ცნობდნენ. ერთმაც და მეორემაც ამ შემოთავაზებაზე უარი თქვა, ხოლო მეფის გენერალი **ანტონ დენიკინი,** რომელიც ემიგრაციაში იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის აპოლოგეტი გახდა!

**— მივუბრუნდეთ „ლენინგრადის საქმეს“! მაინც რა მოხდა?**

— კომპარტიის ზემოხსენებული სამი დაჯგუფებიდან ლენინგრადის დაჯგუფება ყველაზე ძლიერი იყო. ამიტომ სტალინმა ზინოვიევის განდევნის შემდეგ ლენინგრადი ჩააბარა თავის უერთგულეს **სერგეი კიროვს,** რომელიც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს. კიროვის შემდეგ სტალინმა ლენინგრადი გადაულოცა **ანდრეი ჟდანოვს,** რომლის ავტორიტეტიც ბლოკადის დროს წარმოუდგენლად გაიზარდა. ბუნებრივია, ანალოგიურად გაძლიერდა იმ ჯგუფის გავლენაც, რომელიც **ჟდანოვის** ზურგს უკან მოიაზრებოდა. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა **ნიკოლაი ვოზნესენსკის,** რომელიც სტალინის პირველი მოადგილე და შეთავსებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მდივანი იყო.

ჟდანოვის გარდაცვალების შემდეგ ამ ჯგუფმა — **ვოზნესენსკიმ, როდიონოვმა, კუზნეცოვმა, კაპუსტინმა და პოპკოვმა** მთელ ლენინგრადის ოლქში ძალაუფლება აიღო. ყველაფერი დაიწყო 1948 წელს, როცა ხელისუფლებამ მთელი რუსეთის მასშტაბით სამრეწველო პროდუქციის ბაზრობა გამართა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი მოიწვია, მაგრამ საკავშირო ხელისუფლებას ამ ღონისძიების შესახებ მხოლოდ სამი დღის შემ-







ანტონ დენიკინი

**„მეფის გენერალი ანტონ დენიკინი, რომელიც ემიგრაციაში იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის აპოლოგეტი გახდა!“**





ალექსეი კუზნეცოვი


იაკობ კაპუსტინი


ნიკოლაი ვოზნესენსკი


იოსებ ტურკო

# «ლენინგრადის საქმეზე»

დეგ აცნობა. ყველაზე მთავარი — ბაზრობაში მონაწილეობის ეგიდით მოკავშირე რესპუბლიკებისა და რუსეთის ოლქების ლიდერები შეკრიბეს არა მოსკოვში, არამედ ლენინგრადში! ამან გარკვეული ეჭვები გააჩინა და პარტიული კონტროლის ხელმძღვანელმა **მელნიკოვმა** მოკვლევა დაიწყო! აღმოჩნდა, რომ ლენინგრადის ოლქში თანამდებობებზე სულ **ვოზნესენსკის, როდიონოვის, კუზნეცოვის, კაპუსტინისა და პოპკოვის** უახლოესი მეგობრები იყვნენ დანიშნული. 1949 წლის თებერვალში **კუზნეცოვი, პოპკოვი** და მათი ამალის წევრები თანამდებობებიდან გაუშვეს, თუმცა, ცეკაში დატოვეს და პარტიულ სკოლაში გაგზავნეს, რათა სხვაგან გადაეყვანათ და ლენინგრადისთვის მოეშორებინათ.

**— გიორგი მალენკოვი ამ დროს რას საქმიანობდა?**

— სანამ **ჟდანოვი** ცოცხალი იყო, ცხადია, სტალინის მიერ შერისხული და გარიყული მალენკოვი ჟდანოვის კადრების გადამოწმებას ვერ ბედავდა, მაგრამ როგორც კი ექიმების შეცდომით თუ წინასწარ განზრახვით, 1948 წლის 31 აგვისტოს **ანდრეი ჟდანოვი** თირკმლის უკმარისობით გარდაიცვალა, სტალინისთვის ერთგულების დასამტკიცებლად მალენკოვმა დრო იპოვა და თავისი მზერა ლენინგრადისკენ მიმართა. თანაც, **მალენკოვს** გაუმართლა და დროში ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა იმ მხრივაც, რომ **ჟდანოვის** გარდაცვალებისთანავე ცეკაში ორი შეტყობინება შევიდა — ლენინგრადში ბაზრობა არასწორად ჩატარდა და **ვოზნესენსკი** და მისი თანაგუნდელები შიდაპარტიულ სტრუქტურებში დაუმსახურებლად აძლიერებენ და ნერგავენ მხოლოდ თავიანთ კადრებსო! 1949 წლის თებერვალში **გიორგი მალენკოვი** პირადად ჩავიდა ლენინგრადში, მოიწვია პარტიული კრება და ყველას მოუწოდა, დაუფარავად ეთქვათ სიმართლე **კაპუსტინის, პოპკოვისა** და სხვა ამხანაგების შესახებ, რომლებსაც საკავშირო მასშტაბის პარტიული თანამდებობები შეჩერებული ჰქონდათ. პროტოკოლით არის დადასტურებული, რომ ამ კრებაზე ხალხი გამოვიდა და **ვოზნესენსკის, როდიონოვს, კუზნეცოვს, პოპკოვსა** და სხვებს ბრალი დასდეს, რომ ისინი მოქმედებენ, როგორც სექტა, იყვნენ კორუმპირებული და საზიზღარი ადამიანები!

**— მაინც ვინ აქტიურობდა შეთქმულთა მხილებაში?**

— განსაკუთრებით აქტიურობდნენ ყოფილი პუტილოვის ქარხნის მუშები, რომლებსაც, როგორც წესი, ყოველთვის სუფთა რევოლუციური წარსული ჰქონდათ! ესენი იყვნენ ნატანჯი, ბლოკადაგამოვლილი, ასაკოვანი ადამიანები და არა ვიღაც მეწვრილმანეები... ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ამავე სხდომაზე **პოპკოვი და კუზნეცოვიც** ტრიბუნაზე თავად ავიდნენ და ყველაფერი აღიარეს — ჩვენ ანტიპარტიულ საქმიანობასაც ვეწეოდითო! ლენინგრადის კრებამ დამნაშავენი გაკიცხა, მაგრამ **მალენკოვმა** საბჭოთა კავშირის ფინანსთა მინისტრ **ზვერევს** დაავალა ლენინგრადში რევიზიის ჩატარება და ყველაფრის შესწავლა. კომისიამ საშინელი დარღვევები გამოავლინა და გაიშიფრა საშინელი კორუფციული სქემა, რომელიც პირდაპირ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელის **ნიკოლაი ვოზნესენსკიმდე** მიდიოდა. მილიარდობით საბჭოთა მანეთი იყო მიტაცებული და გაფლანგული ანდა არამიზნობრივად გადარიცხული და ამ ყველაფრის უკან იდგნენ სწორედ **ვოზნესენსკი** და მისი ჯგუფი, რომლებიც ლენინგრადის ბლოკადის დროს შედარებით დაბალ თანამდებობებს იკავებდნენ და ბლოკადის დროს საცოდავ ხალხს ძარცვავდნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პეტრე პოპკოვი** საპარფიუმერიო ნივთებს, სიგარეტსა და სიდედრის საცვლებსაც კი წლების განმავლობაში ბიუჯეტის ფულით ყიდულობდა! 1949 წლის მარტში ვოზნესენსკი პოლიტბიუროდან გააგდეს, ხოლო დანარჩენები სამსახურებიდან გამოყარეს და მასალები შესასწავლად უშიშროების მინისტრ **ვიქტორ აბაკუმოვს** გადასცეს. 1949 წლის ზაფხულში **ვოზნესენსკი** და მისი ჯგუფი დააპატიმრეს. გამოძიება ერთი წელი გაგრძელდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ **ანდრეი ჟდანოვის** პირველკაცობის პერიოდში მის ზურგს უკან ლენინგრადში შექმნილი იყო მრავალრიცხოვანი კორუფციული და კრიმინალური დაჯგუფება, რომლის რიგებშიც გაწევრიანებული იყო ათასობით ადამიანი, ერთი მხრივ, ლენინგრადის პარტიული ელიტიდან და, მეორე მხრივ, კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან.

**გამოირკვა, რომ ნიკოლაი ვოზნესენსკი და მისი ჯგუფი საბოლოოდ რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შექმნას აპირებდნენ, ანუ ნიკოლაი ვოზნესენსკი და მისი ბანდა გეგმავდნენ, სტალინი და პოლიტბიურო სწორედ იმ დღეში ჩაეყენებინათ, რა დღეშიც გორბაჩოვი ელცინმა ჩააყენა, როცა რუსეთის ფედერაციის მეშვეობით საბჭოთა კავშირს ძალაუფლება გამოაცალა!**

ვოზნესენსკი და მისი ჯგუფი, სულ ექვსი კაცი, დახვრიტეს...

**— 1947 წლიდან საბჭოთა კავშირში დახვრეტის მუხლი რომ გაუქმებული იყო?**

— **1950 წლის იანვარში დახვრეტის მუხლი სწორედ ამ ჯგუფის ამოსაძირკვად აღადგინეს, კანონს უკუქცევითი ძალა მიანიჭეს და 9 თვის შემდეგ დამნაშავენი დახვრიტეს!** ამათ ისეთი დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი, ასეთებს ომის დროს სამხედრო ტრიბუნალები ხვრეტენ! ამ ადამიანების არდასჯა არაფრით შეიძლებოდა, რადგან საბჭოთა კავშირის დანგრევას, სახელმწიფო გადატრიალებასა და სახელმწიფოს დემორალიზებას ცდილობდნენ!

**— თუ იყო ვინმე ვოზნესენსკის ჯგუფიდან, ვინც დახვრეტას გადაურჩა?**

— დახვრეტას გადაურჩა **ალექსეი კოსიგინი!** ლავრენტი ბერიას უახლოესმა კადრმა, უშიშროების გენერალმა **მიხეილ გვიშიანმა,** თავისი მძახლის — **კოსიგინის** მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები „ლენინგრადის საქმიდან" გააქრო! დახვრეტას ასევე გადაურჩა **იური ანდროპოვიც,** რომელიც კარელია-ფინეთის საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკიდან აშკარად **ვოზნესენსკის** ჯგუფის იდეებს იზიარებდა. **ანდროპოვი,** ცხადია, **ოტო კუუსინენმა** იხსნა, რომლის შესახებაც ჩვენ ადრე ვრცლად ვისაუბრეთ...

**— რა მოხდებოდა, 1949 წელს შეთქმულებს თავიანთი ჩანაფიქრი რომ განეხორციელებინათ და გეგმა ბოლომდე მიეყვანათ?**

**– 1949 წელს შეთქმულებს თავიანთი გეგმა რომ განეხორციელებინათ, საბჭოთა კავშირი 1991 წლის ნაცვლად, 1955–1956 წლებში დაიშლებოდა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუგინიძე***

***გაგრძელება იქნება***


პეტრე პოპკოვი

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პეტრე პოპკოვი საპარფიუმერიო ნივთებს, სიგარეტსა და სიდედრის საცვლებსაც კი წლების განმავლობაში ბიუჯეტის ფულით ყიდულობდა!"**

## რუს მწერალთა უმრავლესობა სტალინის პიროვნებას ფრიად უარყოფითად აფასებს. ვინც სიცოცხლეში განადიდებდა, სიკვდილის შემდეგ მისი სახელი ლაფში ამოსვარა. თუმცა, გამონაკლისიც არსებობს. მაგალითად, ივან სტადნიუკი, ალექსანდრე ჩაკოვსკი, ფელიქს ჩუევი. თანაც სტალინის ყველაზე თანმიმდევრული და თავგამოდებული დამცველი, ჩემი აზრით, სწორედ ჩუევია. თუ შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ მის შესახებ?

ფელიქს ივანეს ძე ჩუევი **საკმაოდ ცნობილი პოეტი და პუბლიცისტია.** მართალი ბრძანდებით, პრაქტიკულად, მთელი მისი შემოქმედება სტალინს და სტალინურ ეპოქას ეძღვნება. მისმა წიგნებმა **„იმპერიის ჯარისკაცები", „ასორმოცი საუბარი მოლოტოვთან", „ასე ამბობდა კაგანოვიჩი"** და სხვ. საკმაო პოპულარობა მოიხვეჭეს. **ჩუევი** 17 წლის განმავლობაში ურთიერთობდა უკვე პენსიაზე მყოფ **მოლოტოვთან** და მასთან საუბრებს მაგნიტოფონზე იწერდა. ჩანაწერთა მეტი წილი მან გამოაქვეყნა. ასევე წლების განმავლობაში ხვდებოდა **ჩუევი კაგანოვიჩს, ავიაციის მთავარ მარშალ გოლოვანოვს, მფრინავ პოკრიშკინს, აკადემიკოს სტეჩკინს და იმ ეპოქის სხვა გამოჩენილ ადამიანებს.** ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვისზეც უნდა ეწერა **ჩუევს,** მისი მთავარი ინტერესი **სტალინი** გახლდათ.



საინტერესოა, რომ **ფელიქს ჩუევის** პირველი პუბლიკაციაც **სტალინის** სახელს უკავშირდება. **1953 წლის მარტში 11 წლის პიონერი ფელიქს ჩუევი სტალინის აღსასრულს კიშინიოვის ახალგაზრდულ გაზეთ „ნორჩ ლენინელში" გამოეხმაურა.** ამ დღიდან მისი შემოქმედება განუყოფლად დაუკავშირდა ამ ერთადერთ თემას.

მე-20 ყრილობის შემდეგ, რომელზედაც ხრუშჩოვი **„პიროვნების კულტის"** შესახებ მოხსენებით გამოვიდა, **ახალგაზრდა პოეტმა ჩუევმა** (იგი 1941 წელს დაიბადა) **რამდენიმე ლექსი დაწერა: „ჩვენ არ გვჯერა", „ეს ქართველი დიდი რუსი იყო", „რად დაამსხვრიეს სტალინის ძეგლები", რომელთა სათაურები მათ შინაარსზე მეტყველებს.** ბუნებრივია, ეს ლექსები არსად დაუბეჭდეს, მაგრამ ხელნაწერის სახით ისინი მოსკოვში და მის ფარგლებს გარეთაც გავრცელდა. თავად **ჩუევიც** ხშირად უკითხავდა მათ სხვადასხვა აუდიტორიას. ასეთი საქციელი იმ დროს მხოლოდ მწერალთა კავშირიდან და პარტიიდან გარიცხვას კი არა, უფრო მკაცრ სასჯელსაც უქადდა. დაიწყო მისი კრებებზე დამუშავება, სხვადასხვა ინსტანციაში გამოძახება, გაზეთებში კრიტიკა. **„თანაც, — წერს ჩუევი,** — ჩვენს და დასავლურ პრესაში ერთნაირი პოზიციიდან მაკრიტიკებდნენ, როგორც **„ეშმაკის ადვოკატს".** მოკლედ, **„სტალინისტი ჩუევის"** ბედი გადაწყვეტილი იყო, **მიხეილ შოლოხოვი** რომ არ გამოქომაგებოდა. თუმცა, მთელი ე. წ. **„ხრუშჩოვისეული დიადი ათწლეულის"** განმავლობაში ჩუევი იძულებული იყო, თარგმანებით გაეტანა თავი. არც ლექსებს, არც სტატიებს არავინ უბეჭდავდა.

სხვათაშორის, **ფელიქს ჩუევი ყმაწვილი სოსელოს ლექსების შესანიშნავი თარგმანების ავტორი გახლავთ.**

პირველი გამოცემა წიგნისა **„ასორმოცი საუბარი მოლოტოვთან"** ჩუევმა 1991 წელს **განახორციელა.** გამომცემლობა წიგნის დაბეჭდვას მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდა, თუ თანდართულ წინასიტყვაობაში **სტალინის** შეცდომებზე იქნებოდა საუბარი. **ჩუევი** უარზე იდგა. ბოლოს იგი დაყაბულდა, რათა წიგნი გადაერჩინა, მხოლოდ ერთი პირობით: **რედაქტორის წინასიტყვაობას სქოლიოში მითითებული უნდა ჰქონოდა, რომ ავტორი ამ პოზიციას არ იზიარებს. ასე გამოვიდა ეს წიგნი და მაშინვე ბესტსელერად იქცა.**

**1999 წლის იანვარში,** გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, **ჩუევმა** ამ წიგნის ახალი — გადამუშავებული და შევსებული გამოცემა მოამზადა სახელწოდებით **„ნახევრადმპყრობელი მბრძანებელი",** რომელმაც დღის სინათლე მწერლის ინფარქტით დაღუპვის შემდეგ იხილა.










## ლ. პ. ბერიას მკვლელობის რამდენიმე ვერსია არსებობს. გვაინტერესებს, რომელი მათგანია სიმართლესთან ყველაზე ახლოს და ესწრებოდა თუ არა ბერია იმ სასამართლო სხდომას, რომელიც მის საკითხს განიხილავდა?

ლავრენტი ბერიას *(რომელიც **სტალინის** გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა იმპერიის ფაქტობრივი მმართველი გახდა)* სიკვდილის მრავალი ვერსიიდან სამ ძირითადს გამოვყოფთ: **1. მოკლეს აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპზე, 1953 წლის ივნისში, ბერლინიდან დაბრუნების შემდეგ; 2. 1953 წლის 26 ივნისს პოლიტბიუროს სხდომაზე დააპატიმრეს, მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში ჰყავდათ და 1953 წლის დეკემბერში უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით დახვრიტეს (ამავე ვერსიის ვარიანტი: დახვრიტეს ამავე ბუნკერში სასამართლომდე, დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში); 3. მოკლეს 1953 წლის 26 ივნისს, კაჩალოვის ქუჩაზე მდებარე სახლის შტურმის დროს, სადაც თვითონ ცხოვრობდა.** სათითაოდ განვიხილოთ სამივე მათგანი.



პირველი ვერსია აქტიურად ვრცელდებოდა **ბერიას „გაქრობის"** შემდეგ. მის თანახმად, **ბერიას** წინააღმდეგ შეთქმულება საბოლოოდ ბერლინში მისი ხანმოკლე გამგზავრების დროს ჩამოყალიბდა და გერმანიიდან ჩამოფრენილს დამხვდურთა ჯგუფიდან ერთ-ერთმა გენერალმა (თუ მარშალმა?) პისტოლეტის მჭიდი ზედ ტრაპზე დააცალა. გვარებსაც კი ასახელებდნენ — **მარშალ კონევს, გენერალ ბატიცკის** და სხვებს. დაიმახსოვრეთ ეს გვარები. დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე **ბერია** მართლაც გაემგზავრა **გდრ**-ში, მაგრამ ამ ვერსიას თვითმხილველთა მოწმობა აბათილებს, მათ შორის **ბერიას** მეუღლის — **ნინა გეგეჭკორის,** შვილის — **სერგო ბერიასი,** რძლის — **მართა პეშკოვასი,** რომლებმაც ბერლინიდან ჩამოსვლის შემდეგ იგი ცოცხალი და უვნებელი ნახეს.

მეორე ვერსია სიმართლესთან უფრო ახლოს დგას. მის მიხედვით, **ბერიას** წინააღმდეგ შეთქმულება (ასევე მის არყოფნაში) **ხრუშჩოვმა** მოაწყო. **26 ივნისს** იგი პოლიტბიუროს სხდომაზე მიიწვიეს, რომელზედაც სოფლის მეურნეობის საკითხები უნდა განეხილათ და ამავე სხდომაზე სამხედროთა ჯგუფმა დააპატიმრა. შემდეგ იგი ერთ-ერთი გარნიზონის ჰაუპტვახტში მოათავსეს, ძალიან მალე კი მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში გადაიყვანეს. ამ ვერსიის არაოფიციალური ვარიანტი ამტკიცებს, რომ ამ ბუნკერში **ბერია მალე სასამართლოს გარეშე დახვრიტეს.** ოფიციალური ვარიანტის თანახმად კი ნახევარი წლის შემდეგ სასამართლო გაიმართა, რომელმაც მას და მის თანამზრახველებს — **გოგლიძეს, ქობულოვს, დეკანოზოვს, მერკულოვს, ვლოძიმირსკის და მეშიკს — სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.** იგი იმავე ღამით აღსრულდა.

ჩვენი აზრით, ეს ვერსია ელემენტარულ ლოგიკასთან მწყრალად არის. **რა აზრი ჰქონდა 6 თვით ბუნკერში ბერიას დამწყვდევას და შემდეგ დახურულ სასამართლოზე გამოყვანას, რომელზეც მოსამართლეების** *(მარშალ **კონევის** თავმჯდომარეობით!),* ბადრაგის და თავად განსასჯელების გარდა არავინ ჭაჭანებდა — არც ადვოკატები, არც მოწმეები, არც პრესა, არც პუბლიკა? აი, მივადექით თქვენს შეკითხვას — ესწრებოდა თუ არა ამ სასამართლოს **ბერია?** არსებობს ლეგენდა, რომ **განსასჯელთა სკამზე ბერიას ორეული იჯდა.** მაგრამ ისმის კითხვა — ვისთვის მოეწყო ეს ინსცენირება? **მარშალი კონევისთვის? მებადრაგე ჯარისკაცებისთვის? სხვა განსასჯელებისთვის? ისტორიისთვის?** თუ ასეა, რატომ არ არსებობს ამ პროცესის ამსახველი არცერთი ფოტოგრაფია, რატომ არ გამოქვეყნებულა აქამდე მისი მასალები? ამ ვერსიაში ბევრი ხარვეზია. გოგლიძე, ქობულოვი, დეკანოზოვი და სხვები განაჩენის გამოტანის შემდეგ სუხანოვის ციხეში მიჰყავთ და სიკვდილით იქ სჯიან, ბერიას კი რატომღაც მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის სარდაფში ხვრეტენ. თანაც განაჩენი სისრულეში გენერალ ბატიცკის(!) მოჰყავს. კიდევ ერთი კითხვა — როდის აქეთ გახდნენ არმიის გენერლები სასამართლოს განაჩენთა აღმასრულებლები?

რაც შეეხება მესამე ვერსიას, იგი თავის წიგნში **სერგო ბერიამ** წამოაყენა. **26 ივნისს შეიარაღების მინისტრის ვანიკოვის** კაბინეტში მყოფ **სერგოს** დაურეკეს და შეატყობინეს, **რომ მის სახლთან კაჩალოვის ქუჩაზე სროლაა.** იგი მაშინვე შინ წავიდა და საკუთარი თვალით ნახა ჯავშანტრანსპორტიორი და ჩამსხვრეული ფანჯრები. რომელიღაც მოსამსახურემ საიდუმლოდ შეატყობინა, რომ რამდენიმე წუთის წინ ჯარისკაცებმა ვიღაცის **ბრეზენტგადაფარებული გვამი** გამოიტანეს. **სერგო ბერია** თვლის, რომ ეს მამამისის ცხედარი იყო. ეს ვერსია ყველაზე სარწმუნოდ გვეჩვენება. როგორც ჩანს, ბერიას სახლი **26 ივნისის** შუადღეს შტურმით აიღეს. **ბერია,** უეჭველია, თავს იცავდა და ორმხრივი სროლისას დაიღუპა. მის მკვლელად კი საფუძვლიანად შეიძლება დავასახელოთ მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე ბატიცკი. ამ გენერლის გვარი სამივე ვერსიაში მეტისმეტად ხშირად ფიგურირებს.



***იოსებ სტალინი, გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია საპირველმაისო დემონსტრაციაზე. მოსკოვი, წითელი მოედანი, 1952 წელი***

## 1964 წლის ოქტომბერში ხრუშჩოვი ყველა პოსტიდან მოხსნეს, როგორც მაშინდელ გაზეთებში წერდნენ, „პირად თხოვნასთან დაკავშირებით". მოგვიანებით კი გაჩნდა ტერმინები „ვოლუნტარიზმი" და „სუბიექტივიზმი". საინტერესოა, კონკრეტულად რა ბრალდებები წაუყენეს ხრუშჩოვს გათავისუფლებისას?

**1964 წლის ოქტომბერში სკკპ ცკ-ის პლენუმზე ხრუშჩოვის** მოხსნას **აბდურაჰმან ავტორხანოვი „კრემლში მომხდარ რევოლუციას"** უწოდებს. მართლაც, პლენუმზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გარკვეული (როგორც დრომ გვაჩვენა — მცირე) ხნით ბოლო მოეღო ერთი ადამიანის თვითნებობას, პიროვნების კულტს არარაობისა, რომელმაც თავი **„ლენინის საქმის დიად გამგრძელებლად"** წარმოიდგინა.



კონკრეტულად რაში დასდეს ბრალი **ხრუშჩოვს?** მეურნეობის დაშლაში; **„კარიბის კრიზისში",** როდესაც **ხრუშჩოვის** ბრძანებით კუბაზე საბჭოთა რაკეტების განლაგებამ მსოფლიო ბირთვული კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა; კომპარტიის დაყოფაში **„სამრეწველო"** და **„სოფლის მეურნეობის"** კომუნისტებად; სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნაში, რომლებმაც სამინისტროების საქმიანობა ჩაანაცვლა და სხვა. აი, ნაწილობრივ ასე იშიფრება ტერმინები **„ვოლუნტარიზმი"** და **„სუბიექტივიზმი".**

დაგისახელებთ კიდევ რამდენიმე ბრალდებას, რომლებიც ოქტომბრის პლენუმზე გაისმა და ფართო მკითხველისთვის უცნობია:

*„**1963 წელს** ხრუშჩოვმა საზღვარგარეთ მოგზაურობაში **170 დღე** გაატარა, **1964 წლის** რამდენიმე თვეში — **150 დღე. 1963 წელს** მან **128** საზეიმო მიღება და სადილი მოაწყო, რომელთა ღირებულება რამდენიმე მილიონ მანეთს უდრიდა. მგზავრობისას მას, დაცვის გარდა, არანაკლებ **150 ადამიანი** ახლავს. ყოველთვის დაჰყავს თან ცოლი, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, სიძე, სხვა ნათესავები. მიაქვს ძვირფასი საჩუქრები, როგორიც არის თვითმფრინავები, ავტომობილები, ბეწვეული, ძვირფასეულობა, სპეცშეკვეთით დამზადებული თოფები და სხვ. გვინეის ლიდერს **სეკუ ტურეს** მან **თვითმფრინავი „ილ-18"** მიუძღვნა, **ნასერის** ოჯახს — ორი ავტომანქანა **„ჩაიკა"** და რამდენიმე **„მოსკვიჩი". ყირიმსა** და **ბიჭვინთაში** მისი ბრძანებით აუზების აშენებაზე **5 მლნ მანეთი დაიხარჯა.** მის ვაჟს **სერგეის 4** პირადი ავტომობილი აქვს, სიძეს — **ალექსეი აჯუბეის — 2.** ორივე მათგანი, ყოველგვარი დამსახურების გარეშე, ლენინის პრემიის ლაურეატია. **სერგეის** სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც აქვს მინიჭებული. **ხრუშჩოვის ოჯახზე 4 ავტომანქანაა მიმაგრებული, მომსახურე პერსონალის რიცხვი 110 ადამიანს აღწევს..."***



***ნიკიტა ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო***

2023 წლის 30 იანვარი. № 8-9 (176-177)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www.asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**

ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# ნოდარ მელაძემ ზაზა მელაძეს სამსახური დააკარგვინა!




***ცხოვრების დაუწერელი კანონია, რომ ადამიანმა იქ არ უნდა მოისაქმოს, სადაც ჭამს, მაგრამ მოქალაქე ზაზა მელაძემ ეს დაუწერელი კანონი დაარღვია და სადაც ათწლეულების განმავლობაში ჭამდა, სწორედ იქ მოისაქმა!***

თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ **70 წლის ზაზა მელაძეს,** რომელიც თბილისის ცნობილ საწყლოსნო კომპლექს **„ლაგუნა ვერეში“** 40 წელი დარაჯად მუშაობდა, დაუწერელი მორალური კოდექსი — სადაც ჭამ, იქ არ უნდა მოისაქმო! — მისმა მოგვარემ, „ტვ პირველის“ სახემ და ნაცსექტის „ფილდ კომანდერმა“ **ნოდარ მელაძემ** დაარღვევინა.

საქმე ის არის, რომ **ნოდარ მელაძემ** და მისმა საავტორო გადაცემამ **ზაზა მელაძე** ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანიის მორიგი ეპიზოდის პერსონაჟად გამოიყენეს.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ივანიშვილის **საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“** თავის საკუთრებაში არსებული, ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების ქონება — **„ლაგუნა ვერე“ და მისი მიმდებარე ტერიტორია** — თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა, ანუ სახელმწიფოსა და დედაქალაქის მოსახლეობას აჩუქა.

**თბილისის მერმა კახა კალაძემ** ბიძინა ივანიშვილსა და მის საქველმოქმედო ფონდს საჩუქრისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა — **„ლაგუნა ვერეს“ ინფრასტრუქტურა მთლიანად შენარჩუნდება, ხოლო იმას, თუ რა ფორმით მოხდება ტერიტორიის რეაბილიტაცია, პროფესიონალებთან და დედაქალაქის მოსახლეობასთან ერთად განვსაზღვრავთ!**

კალაძისვე განცხადებით, **შენარჩუნდება და ახალ პროექტს შეერწყმება „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი აბრეშუმის ქარხნის შენობაც, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.**

დედაქალაქის მერი ასევე გამოეხმაურა ნაცსექტისა და მისი პროპაგანდისტული საშუალებების მიერ ატეხილ აჟიოტაჟს — **ივანიშვილი „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე 65-სართულიანი, მულტიფუნქციური ცათამბჯენების აშენებას გეგმავს და თბილისს არქიტექტურულ-ეკოლოგიურ კოლაფსს უქადისო!**

*— მესმის პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანების რეაქცია პროექტთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამ ტერიტორიის მოწესრიგება ჩვენი დედაქალაქისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ეს თბილისის ცენტრალური ნაწილია. ძალიან მაგარი პროექტი იქნება, დედაქალაქში მიზიდულობის ახალი ცენტრი გაჩნდება!* — **განაცხადა კახა კალაძემ.**

მოკლედ, წლების განმავლობაში ჩაოხრებული და ფუნქციადაკარგული საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა ვერე“, მთელი თავისი შემოგარენითურთ, **ბიძინა ივანიშვილისა და თბილისის მერიის წყალობით,** ახალ სიცოცხლეს შეიძენს — **გაჩნდება ახალი ეკონომიკური კერა, ახალი ბიზნესობიექტები, ახალი სამუშაო ადგილები, ახალი სპორტულ-რეკრეაციული სივრცე და დედაქალაქის ცენტრალური ტერიტორია, რომელიც ახლა ნაგავში მოსროლილ უსარგებლო ნივთს ბევრით არაფრით სჯობს, მოსახლეობისათვის მრავალმხრივ სასარგებლო გახდება!**

მაგრამ ის, რაც საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის, თბილისისა და თბილისელებისათვის სასარგებლოა, სულში შხამს აწვეთებს და გულში ლახვარს ასობს **ნაცსექტას,** რომელიც თავის პროპაგანდისტულ ტელეკანალიზაციებს ამუშავებს პრინციპით: **„შეუძლებელია, რამე კარგი ხდებოდეს საქართველოში, რომელსაც სააკაშვილი ვეღარ განაგებს!“ „შეუძლებელია, რამე კარგი მოხდეს თბილისში, რომელსაც უგულავა არ აზის თავზე!“ „შეუძლებელია, ივანიშვილის ოქრო ჩხრიალებდეს მაშინ, როცა სააკაშვილის ბამბა ვეღარ ჩხრიალებს!“ „შეუძლებელია, მერის თანამდებობაზე უხელფასოდ მომუშავე კალაძემ სიკეთე მოუტანოს თბილისს, როცა დედაქალაქის ბიუჯეტიდან 48 მილიონი ლარის მომპარავ უგულავას საშუალება აღარ აქვს, დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე ცოლი ავსტრიაში ამშობიაროს და ლასვეგასის კაზინოებში იგრიალოს!“**

ჰოდა, **„ჭუტავიზიამ“ და ნოდარ მელაძემაც** არ დააყოვნეს — ვრცელი სიუჟეტი მოამზადეს იმის შესახებ, თუ როგორ აპირებენ რუსი ოლიგარქი ივანიშვილი და მისი ხელისბიჭები, თბილისი ამჯერად „ლაგუნა ვერეს“ ახალი პროექტით ააოხრონ!

მოგეხსენებათ, იმავე **ნოდარ მელაძის მიხედვით,** ბიძინა ივანიშვილმა თბილისი და საქართველო აქამდეც მრავალგზის ააოხრა!

**ააოხრა მაშინ,** როცა შეკვეთილში უნიკალური დენდროლოგიური პარკი გააშენა და სახელმწიფოს აჩუქა!

**ააოხრა მაშინ,** როცა ნაცრეჟიმის მიერ გაყიდული თბილისის იპოდრომი კერძო პირებისგან გამოისყიდა და დედაქალაქს დაუბრუნა!

**ააოხრა მაშინ,** როცა მთაწმინდის ფერდის გამწვანების მრავალმილიონიანი პროექტი დაიწყო საკუთარი ხარჯებით!

**და აი, ახლა, ივანიშვილი ისევ აპირებს თბილისის აოხრებას, ნოდარ მელაძემ და ნაცსექტამ კი ამჯერად მაინც უნდა შეძლონ დედაქალაქის გადარჩენა მაოხარი რუსი ოლიგარქისაგან!**

ამიტომაც მიადგა **„ნოდარ მელაძის შაბათის“** კორესპონდენტი ჩამკვდარ „ლაგუნა ვერეს“, რომელიც ნაცსექტამ გაცოცხლებისაგან უნდა იხსნას!

მიადგა და იქ დახვდა **დარაჯი ზაზა მელაძე!**

ალაპარაკა და ალაპარაკა **დარაჯი ზაზა მელაძე ნოდარ მელაძის კორესპონდენტმა** — აქედან ტონობით მილები და შველერები გაიტანეს და ჯართში ჩააბარესო! დაღუპა ეს ქვეყანა ივანიშვილმა, გაარუსა და გააუბედურაო!



ჟურნალისტ მელაძეს სჭირდებოდა, თავისი ტყუილების მოწმედ თავისივე კუდი მოეყვანა და მოიყვანა კიდეც დარაჯი მელაძე!

## გესმით, რამხელა დანაშაული ჩაუდენია ამ ქვეყნის გამრუსებელ და დამღუპველ ივანიშვილს? თავისი კერძო საკუთრებიდან ჯართი გაუტანია!

კი მაგრამ, ივანიშვილმა **ზაზა მელაძეს** თუ არ ჰკითხა, **ნოდარ მელაძისათვის** მაინც არ უნდა ეკითხა, ჰქონდა თუ არა საკუთარი ტერიტორიიდან ჯართის გატანის უფლება? **დარაჯ ზაზა მელაძისგან** თუ არ აიღებდა ამის ნებართვას, თავისუფალი ქართული მედიის „საველე მეთაურისგან“ — **ნოდარ მელაძისგან** მაინც არ უნდა აეღო?

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ლანძღა და თათხა ბიძინა ივანიშვილი ზაზა მელაძემ ნოდარ მელაძის გადაცემაში!**

იმ ანდაზისა არ იყოს — მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო, **ნოდარ მელაძემ ზაზა მელაძე** მოიყვანა მოწმედ, თუ როგორ ანგრევს და აოხრებს საქართველოს რუსი ოლიგარქი ივანიშვილი, რომელიც უკვე იმდენსაც კი ბედავს, რომ თავისი კერძო საკუთრებიდან ჯართი გააქვს!

**მას შემდეგ, რაც ნოდარ მელაძის გადაცემა ეთერში გავიდა, „ლაგუნა ვერეს“ დარაჯი ზაზა მელაძე, რომელმაც იქ მოისაქმა, სადაც ჭამდა, სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ!**

ახლა ამაზე ატეხა ერთი ამბავი **ნოდარ მელაძის ტელეკანალიზაციამ** — დესპოტმა ივანიშვილმა **ზაზა მელაძე** ჩვენთვის მოცემული ინტერვიუს გამო დასაჯაო! 70 წლის კაცი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი გახდაო! ასეთი ბოროტი რეჟიმი მართავს ქვეყანასო! ბლა-ბლა-ბლაო!

არადა, **ზაზა მელაძეს სამსახური ბიძინა ივანიშვილმა კი არა, ნოდარ მელაძემ დააკარგვინა!**

კი, სწორედ **ნოდარ მელაძემ** გაწირა **ზაზა მელაძე,** რომელსაც „ჭუტავიზიის“ კამერა მიუშვირეს და მთელი ქვეყნის თვალწინ მოაქაქინეს იქ, სადაც წლების განმავლობაში ჭამდა!

თუ **ზაზა მელაძე** ვერ ხვდებოდა, შეუძლებელია, **ნოდარ მელაძეს** არ სცოდნოდა, რომ არცერთი კერძო კომპანია არ გააჩერებს სამსახურში თანამშრომელს, რომელიც ტელეკამერის წინ დადგება და საკუთარ ხელმძღვანელობას ქვეყნის დაღუპვაში დასდებს ბრალს, თანაც — სრულიად უსაგნოდ და უმიზეზოდ!

თუმცა, **ნოდარ მელაძეს ზაზა მელაძის ბედი რაში ანაღვლებდა? მისთვის მთავარი იყო, ბიძინა ივანიშვილის გასაშავებლად მომზადებული მორიგი ფეიკ-სიუჟეტი კონკრეტული რესპონდენტის კომენტარით გაემყარებინა, აქაოდა — ჩემს ფანტაზიებს კი არ გადმოგცემთ, აგერ, კაცი ღიად ლაპარაკობსო!**

მოკლედ, **ჟურნალისტ მელაძეს** სჭირდებოდა, თავისი ტყუილების მოწმედ თავისივე კუდი მოეყვანა და მოიყვანა კიდეც **დარაჯი მელაძე!**

მოიყვანა და დატოვა უსამსახუროდ!

**ნოდარ მელაძის** მიერ უსამსახუროდ დატოვებული **ზაზა მელაძე** გულწრფელად გვეცოდება, მაგრამ **კარგი იქნებოდა, „ლაგუნა ვერეს“ დარაჯი, პირველ რიგში, ელემენტარული ცხოვრებისეული მორალის სადარაჯოზე დამდგარიყო და იქ არ მოექაქა, სადაც ჭამდა!**

## კარგი იქნებოდა, „ლაგუნა ვერეს“ დარაჯი, პირველ რიგში, ელემენტარული ცხოვრებისეული მორალის სადარაჯოზე დამდგარიყო და იქ არ მოექაქა, სადაც ჭამდა!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**მეგი ცოცირიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ჟურნალისტებო, ენა რომ გაქვთ გადატყავებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამუნათებით,** რომელმაც 28 აქცია მოაწყო, ზოგი სეირნობად მონათლეთ და ზოგიც დაპიპინებად, ერთი მითხარით, **თქვენ რა გააკეთეთ ნიკას გამოსახსნელად!**

„აიპრესი“

**ნანუკა ჟორჟოლიანი**
*ტელეჟურნალისტი*



**ვანო მერაბიშვილი** „ბუაა“ — ყანებში რომ საფრთხობელას ჰკიდებენ. შესაბამისად, მგონია, რომ **არავის ვანო პარტიის ლიდერად არ უნდა!**

„პალიტრანიუსი“

**ნინო ნადირაძე**
*„ვივამედის“ გენერალური დირექტორი*



**მიხეილ სააკაშვილისთვის** ოჯახის წევრებს საჭირო საჭმლის კალორაჟიც არ მოაქვთ. **ექიმი ითხოვს, ცოტა მრავალფეროვანი საკვები მოიტანონ, ამ დროს მაღაზიის ცივი საკვები მოაქვთ.** მე ძალიან მიჭირს მიხეილ სააკაშვილთან სტაფის შერჩევა. არავის უნდა, ყველას ეშინია.

„TV იმედი“

**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტარი*



**არ არსებობს არცერთი იოტისოდენა მტკიცებულება და დოკუმენტიც,** რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველო არის ტრანზიტი, გამტარი ან რეექსპორტად გამოყენებული ქვეყანა უკანონო ტვირთებისთვის.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი*



**ირაკლი კობახიძეს** მინდა, ვუთხრა — უნდა შეეგუოს, რომ **ხვალ უკვე არ იქნება ხელისუფლებაში!**

„ახალი თაობა“

# ნათია ბერიძე:

# დიახ, ბერძენიშვილი არაკაცია და ამას არასოდეს გადავთქვამ!

***გასულ კვირას ქუჩაში არხეინად მოსიარულე ლევან ბერძენიშვილს ქართველი ხალხის სახელით კარგა გვარიანად შემოულაწუნეს. პირში მიახალეს ის, რასაც საზოგადოების ღირსეული ნაწილი დიდი ხანია, ფიქრობს — ერეკლე მეფე გმირია, ხოლო მისი მაგინებელი ლევან ბერძენიშვილი — არაკაცი! ის, ვინც ე.წ. ლიბერასტების ქურუმი ორი სიტყვით მიწაზე დაანარცხა, ჟურნალისტი ნათია ბერიძეა. მიუხედავად მისკენ მიმართული უზარმაზარი აგრესიისა, ის ნამოქმედარს ერთი წამითაც არ ნანობს:***




— ჩემი ემიგრანტი დისთვის ამანათს ვაგზავნიდი, როცა **ლევან ბერძენიშვილს** შემთხვევით შევხვდი. იმ მომენტში რაიმეს თქმისგან თავი შევიკავე, მამაჩემთან ერთად ვიყავი და კონფლიქტს მოვერიდე. როგორც კი გარეთ გავიდა, გავყევი, კამერა ჩავრთე და დავუძახე. იმდენად ზრდილობიანად მივედი მასთან, თავდაპირველად, ალბათ, თავისი სტუდენტი ვეგონე. გაოცებული დარჩა, როცა ვუთხარი, არაკაცი ხარ-მეთქი. თავადაც დაინახეთ, რომ პასუხი ვერ გამცა და დაბნეულმა გააგრძელა გზა. ყველაფერი სპონტანურად მოხდა. მეც ისე შემოვტრიალდი და წავედი, რომ მამაჩემმაც კი ვერ გაიგო, რა გავაკეთე.

**— თქვენმა ორმა წინადადებამ ფეხზე დააყენა მთელი სალიბერასტეთი — კამერის ჩართვით ადამიანის უფლებები შელახაო...**

— გახსოვთ, ალბათ, ლევან ბერძენიშვილის ძმამ სიტყვიერი შელაპარაკების გამო ქუჩაში გამვლელს რომ უჩივლა და დააჭერინა — თავს დამესხაო. იმ ადამიანს ხელში მტკიცებულება არ ჰქონდა, რომ თავი დაეცვა. არც მე მქონდა იმის გარანტია, რომ **ლევან ბერძენიშვილი** მეორე დღეს არ მიჩივლებდა. სულ ახლახან ჩემმა რესპონდენტმა ათი წლის აუტისტ ბავშვზე თავდასხმა დამაბრალა. მტკიცებულება რომ არ მქონოდა, თავს ვერაფრით გავიმართლებდი.

**ლევან ბერძენიშვილი,** რომელიც მუდმივად ცდილობს ჩვენი ისტორიის გაყალბებას, საჯაროდ შეურაცხყოფს ჩვენს პატრიარქს, ეკლესიას, მეფეებს, მწერლებს, პოეტებს, რატომ არ უნდა ვუთხრა საჯაროდ ის, რასაც მასზე ვფიქრობ?

**თუ მას შეუძლია, ტელეეკრანიდან ერეკლე მეფე მოღალატედ გამოაცხადოს, მე რატომ არ შემიძლია სახალხოდ ვუთხრა, რომ არაკაცია?!**

ეს ხომ მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, ასე ფიქრობენ მასზე ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანებიც.

**— თუმცა, ბევრმა გააპროტესტა თქვენი სიტყვები — ვინ მისცა ჩემი სახელით ლაპარაკის უფლებაო?**

— არაერთხელ დავწერე სოციალურ ქსელში და ამჯერად თქვენი გაზეთის საშუალებით ვიტყვი — ნაციონალური მოძრაობის მომხრეები და ის სექტა, რომელიც **ლევან ბერძენიშვილს** ამართლებს, ეკლესიას შეურაცხყოფს და პატრიარქს მიგინებს, ჩემთვის დიდი ხანია, ადამიანებში აღარ წერია, მითუმეტეს, საზოგადოებაში!

მაკრიტიკებენ — ბერძენიშვილისნაირ განათლებულ კაცს როგორ აყენებ შეურაცხყოფასო? განათლება კაცობას არ ნიშნავს! სავსებით შესაძლებელია, იყო ნაკითხი, განათლებული, მაგრამ — არაკაცი! **ამის მაგალითი სწორედ ლევან ბერძენიშვილია!**

იცით, რატომ აღელვა ბევრი, მათ შორის, სხვადასხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტები ჩემმა ვიდეომ? იმიტომ კი არა, რომ ბერძენიშვილზე შესტკივათ გული, მათთვის ის ჩვეულებრივი რუსეთის აგენტია, პრეცედენტმა შეაშინათ! მიხვდნენ, რომ ხვალ შემდეგები შეიძლება, თავად იყვნენ და ადამიანებმა ქუჩაში უთხრან ის, რასაც მათზე ფიქრობენ! ნავსი გატყდა — ეგონათ, ექსკლუზიური უფლება ჰქონდათ, ვიღაცებს მივარდნოდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩემნაირებიც აპირებენ იმავეს და არ მოეწონათ!

**— ლევან ბერძენიშვილი თქვენთვის მამის ტოლია. არ შეგიქმნათ ამ ფაქტმა უხერხულობა?**

— რადგანაც მამის ტოლაა, ყველაფერი უნდა ვაპატიოთ? მამის ტოლაზე უფრო დიდი ხნის და პატივსაცემი არ არის 90 წლის პატრიარქი, ყოველდღე ათას სისაძაგლეს რომ უგონებენ? მამის ტოლა არ იყო **ზიორგი ოთხმეზური,** პირდაპირ ეთერში შეურაცხყოფა რომ მიაყენეს? მამის ტოლა არ არის **ედიშერ გვენეტაძე,** ერთ-ერთ ტელევიზიაში დედა რომ აგინეს? ბერძენიშვილის ძმისშვილი პარლამენტთან რომ დაესხა თავს **ემზარ კვიციანს,** ისიც მამის ტოლა იყო! მაშინ რატომღაც არც ასაკი გახსენებიათ, არც ჭაღარა და არც ელემენტარული ზრდილობა. **ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, როდესაც ლევან ბერძენიშვილი საჯაროდ შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს და ლიბერალად მოაქვს თავი, კეთილი ინებოს და მოისმინოს ის, რასაც ხალხი მასზე ფიქრობს!**

მე მისთვის ისეთი არაფერი მიკადრებია, რაც საკუთარ თავს თვითონ არ აკადრა. რამდენიმე თვის წინათ ექსპერიმენტი ჩავატარეთ. ლევან ბერძენიშვილს სხვისი სახელით დავურეკე და თავისი სიტყვები პოზნერის სიტყვებად გავაცანი. მან საკუთარი თავი მიწაში ჩადო — ამ სიტყვების მთქმელი პერსონა ნონ გრატა უნდა იყოსო!

გარდა იმისა, რომ მაქვს პროფესია, პირველ რიგში, ვარ ადამიანი, ქალი, დედა და მართლმადიდებელი.

**არ მინდა, ჩემს შვილს ლექციები უკითხოს იმ ადამიანმა, რომელიც სიწმინდეებს გვილანძღავს და ისტორიას გვიყალბებს!**

ჩემი პირადი ძალებით რაც შემიძლია და როგორც შემიძლია, ისე აღვიმაღლებ ხმას! ასი, ათასი და ათი ათასი კაციც რომ შემომასიოს, ვერ შეცვლის იმ მოცემულობას, რაც არის და ვთქვი. **დიახ, ლევან ბერძენიშვილი ჩემთვის არაკაცია! ამას არასოდეს გადავთქვამ!**

**— როგორც ლევან ბერძენიშვილმა თქვა, ეს სულაც არ აღელვებს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლების დაკვეთას ასრულებთ!**

— ვიდეოში კარგად ვნახეთ, როგორც ღელავდა. ნუთუ მართლა სჯერა, რომ მხოლოდ მას აქვს ვიღაცების ლანძღვის უფლება და სხვამ თუ გამოხატა აზრი, ე.ი. გადაუხადეს? ვინ რა უნდა გადამიხადოს, როცა საქმე ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვას ეხება?! „ქართული ოცნება“ ჩანასახშიაც არ იყო, როდესაც რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოდი და ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობ. კიდევ ერთხელ ვამბობ — ერთი წამით არ შევცვლიდი არცერთ სიტყვას, რაც ვიდეოში ვთქვი.

**— ანუ არ ნანობთ?**

— არცერთი წამით არ ვნანობ, რამდენიც არ უნდა მლანძღონ და მაგინონ, უკან რომ დავბრუნდე, დღესაც იმავეს გავაკეთებდი! აბსოლუტურად გააზრებულად და გულწრფელად ვუთხარი ბერძენიშვილს ჩემი სათქმელი.

როდესაც ხელში მიკროფონი მიჭირავს, ვინც არ უნდა შემხვდეს, ჩემს ტელევიზიას, სამსახურს პატივს ვცემ და შეურაცხყოფას არავის მივაყენებ, მაგრამ არასამუშაო საათების დროს ყველას პირში ვეტყვი ჩემს სათქმელს. საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას კონსტიტუცია მაძლევს. ვიცი, ჩემი მისამართით რატომაც წამოვიდა მუქარების ქარიშხალი და რამ გაამწარათ!

**— მაინც რამ გაამწარათ?**

— მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც 2019 წლის 20 ივნისს პარლამენტთან შეკრებილ ნაციონალებს რევოლუციის ერთადერთი შანსი წაართვა. იმ ახალგაზრდების 99 პროცენტს, ვინც დღეს მლანძღავს და მაგინებს, შეიძლება არ ახსოვდეთ, მაგრამ მათ ხომ იციან, რომ ჩემმა გადაღებულმა მაშინდელმა კადრებმა გეგმები ჩაუშალათ. ე.წ. „გავრილოვის ღამეს“ გამართულ აქციას პირდაპირ ეთერში ვიღებდი და სწორედ ჩემგან გავრცელდა ის კადრები, სადაც მათი ნამდვილი მიზნები გაცხადდა. მე ვარ ის ოქროს მოწმე, რომელმაც მათ ცივი წყალი გადაასხა. აი, ამას ვერ ინელებენ და უკადრებელს კადრულობენ.

არ ვაპირებ ჩუმად ჯდომას და ყურებას, როგორ გადაატრიალებენ ქვეყანას. ამათი არ მეშინია! თუ მზად არიან, ქვეყანა არიონ, მეც და ჩემნაირებიც ვართ მზად, ამაში ხელი შევუშალოთ!


კადრი ჟურნალისტ ნათია ბერიძის ვიდეოდან, რომელშიც იგი ლევან ბერძენიშვილს ქუჩაში აჩერებს და არაკაცს უწოდებს!

## „მე მისთვის ისეთი არაფერი მიკადრებია, რაც საკუთარ თავს თვითონ არ აკადრა!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები


**კონსტანტინე გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*

**ლევან ბერძენიშვილს:** არც ნიკოლოზ ბარათაშვილს, არც ალექსანდრე ბატონიშვილს, არც ილიას **ერეკლე მეორეზე არ გამოუყენებია სიტყვა „მოღალატე“ და „ქვეყნის ჩამბარებელი“.** სასაცილოა, თვლიდე, რომ ესენი ვერ მიხვდნენ და შენ მიხვდი!

„იმედინიუსი“


**ზვიად ავალიანი**
*ჟურნალისტი*

**ლევან ბერძენიშვილს,** თურმე, აქვს უფლება, გალანძღოს ყველა და ყველაფერი, მოღალატეებად და აგენტებად გამოაცხადოს ამჟამად მცხოვრები ადამიანებიც, მაგრამ თავად ლევან ბერძენიშვილის გალანძღვა, თურმე, უკულტურობაა. ჰოდა, იცით, რას გეტყვით, ბატონებო? **მიმიფურთხებია თქვენი ნეოლიბერალური კულტურისთვის!**

„იმედინიუსი“


**იოსებ არჩვაძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*

ასეთი **ორკესტრირებული შეტევა ქართულ სახელმწიფოზე,** სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნიდან ზოგიერთი ოპოზიციური ძალის აკომპანირებით, მიმართულია საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„იმედინიუსი“


**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*

დღეს **ოპოზიცია** არ მოქმედებს და არ საუბრობს იმ მიმართულებით, რაც სჭირდება არამარტო **ოპოზიციას,** არამედ ქვეყანას. ნამდვილად არ მიყვარს **ოპოზიციის ოპოზიციონერობა,** მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რეალობაა.

„ახალი თაობა“



კადრი ჟურნალისტ ნათია ბერიძის ვიდეოდან, რომელშიც იგი ლევან ბერძენიშვილს ქუჩაში აჩერებს და არაკაცს უწოდებს!



**„კანონი აღარ ითვალისწინებს „ბოდიშის მოხდას“, მხოლოდ ფაქტის უარყოფის ვალდებულებას აკისრებს მხარეს!“**

## გელა ნიკოლაიშვილი:

# არ დაისჯებით, თუ ამხელთ თუნდაც მწვავედ, მაგრამ ზრდილობის ფარგლებში!

***ლევან ბერძენიშვილმა ერის უდიდეს ნაწილს შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც მეფის ერეკლე მეორის მოღალატედ გამოცხადება მოითხოვა. ეგონა, შერჩებოდა, მაგრამ... მოულოდნელად გზად ჟურნალისტი ნათია ბერიძე შემოეყარა:***

*„— ბატონო ლევან, გამარჯობათ!*
*მე უნდა მეთქვა, რომ ერეკლე მეფე გმირი იყო და თქვენ — არაკაცი ხართ!*
*აუცილებლად უნდა მეთქვა მთელი საქართველოს სახელით!*
*მადლობა და ნახვამდის!“*

***ჟურნალისტის წინააღმდეგ მაშინვე აღდგა მთელი სანაცეთი და სალიბერასტეთი. დაიწყეს გულმოდგინე კვლევა, ვინ აიტაცა ნათიას გადაღებული ვიდეო და აფთრებივით დაესივნენ ჟურნალისტს, რომელმაც საქნელ-სათქმელი პირში უზრახა კაცს, რომელიც არც ილია ჭავჭავაძეს იცნობს, როგორც პოეტს, ხოლო სტალინს ვაჟა-ფშაველას ნაბუშრად მიიჩნევს!***

***ითვალისწინებს თუ არა კანონი პოზიციის თამამად გამოხატვის გამო ჟურნალისტის დასჯას? ამის დასადგენად უფლებადამცველსა და პრაქტიკოს ადვოკატს გელა ნიკოლაიშვილს მივმართეთ:***

— საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს **„კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“** ზედმეტად ლიბერალურია, ზომაზე მეტ თავისუფლებას ანიჭებს ადამიანებს, რასაც მავანი ბოროტად იყენებს... „ვარდების რევოლუცია“ სულ ახალი მომხდარი იყო, როდესაც 2004 წელს ეს კანონი მიიღეს და ის მაშინვე იქნა აღქმული, როგორც რევოლუციის, ლიბერალური შეხედულებების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დიდი მონაპოვარი. ამ კანონის მიხედვით, დაშვებულია ნებისმიერი საკუთარი პოზიციის გამოხატვა, თუმცა, ისეც ხდება, რომ გამოთქმული აზრი არსებითად მცდარ ფაქტებს ეფუძნება და ერისთვის, სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის ზიანის მომტანია. **ჟურნალისტ ნათია ბერიძის საქციელი თავსდება კანონით დაშვებულ „გამოხატვის ფარგლებში“. არც სისხლის სამართლის და არც სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ამ შემთხვევაში სასჯელს.** ერთი ის არის, რომ ჟურნალისტმა ცოტათი გააზვიადა, როდესაც საკუთარი პოზიცია „მთელი საქართველოს სახელით“ გამოაცხადა, მისთვის ასეთი მანდატი არავის მიუნიჭებია, თუმცა, ამავე დროს, არც ის არის დანაშაული, თუ მას საკუთარი პოზიცია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის თვალსაზრისად მიაჩნია. მთავარია, ლევან ბერძენიშვილმა არ ჩათვალოს, რომ ჟურნალისტმა თავისი მიმართვით (**„არაკაცი ხართ!“**) პატივი და ღირსება შეულახა. მაგრამ, თუნდაც ჩათვალოს, მას ექნება ერთადერთი სამართლებრივი გზა — სასამართლოს მიმართოს და ჟურნალისტ ნათია ბერიძეს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში ედავოს.

**— საერთაშორისო სამართალი თუ აწესებს ზღვარს, სად მთავრდება „გამოხატვის თავისუფლების“ ფარგლები?**

— აღნიშნული საკითხი საერთაშორისო სამართლის ფარგლებშიც ხშირად არის სადავო, ზუსტი პასუხი, როგორც მათემატიკა ამბობს, რომ 2X2=4-ს, ამაზე არ არსებობს. ფიზიკური შეხება არასოდეს ჯდება „გამოხატვის ფარგლებში“, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ან უნდა არსებობდეს ფიზიკური ზემოქმედების ამსახველი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ანდა, მინიმუმ, მხარე უნდა იძლეოდეს ჩვენებას, რომ მას შეეხნენ, რის შედეგადაც ტკივილი განიცადა.

**— შეფურთხების დროს რა ხდება?**

**— შეფურთხება შეურაცხყოფაში გადის, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება და, სხვათაშორის, სოლიდურ ჯარიმასაც ითვალისწინებს.**

**— რაც შეეხება სიტყვიერ შეურაცხყოფას? ვთქვათ, რომელიმე მოქალაქე ბერძენიშვილს პირისპირ შეეჩეხა და ერეკლე მეფის შეურაცხყოფის გამო შეაგინა, რა მოელის?**

— გინება და ლანძღვაც შეურაცხყოფაში გადის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება, თანაც, თუ ეს ფაქტი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ხდება, შეიძლება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად და ხულიგნობადაც შეფასდეს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე მსჯელობა იმართება.

**— წყევლაც დასჯადია? ვთქვათ მივმართე: „შენ არ მიხვიდე სახლში ცოცხალი!“ ან — „როგორი მართალიც იყო, ისე გაიხარე!“ ან — „ჩვენს შორის მტყუანის დედაც...“**

— დაისჯებით, თუ მომჩივანი სასამართლოზე დაასაბუთებს, რომ თქვენი რეპლიკის გამო მას ტანჯვა მიადგა. თუმცა, მსგავსი გარემოება სატელევიზიო დებატების დროს ტელეეკრანიდანაც ხშირად გვინახავს.

**— რომ შევხვდე და ასე მივმართო: „შე არაადამიანო!“ — მაინც დავისჯები?**

— ნაკლებად სავარაუდოა, დაისაჯოთ, თუმცა, თუ მან გიჩივლათ, თქვენ მოგიწევთ დასაბუთება, რატომ აფასებთ მის კონკრეტულ საქციელს ამ ტერმინით. მოსამართლე აუცილებლად შეგეკითხებათ, რა აზრი ჩააქსოვეთ, როდესაც ამ ტერმინით მოიხსენიეთ. გიმეორებთ — **ერთი მხრივ, აზრის გამოხატვა იმგვარად უნდა ხდებოდეს, რომ დაცული იყოს სხვისი პატივი და ღირსება; არ უნდა გადადიოდეს ლანძღვაგინებაში, არ ცდებოდეს ეთიკურ ნორმებს, რასაც საზოგადოება ადგენს.** პირადად მეც ხშირად დავმდგარვარ ფაქტის წინაშე, რომ სასამართლოში მისულს იქ შეკრებილი ნაციონალური მოძრაობის წევრთაგან ჩემი მისამართით შეურაცხმყოფელი რეპლიკები მომისმენია. ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ არასერიოზულად აღვიქვამ, რადგან დათა თუთაშხიას რეპლიკა მახსენდება: **„ვინ ხართ თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ... რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ? ვერ ხედავთ ამას?“** არც მიფიქრია, ამ ადამიანებს კანონის წინაშე პასუხი მოვთხოვო, ვინაიდან საჯარო პირს ხშირად უწევს თმენა და ვალდებულებაც გააჩნია. პრობლემა ის არის, რომ მავანი ანგარიშს არ უწევს, თუ მისი რეპლიკა არა ერთ კონკრეტულ საჯარო პირს, არამედ საზოგადოების დიდ ნაწილს გააღიზიანებს ან თუ ამ საზოგადოების ტრადიციებსა და წმინდა გრძნობებს შეურაცხყოფს. ასეთ ფსევდოლიბერალებს ორმაგი სტანდარტი აქვთ — ცნობილი ანდაზისა არ იყოს, მიაჩნიათ, რომ, „რაც ეპატიება იუპიტერს, ის არ ეპატიება ხარს!“

**— პირდაპირ გკითხავთ: ლევან ბერძენიშვილის პოზიცია, რომელმაც გმირი მეფე ერეკლე მოღალატედ მოიხსენია — თავსდება „გამოხატვის ფარგლებში?“**

— სამწუხაროდ, გამოხატვის ფარგლებში თავსდება, რადგან რაც არ უნდა მტკივნეული იყოს სხვისთვის, ეს მისი აზრია. ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს მეფე დავით აღმაშენებელი წმინდანად მიაჩნია, მცირე ნაწილს — ტირანად... ეს ყოველივე ჯდება შეფასების კატეგორიაში, მაგრამ, **შეფასების კატეგორიაში ჯდება ჟურნალისტის მხრიდან მისი მოღალატედ მოხსენიებაც!** ამის მიუხედავად, თუ ბერძენიშვილი ჩათვლის, რომ ამგვარად მოხსენიების გამო მისი საქმიანი რეპუტაცია, პატივი და ღირსება შეილახა, ჟურნალისტს შეიძლება უჩივლოს. მაგრამ მას მოუწევს სასამართლოში იმის დამტკიცება, რომ მოპასუხემ მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება გაავრცელა!

**— არსებობს თუ არა „პატივისა და ღირსების“ ზუსტი განმარტება? ვიღაცას უკიდურეს შეურაცხყოფაზეც არა აქვს რეაქცია... სხვა — ირონიასაც ღირსების შელახვად მიიჩნევს... არადა, კანონის წინაშე ხომ ყველა თანასწორია?**

— სწორი შენიშვნაა — ღირსების ცნება სრულიად ინდივიდუალურია, მაგრამ, **თუ ადამიანი სასამართლოში შეძლებს დამტკიცებას, რომ შეურაცხყოფის საფუძველზე იმდენად ცუდად გახდა, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება მოუხდა ანდა ვიღაცამ მას „მოღალატე“ უწოდა და ამის გამო სამსახური დაკარგა — მაშინ მოპასუხეს პასუხისმგებლობა დაეკისრება.** არადა, მორალური ზიანის ანაზღაურებაც ინდივიდუალურია — ერთი და იგივე შინაარსის შეურაცხყოფის კომპენსაციად მავანისთვის 100 ლარიც საკმარისია, სხვას 10 000 ლარიც ეცოტავება. საბოლოოდ, კომპენსაციის რაოდენობასაც სასამართლო ადგენს. კონკრეტული სტანდარტი არ არსებობს. სხვათაშორის, **კანონი აღარ ითვალისწინებს „ბოდიშის მოხდას“, მხოლოდ ფაქტის უარყოფის ვალდებულებას აკისრებს მხარეს.**

**— მაინც როგორი პასუხი შეიძლება გასცეს მოქალაქემ ერის, სარწმუნოების, ტრადიციების, ზნეობის შეურაცხმყოფელ პირს... როგორ დაგმოს მისი საქმიანობა იმგვარად, რომ კანონის დარღვევაში არ ჩაეთვალოს?**

— მხილება აკრძალული არ არის, მაგრამ, პირველ რიგში, მოქალაქემ უნდა ილაპარაკოს საკუთარი და არა საზოგადოების სახელით, რადგან უმრავლესობაც და უმცირესობაც, რომელთაც კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში განსხვავებული ხედვა გააჩნიათ — საზოგადოების შემადგენელი ნაწილები არიან. ამასთან, შეიძლება, მოქალაქემ პოზიცია საკმაოდ მწვავედაც გამოხატოს, მაგრამ უთუოდ ზრდილობის ფარგლებში. თუ, მაგალითად, ასე ეტყვის: **„რას სჩადიხარ, ამას რატომ კადრულობ, ნუთუ, არა გრცხვენია?“** — ამის გამო მოქალაქე არ დაისჯება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**„ჟურნალისტ ნათია ბერიძის საქციელი თავსდება კანონით დაშვებულ „გამოხატვის ფარგლებში“. არც სისხლის სამართლის და არც სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ამ შემთხვევაში სასჯელს!“**

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*ანალიტიკოსი, პროფესორი*



**ბაიდენი** ამერიკელი **ბრეჟნევია.** დიახ, ქვეყნის სათავეში მოვიდა კაცი, რომელიც თავად კი არ მართავს, არამედ მას მართავენ!

„საერთო გაზეთი“

**თენგიზ ფხალაძე**
*ჩიპა-ს პროფესორი*



საქართველოში **რუსეთს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი,** ნამდვილად არანაკლები თავისი სისასტიკითა და არაადამიანურობის ხარისხით, ვიდრე უკრაინაში.

„კვირის პალიტრა“

**ვაჟა არშიძე**
*სოციოლოგი*



სჯობს, ადამიანი **საკუთარ ქვეყანაში იყოს** და უფრო დაბალი შემოსავალი ჰქონდეს, **ვიდრე უცხოეთში წავიდეს** და პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

„რეზონანსი“

**ანზორ ბიწაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



**24 თებერვლის აქციაზე:** ყველაზე დიდი პრობლემა ოპოზიციის არის **ფუჟი, მატყუარა პოლიტიკური გასროლები!** რა ეროვნული მოძრაობა შეიძლება მოხდეს თვე-ნახევარში?

„TV პირველი“

**ანა მარია შიქე**
*საქართველოში უნგრეთის ელჩი*



ვფიქრობ, **ხალხებს შორის თავისუფალი მოგზაურობა სუვერენული გადაწყვეტილებაა,** ყველაფერი პოლიტიკა არ არის.

„პირველი არხი“

***უხსოვარი დროიდან მოყოლებული შიმშილობა სხვადასხვა დაავადებისგან ადამიანის განკურნების ერთ-ერთ ეფექტურ და გამოცდილ საშუალებად არის მიჩნეული. საქვეყნოდ აღიარებულია პოლ ბრეგის ცნობილი სამედიცინო ტრაქტატი — „შიმშილობის სასწაული“, რომელიც მსოფლიოს ბევრ ენაზეა თარგმნილი. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ სამდღიანი შიმშილობის შედეგად იმუნური სისტემა მთლიანად იცვლება და ორგანიზმში სრულიად ახალი უჯრედები წარმოიქმნება:***






**კახა საბახტარიშვილი:**

# თუ ამ ხერხს მიმართავთ, ორ თვეში ჩვენი წონის დაახლოებით 10 პროცენტს უპრობლემოდ მოვიშორებთ!

— შიმშილობისა და საკვების შეზღუდვის სასარგებლო გავლენაზე ჯერ კიდევ **ავიცენა** მიუთითებდა. ქრისტიანულ რელიგიაშიც მძიმე მარხვა სულისა და სხეულის განწმენდას ემსახურება. იგივე დატვირთვა აქვს მუსლიმანურ რამადანსაც, სადაც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე საკვებს საერთოდ არ მიირთმევენ და მხოლოდ ღამით ჭამენ. ცხადია, ეს ორგანიზმისთვის საზიანოა, თუმცა, ამაზე სხვა დროს...

**— ბატონო კახა, რა დადებითი ეფექტი აქვს შიმშილობას გარდა იმისა, რომ წონაში ვიკლებთ?**

— შიმშილობისა და საკვების შეზღუდვის დროს ადამიანის ორგანიზმში ინსულინის გამომუშავება მინიმუმამდე დადის. ამ დროს, ერთი მხრივ, პანკრეასის ჯირკვალი ისვენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ტვინისა და კუნთებისთვის აუცილებელ გლუკოზას ორგანიზმი სისხლიდან და ღვიძლიდან იღებს. ამის შედეგად დიაბეტის განვითარების რისკი მინიმუმამდე მცირდება. გარდა ამისა, როდესაც ადამიანი შიმშილობს ან საკვების მიღებას მკვეთრად შეზღუდავს, საჭმლის მომნელებელი სისტემაც ისვენებს, გამოიყოფა ნორადრენალინი და ნივთიერებათა ცვლა ძლიერდება. შიმშილობა საუკეთესო საშუალებაა ორგანიზმის გასაწმენდად, ანუ დეტოქსიკაციისათვის. მართალია, ეს ორგანიზმისთვის ერთგვარი სტრესია, მაგრამ კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევებით, სამდღიანი შიმშილობის შედეგად იმუნური სისტემა მთლიანად იცვლება და ორგანიზმში სრულიად ახალი უჯრედები წარმოიქმნება.

**— რა მეცნიერული საფუძველი აქვს შიმშილობის შედეგად უჯრედების განახლების პროცესს და სად მიდის ძველი უჯრედები?**

— ამ თემაზე მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში იმტვრევდნენ თავს. თავად წარმოიდგინეთ — კუჭისა და ნაწლავების უჯრედები, როგორც წესი, ყოველ ხუთ დღეში ახლით იცვლება, კანის უჯრედები ორ კვირაში ახლდება, ძვლის — ათი წლის განმავლობაში, ხოლო სისხლის შემადგენელი ერითროციტები — ოთხ თვეში. ადამიანის ორგანიზმში ყოველ 24 საათში 50-დან 70 მილიარდამდე ძველი უჯრედი ნადგურდება. მართლაცდა, სად მიდის ამდენი მკვდარი უჯრედი? ამ შეკითხვას მსოფლიოში პირველმა ბელგიელმა მეცნიერმა **კრისტიან დეიუვმა** 1962 წელს უპასუხა, რისთვისაც ნობელის პრემია მიიღო. მან აღმოაჩინა, რომ ყველა უჯრედს აქვს სპეციალური ღრუ, რომელსაც შესაძლოა, პირობითად უჯრედის „კუჭი“ ვუწოდოთ. სწორედ აქ მოხვედრილ გაცვეთილ უჯრედებს, ბაქტერიებსა თუ ვირუსებს კუჭში არსებული სპეციალური სტრუქტურები — **ლიზოსომები** გადაამუშავებენ და ანეიტრალებენ, ანუ წარმოადგენენ უჯრედების ერთგვარ „მტვერსასრუტს“, სადაც ძველი უჯრედები ამინომჟავებამდე იშლება და მათგან ახალი უჯრედები და ცილები წარმოიქმნება. ბელგიელმა დეიუვმა ამ მოვლენას **აუტოფაგია** (ანუ თვითშეჭმა) უწოდა. არადა, სიმსივნე, შაქრიანი დიაბეტი, პარკინსონი და სხვა უმძიმესი დაავადებები ძირითადად იმის გამო წარმოიშობა, რომ ორგანიზმში უამრავი დეფექტური და დაზიანებული უჯრედი გროვდება, ხოლო თვითგაწმენდის, ანუ **აუტოფაგიის მექანიზმი** გამართულად ვერ მუშაობს! აქედან გამომდინარე, **თუ გვინდა, რომ ჯანმრთელი ვიყოთ და კიბო, პარკინსონი, შაქრიანი დიაბეტი და სხვა უმძიმესი დაავადებები არასოდეს დაგვემართოს, ასევე წარმატებით გავუმკლავდეთ ვირუსებს, ბაქტერიებსა და ტოქსინებს, აუტოფაგიის მექანიზმი მოვიწესრიგოთ!**

**— ეს როგორ უნდა მოვახერხოთ?**

— აუტოფაგიის აღმოჩენიდან მთელი ოცი წლის განმავლობაში, ეს შეკითხვა უპასუხოდ რჩებოდა. 2016 წელს იაპონელმა მეცნიერმა, ნობელიანტმა **იოშინირო ოსუმიმ** დაადგინა, რომ აუტოფაგია ინტენსიურია მაშინ, როცა ორგანიზმი სტრესს განიცდის. ეს სტრესი კი არის — შიმშილობა, კალორიების შემცირება ან მკაცრი დიეტა! **ასეთ დროს უჯრედები საკვებად იყენებენ უჯრედის „ნაგავს“ და პათოგენურ ბაქტერიებს,** რის გამოც შიმშილობა და მკაცრი დიეტა ორგანიზმის გასაახლებლად და უამრავი დაავადების დასამარცხებლად უებარ საშუალებად ითვლება.

**— რა სახის შიმშილობა არსებობს და მათ შორის რომელია ჯანმრთელობისთვის ყველაზე ეფექტური?**

— ყველაზე ეფექტური **ინტერვალური შიმშილობაა!** ასეთი შიმშილობის ერთ-ერთი სახეობაა „8+16“, რაც იმას ნიშნავს, რომ 8 საათის განმავლობაში ვჭამთ, ხოლო 16 საათის განმავლობაში — წყლის გარდა, არაფერს ვიღებთ! თუ ამ შიმშილობას დილის 10 საათიდან დავიწყებთ, მაშინ საღამოს 6 საათამდე მცირე ულუფებით უნდა ვიკვებოთ, ხოლო შემდეგ მეორე დილამდე არაფერი ვჭამოთ. ასეთი შიმშილობა ძალიან ეფექტურია, ხოლო ამ ეფექტის მეცნიერული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ აუტოფაგიის მექანიზმი მხოლოდ 12-14-საათიანი შიმშილობის შემდეგ ირთვება, როდესაც ორგანიზმი საკუთარ ცხიმებს „წვავს“...

**— რა უნდა ვჭამოთ იმ რვა საათის განმავლობაში?**

— პირველ რიგში, უარი უნდა ვთქვათ გაზიან სასმელებზე, ძეხვეულზე, ზედმეტად ცხიმიან საკვებზე, ჩიპსებზე, ნამცხვრებზე, ტორტებზე, ფასტფუდებსა და ყველა იმ საკვებზე, რომელიც ზედმეტად ტკბილია. ამ 8 საათის განმავლობაში საკვები სამ-ოთხჯერ მაინც უნდა მივიღოთ, ხოლო წყალი ყლუპებად, მცირე პორციებად უნდა ვსვათ. **ასეთი გზით მიღებული წყალი კუჭს „ატყუებს“ და სიმაძღრის შეგრძნებას იწვევს!**

ძალიან ეფექტურია კვირაში ერთხელ 24-საათიანი შიმშილობა, რა დროსაც მხოლოდ წყლის დალევა შეიძლება. თუ ამ ხერხს მივმართავთ, ორ თვეში ჩვენი წონის დაახლოებით 10 პროცენტს უპრობლემოდ მოვიშორებთ, მაგრამ შიმშილობის ეს სახეობა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის სახიფათოა, რადგან დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთი პაციენტები კომაში ჩავარდნენ. საერთოდ, ვისაც წონაში დაკლება სურს, პირველ რიგში, ტკბილეული და გაზიანი სასმელები მოიკვეთოს! თვით ტკბილი ხილიც კი ასეთ დროს საზიანოა და წონაში დაკლებას უშლის ხელს. **როდესაც ცხოველები ავად არიან, ისინი საჭმელს არ ჭამენ. ეს ყოველ ცოცხალ ორგანიზმში ღმერთის მიერ ჩადებული კოდია, რაც იმას ნიშნავს, რომ შიმშილობით ჯანმრთელობის გაუმჯობესება შესაძლებელია!**

**— ზოგიერთი ადამიანი დღეში ერთხელ ჭამს და მიიჩნევს, რომ სწორად ცხოვრობს. რას იტყვით?**

— ეს შეხედულება მცდარია... ადამიანმა დღე-ღამეში 150 გრამი სუფთა ცილა აუცილებლად უნდა მიიღოს! 100 გრამი ქათმის ხორცი 20 გრამ ცილას შეიცავს... ასე რომ, გამორიცხულია, ადამიანმა ერთ ჯერზე, ანუ ერთხელ ჭამით, საჭირო ცილები დააგროვოს. გარდა ამისა, ნაღველი, რომელიც ნაღვლის ბუშტში გროვდება, საჭმლის მონელების დროს პერიოდულად გადაისროლება თორმეტგოჯა ნაწლავში, რის შედეგადაც ნაღვლის ბუშტი იცლება. როდესაც ადამიანი დღეში ერთხელ ჭამს, ნაღველი ნაღვლის ბუშტში რჩება, სქელდება, მკვრივდება და დროთა განმავლობაში კენჭებად გადაიქცევა. ნაღვლის შეგუბების გამო ზიანდება ღვიძლის უჯრედებიც — ჰეპატოციტები, რომლებიც გაცხიმოვნებას განიცდის და ვითარდება ღვიძლის ცხიმოვანი ჰეპატოზი. ეს კი უმოკლესი გზაა ღვიძლის ციროზისკენ. აი, ამიტომაც არის დღეში ერთხელ ჭამა საშიში!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„შიმშილობის დროს წყალი ერთბაშად კი არა, ყლუპებად, მცირე პორციებად უნდა ვსვათ. ასეთი გზით მიღებული წყალი კუჭს „ატყუებს“ და სიმაძღრის შეგრძნებას იწვევს!“**

**„ვისაც წონაში დაკლება სურს, პირველ რიგში, ტკბილეული და გაზიანი სასმელები მოიკვეთოს!“**








**„ყველაზე ეფექტური ინტერვალური შიმშილობაა!“**



**„ადამიანმა დღე-ღამეში 150 გრამი სუფთა ცილა აუცილებლად უნდა მიიღოს!“**

**„როდესაც ცხოველები ავად არიან, ისინი საჭმელს არ ჭამენ. ეს ყოველ ცოცხალ ორგანიზმში ღმერთის მიერ ჩადებული კოდია, რაც იმას ნიშნავს, რომ შიმშილობით ჯანმრთელობის გაუმჯობესება შესაძლებელია!“**



მცხეთურ ღვეზელს, რომელსაც, დიმიტრი ალავიძის ხელმძღვანელობით, მცხეთის საჭაშნიკეში — სალობიეში აწარმოებენ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა! უკვე 55 წელია, იგი ერთი და იგივე რეცეპტით მზადდება და ამ ხნის განმავლობაში უნიკალური გემო და ხარისხი შეინარჩუნა. თვითონ მცხეთელები ამ ღვეზელს ქალაქში არსებულ შვიდ ეკლესიასთან და მიხეილ მამულაშვილის ბაღთან ერთად მცხეთის სიამაყედ მიიჩნევენ!





**„ეს არის არამარტო ჩვენი კოლექტივის, არამედ ქართული კულინარიის გამარჯვება!“**

## დიმიტრი ალავიძე:

# ჩვენს მცხეთურ ღვეზელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა!

**დიმიტრი ალავიძე,** ***მცხეთის „საჭაშნიკეს“ (სალობიე) ხელმძღვანელი:*** — დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა სურვილი, რომ მცხეთურ ღვეზელს **არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი** მინიჭებოდა და ახლა, როდესაც ეს მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, ძალიან გავგვიხარდა. სუფრა გავშალეთ, დავლოცეთ სრულიად საქართველო, მცხეთა, ჩვენი საჭაშნიკე და ეს მცხეთური ღვეზელი!

**— ვინ იყო ამ ამბის ინიციატორი?**

— ორი შესანიშნავი ქალბატონი — კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, დემოგრაფიული ფონდის დამფუძნებელი **თამარ ჩიბურდანიძე** და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს თანამშრომელი **სალომე ხმიადაშვილი.** ეს ქალბატონები ჩვენთან მობრძანდნენ, ვისაუბრეთ, შეხვდნენ მცხეთელებსაც, ყველამ მივაწოდეთ ინფორმაცია მცხეთური ღვეზლის დამზადებაზე და ამის შესახებ ხალხში გავრცელებულ ისტორიაზე.

**— როგორც ცნობილია, ამ ღვეზელს მცხეთაში ჯერ კიდევ რევოლუციამდე ამზადებდნენ...**

— მცხეთურ ღვეზელს თავისი უნიკალური ისტორია აქვს, მისი ცხობა ჯერ კიდევ რევოლუციამდე აქ მცხოვრები **ბებეჭკორების ოჯახში** დაიწყეს და წლების განმავლობაში მცხეთის რკინიგზის სადგურზე ჰყიდდნენ. გაჩერდებოდა თუ არა მატარებელი, სადგურზე ღვეზლის შესაძენად მგზავრთა რიგი დგებოდა. 1965 წელს, როდესაც ვასილ მჟავანაძის განკარგულებით, ამ ადგილზე ოჯახური ტიპის მსუბუქი კვების ობიექტი უნდა გახსნილიყო, ფიქრი დაიწყეს, სახელდახელო წასახემსებლად რა კერძი უნდა მოემზადებინათ. აი, მაშინ გაახსენდათ მცხეთური ღვეზელი. ვისგან წამოვიდა ინიციატივა, არ ვიცი, მაგრამ ამბობდნენ, რომ ცეკადან. **მოვძებნეთ ბებეჭკორების ოჯახში ღვეზლის მცხობელი ქალბატონიც, მაშინ უკვე 90 წლის, რომელმაც რეცეპტიც გვასწავლა და ცხობაშიც გვეხმარებოდა.**

**ამ ობიექტის გახსნისას პირველი მცხეთური ღვეზელი მე მოვამზადე და ჩემი პირველი სტუმარი გახლდათ სწორედ ვასილ მჟავანაძე თავის მეუღლესთან ერთად.**

დღეს ჩვენს საჭაშნიკეში მცხეთურ ღვეზელს ამზადებენ **ირინა ფოჩხუა, ნუნუ ტერუნაშვილი, ნინო ხალოევი, თემურ მელიქიშვილი, ლარგი ახვლედიანი და დათო დავითულიანი.** არ დამიზოგავს დრო, ენერგია, ნებისყოფა, მონდომება, არ შევუშინებივარ სირთულეებს და ამ კერძს — მცხეთურ ღვეზელს გემო და ხარისხი შევუნარჩუნე. ეს არის არამარტო ჩვენი კოლექტივის, არამედ ქართული კულინარიის გამარჯვება!

**— ვისგან გქონდათ ხელშეწყობა?**

— თავიდან ისევ და ისევ **ვასილ მჟავანაძისგან** და ეს ღვეზელიც პირველმა მან დააგემოვნა. მეორე დღიდან ხალხით გაივსო აქაურობა, არ ვიცი, როგორ გაიგეს ჩვენი არსებობა. მჟავანაძე რამდენიმე დღის შემდეგაც გვესტუმრა და ძალიან გაუხარდა, ხალხით სავსე დარბაზი რომ დაინახა. მერე სამზარეულოში შევიდა და ყველას მადლობა გადაუხადა. იმხანად რესტორნებს საბაზრო ფასში ხორცის შესყიდვა არ შეეძლოთ, რადგან სახელმწიფო ღირებულებით საწყობიდან იღებდნენ. მოგვცეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დავიწყეთ მუშაობა. ღვეზლის თავდაპირველი ფასი იყო 24 კაპიკი.

**— როგორი იყო ხალხის განწყობა, როცა მცხეთურ ღვეზელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭეს?**

— ყველას გაუხარდა, განსაკუთრებით მცხეთელებს. ბევრმაც გააქილიკა, მაგრამ არ გვწყენია, მცხეთურ ღვეზელს ავად ახსენებენ თუ კარგად, ჩვენთვის რეკლამაა — უამრავი სტუმარი მოდის, ჩვენი ღვეზლის გემო ყველამ იცის, ეს არის ჩვენი საამაყო კერძი!

სხვათაშორის, ამ ობიექტის გახსნას ესწრებოდა გივი ბერიკაშვილი და როდესაც 50 წლის იუბილე გადავიხადეთ, მაშინაც ჩვენ გვერდით იყო. მახსოვს, კახი კავსაძემ გაიხსენა: სტუდენტობისას სტიპენდიას რომ ავიღებდით, მცხეთაში მოვდიოდით, სადაც უგემრიელესი ღვეზელი, ლობიო და ხინკალი გვეგულებოდა და, რაც მთავარია, ჩვენი სტიპენდია ამ გემრიელობებს ჰყოფნიდაო. მეამაყება, რომ შევძელი და მცხეთაში ეს კულტურული კერა შევინარჩუნე, ეს არის მთელი საქართველოს სიმდიდრე!

**— მცხეთური ღვეზელი შევარდნაძეს არ დაუგემოვნებია?**

— ედუარდ შევარდნაძე აქ არასოდეს მინახავს, მოდიოდა **ზვიად გამსახურდია, გიორგი მარგველაშვილი. სალომე ზურაბიშვილი** ჯერ არ მოსულა, ხოლო მისი მეუღლე **ჯანრი კაშია** ხშირად მოდიოდა, კარგად ვიცნობდი. ყველა სტუმარი გვიყვარს, ყველას პატივისცემით ვექცევით, მათი თბილი დახვედრა და თავაზიანობა ხომ ცალკე ხელოვნებაა... ახლაც ჩვენთვის უდიდესი პატივია მცხეთური ღვეზლისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება, ყოველი ჩვენი თანამშრომელი თავს არ დაზოგავს, რომ ეს ჯილდო ღირსეულად ატაროს!





ირინა ფოჩხუა

ნინო ხალოევი, ლარგი ახვლედიანი, თემურ მელიქიშვილი, დათო დავითულიანი და ნუნუ ტერუნაშვილი



*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

თავისი მემუარების ბოლოს **მიხეილ სააკაშვილი** ცალ-ცალკე თავებს უძღვნის მსოფლიო რანგის ამა თუ იმ მოღვაწეს, იხსენებს მათთან ურთიერთობას და ბევრ პიკანტურ დეტალსაც ასაჯაროებს! სიაში პირველ ადგილზე მემუარისტი **ჯორჯ სოროსს** აყენებს და აღმატებული განწყობით დასძენს:

***„თავდაპირველად ჯორჯ სოროსზე უნდა მოგიყვეთ. მიმაჩნია, რომ იგი ჩვენი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი და საინტერესო ფიგურაა. სოროსს უკავშირდება უამრავი მითი და ძალიან ბევრი მოგონილი თუ ნამდვილი ამბავი. ბევრი მიიჩნევს მას მსოფლიო შეთქმულების მთავარ ფიგურად. მის სახელს მუდმივად მოიხსენიებენ აუგად ისეთი ხალხი, როგორიცაა პუტინი, მაჰათირ მუჰამადი — მალაიზიის ლიდერი თუ ორბანი, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 323).*

საინტერესოა, რომ სააკაშვილმა **„თავისი ჯორჯ სოროსი“**, თურმე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში აღმოაჩინა:

***„პირველად ჯორჯ სოროსის შესახებ 80-იანი წლების ბოლოს შევიტყვე, როდესაც გამოქვეყნდა მისი განცხადება „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“, სადაც ის იწყებდა ახალგაზრდა სპეციალისტთა თავმოყრას ყოფილი მაშინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. თავისთავად ამ იდეამ ძალიან დამაინტერესა. შემდეგ მან გახსნა ცენტრალურ-ევროპული უნივერსიტეტი, სადაც მოვიწადინე სწავლის გაგრძელება და მიმიღეს კიდეც. იმ წელიწადს გადავწყვიტე საქართველოში დარჩენა, ხოლო მეორე წელს ვამჯობინე, ამერიკაში მიმეღო განათლება და არა ბუდაპეშტში. ასე რომ, ეს იყო პირველი გადაკვეთა“*** *(იქვე, გვ. 323).*

ანუ სააკაშვილი იმთავითვე მოხვდა სოროსის ყურადღების არეალში, რადგან 1990-იან წლებში სოროსის უნივერსიტეტში სასწავლებლად მხოლოდ **გამორჩეულ მანქურთებს** არჩევდნენ! მაგალითად, ეს უნივერსიტეტი დაამთავრებინეს **ბიძა ბოკერიას** და **თინა ხიდაშელს...**

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ თაღლითურად „გადააგდო“ სოროსის ფონდი:

***„1994 წელს მოვიპოვე მისი გრანტი და უნდა დამეწერა დიპლომი. ავიღე 4500 დოლარი და, პრაქტიკულად, ისე მოხდა, რომ ეს ფული შევიტყაპუნე, რადგან ნაშრომი ბოლომდე არ დამისრულებია. რასაკვირველია, ფული უკან ვერ დავაბრუნე და არც მოუთხოვიათ.***

***ასე რომ, მეც ვიხეირე მაშინ, როგორც, ალბათ, ასობით ათასმა სხვამ, სოროსის გრანტით. სინდისი კი მქენჯნიდა ცოტა. მაგრამ მერე თავად სოროსის წიგნში წავიკითხე, რომ მან ასევე წამოიღო ებრაული საზოგადოების გრანტი მოტყუებით და არ შეასრულა პირობები და ცოტა დავმშვიდდი“*** *(იქვე, გვ. 323).*

როგორც ხედავთ, მემუარისტმა პირდაპირ ამხილა სოროსი: **იმთავითვე თაღლითი იყო!**

სააკაშვილმა კი „გადააგდო“ სოროსი, მაგრამ **სოროსმა** მაინც ჩაიხუტა მიხეილი:

***„სოროსი რამდენიმე წელი ჩემი ინტერესის მიღმა დარჩა, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ თვითონ არ დაინტერესდა ჩემით. ეს მოხდა 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც მოულოდნელად შეგვატყობინეს მე და ზურაბ ჟვანიას, რომ ჩვენ გავხდით ყოველწლიური ცენტრალურ-ევროპული უნივერსიტეტის სოროსის ფონდის მთავარი ჯილდოს და ღია საზოგადოების ჯილდოს მფლობელები და უნდა ჩავსულიყავით ორივენი ბუდაპეშტში, სადაც საზეიმოდ გადმოგვცემდნენ ამ ჯილდოს, რომელიც მანამდე მიიღოთ ვაცლავ ჰაველს და რამდენიმე სხვა აღიარებულ მოღვაწეს“*** *(იქვე, გვ. 324).*

შეგახსენებთ: ამ მომენტისათვის, როდესაც **სააკაშვილი** და **ჟვანია** სოროსის ჯილდოს მფლობელები გახადეს, პირველი შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერია, მეორე კი — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე!

ანუ სოროსის ფონდმა უკვე ამ მომენტიდან დაიწყო ქართველი პოლიტიკოსების სოროსულ საქმეში ჩართვა და ანტიქართული საკანონმდებლო ბაზის გეგმაზომიერი შექმნა!

სააკაშვილი და ჟვანია, რა თქმა უნდა, ჩავიდნენ ბუდაპეშტში, ჯილდოებიც მიიღეს და სოროსიც გაიცნეს პირადად...

სოროსს ისე მოეწონა სააკაშვილი, რომ ამერიკაშიც დაპატიჟა:

***„ამის შემდეგ სოროსმა მიგვიწვია ამერიკაში, თავის ქალაქგარეთ რეზიდენციაში გვიმასპინძლა, ნიუ-იორკის შტატში, სადაც გაგვიმართა დიდი ვახშამი, დაპატიჟა რამდენიმე ცნობილი ამერიკელი, ორი კონგრესმენი და ცნობისმოყვარეობით გვეკითხებოდა ბევრ რაღაცას, გვაკვირდებოდა.***

*კარგად მახსოვს მისი ერთი ფრაზა:* ***„როგორი ხალასი და მომხიბვლავები ხართ, ვიდრე ოპოზიციონერობთ, ხოლო ხელისუფლებაში როგორც კი მოხვალთ, მერე იწყებთ გარდასახვას და მერე ხდებით აუტანლები საურთიეროთოდ“. ეს ფრაზა სულ მახსოვდა სოროსთან ურთიერთობის დროს“*** *(იქვე, გვ. 325).*

ეს ბოლო ფრაზა ერთგვარი პატაკივითაა: მე სულ მახსოვდა, რომ სოროსის იმედები არ უნდა გამეცრუებინაო!

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს სოროსის მონაწილეობას „ვარდების რევოლუციაში“:

***„ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში სოროსი თვითონ გამოვიდა ჩემზე და მითხრა, რომ სურს, დახმარებოდა დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც, მისი აზრით, ებრძოდა ბადრი პატარკაციშვილი.***

*ამ ყოველივეს მიღმა იგულისხმება ასეთი ამბავი:* ***ბადრი პატარკაციშვილი იყო ბერეზოვსკის მთავარი პარტნიორი, ხოლო ბერეზოვსკი იყო სოროსის პირადი მტერი მას შემდეგ, რაც მან სოროსს ჩაუშალა „სვიაზ ინვესტის“, რუსული სატელეკომუნიკაციო კომპანიის, ყიდვა და, პრაქტიკულად, უკანა კარებიდან თვითონ გაიტანა რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი ქონება, რომელზეც თვალი ჰქონდა დადგმული სოროსს და მისი პრივატიზაცია უნდოდა“*** *(იქვე, გვ. 325).*

სააკაშვილი პირდაპირ წერს, რომ **„კმარა“** დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია კი არა, ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ფრთა იყო:

***„იმ წლებში, ვინაიდან ჩვენ გვიპირისპირდებოდა ბადრი პატარკაციშვილი, სოროსმა გამოთქვა სურვილი, დაეფინანსებინა „კმარა“, ჩვენი ახალგაზრდული მოძრაობა და აქტივობები, რომელიც საქართველოში უკავშირდებოდა იმას, რასაც აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“. ამგვარად, მაშინ იმ პირობებში სოროსის როლი იყო გადამწყვეტი, რადგან ჩვენ, პრაქტიკულად, ფული არ გაგვაჩნდა. პატარკაციშვილი აფინანსებდა „ბურჯანაძე-დემოკრატებს“, აფინანსებდა „ახლებს“, ფულს აძლევდა აგრეთვე შევარდნაძეს და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ და ჩემს ახლოს გაკარებასაც კი ხელისუფლებასთან“*** *(იქვე, გვ. 326).*

და აქვე სააკაშვილი აკეთებს კიდევ უფრო სკანდალურ აღიარებით ჩვენებას:

***„ამგვარად, ზუსტად ამ ნიშაში და ამ პირობებში, როცა სხვა წყაროები ჩვენ არ გაგვაჩნდა საქართველოში*** *(მართალია, სოროსის ფული საკმარისი არ იყო)*, ***„კმარას“ დაფინანსება და სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანი იყო; თუნდაც რამდენიმე ათეული ათასი დოლარი, რომელიც ჩვენმა წარმომადგენლებმა კონტრაბანდულად ჩამოიტანეს სოროსის ბანკირისგან ჟენევიდან“*** *(იქვე, გვ. 326).*

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სააკაშვილმა აღიარა: **„ვარდების რევოლუცია“ სოროსის კონტრაბანდული გზით შემოტანილი ფულით მოხდა, თან შვეიცარიის ბანკიდანო!**

## სააკაშვილმა აღიარა, რომ „ვარდების რევოლუცია“ შვეიცარიის ბანკიდან სოროსის კონტრაბანდული ფულით მოხდა!




## სოროსის პირველი გრანტი - 4500 დოლარი შევიტყაპუნე!

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

### კვირგვინოსნები



**გელა ნიკოლაიშვილი**
*ფსიქიატრი-ფსიქოთერაპევტი*

არცერთი კლინიკური თუ ლაბორატორიული გამოკვლევით **სააკაშვილის მოწამვლა არ დასტურდება!**

„ახალი თაობა“



**ეკა ხერხეულიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

ძალიან ბევრისთვის **მიხეილ სააკაშვილის უძლურება** სასარგებლო აღმოჩნდა, ფიქრობენ პოლიტიკურ გადანაწილებას **სააკაშვილის უძლურების** ვითარებაში.

„TV პირველი“



**ნონა მამულაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატი*

ვიცი, როგორ შეიძლება **სააკაშვილის ციხიდან გამოყვანა,** თუმცა, ამისთვის საჭიროა პარტიის გაძლიერება.

„კვირის პალიტრა“



**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*

**ხაბეიშვილის** დევგმირობაზე არაფერი მსმენია — ისე ნუ იზამს, რომ შევარდეს და **სააკაშვილს** გვერდზე მიუსვან.

„ინტერპრესნიუსი“

**„საქართველოში მზადდება მორიგი სახელმწიფო გადატრიალება — ახალი „ფერადი რევოლუცია“, რომლის მიზანია მოქმედი ხელისუფლების შეცვლა. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის აღარ არის საკმარისი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი იყოს პროამერიკული, დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკა მკვეთრად ანტირუსული უნდა იყოს. საქართველო უნდა ეომოს რუსეთს და შეუერთდეს აშშ-ისა და ევროკავშირის ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ამ მიზნების განსახორციელებლად „ქართული ოცნების“ მთავრობა შესაფერისი არ არის! — აღნიშნავდა პოლიტოლოგი არნო ხიდირბეგიშვილი ჯერ კიდევ 2014 წელს ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, რომელიც „კიევის მაიდნის“ მწარე გამოცდილებას მიეძღვნა. რას იტყვის ამასთან დაკავშირებით „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი თითქმის ათწლიანი გადასახედიდან?**

## არნო ხიდირბეგიშვილი

# სომხეთმა შესაძლოა, ერევანი დაკარგოს, თუმცა, შეეძლო არარატის დაბრუნება!



**დღეს, 8 წლის შემდეგ,** შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემი პროგნოზი სრულად გამართლდა:

— 2014 წლის შემდეგ სააკაშვილის ნაცმოძრაობას საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, რომელთაგან ყველაზე ცნობილი — ე.წ. „გავრილოვის ღამე“ — რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის გაუქმების ფასად დაუჯდა;

— თუ ადრე აშშ-ის საელჩო კარნახობდა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის დუნე „შეკავების“ პოლიტიკას და ზოგჯერ მოსკოვთან პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის რეკომენდაციებსაც კი აძლევდა, 2014 წლის შემდეგ მოთხოვნები თანდათან შეიცვალა. საქართველოში, სადაც ორი წლის განმავლობაში საერთოდ არ იყო ამერიკის ელჩი, **კელი დეგნანის** ჩამოსვლით სულ უფრო და უფრო ხისტად დაიწყეს ხელისუფლებისგან რუსეთთან კონფრონტაციის მოთხოვნა. გახშირდა სადემარკაციო ხაზთან პროვოკაციული დემარშები, სავალდებულო რიტუალად იქცა დასავლური დელეგაციებისათვის ცხინვალის რეგიონში რუსული ბაზების ბინოკლით დათვალიერება და ლამის მეორე პლანზე გადავიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალის გვირგვინებით შემკობა. უფრო მეტიც, **ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე (ეუთო, გაერო და სხვ.) საქართველო დაავალდებულეს, მკვეთრი ტონით მოეთხოვა რუსი ოკუპანტებისგან მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შესრულება — ჯარების გაყვანა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან; ხოლო გასული წლის თებერვალში უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ, აშშ-მა საქართველოს მთელი კატეგორიულობით შეახსენა „მოკავშირული ვალდებულებები“ — გაეხსნა „მეორე ფრონტი“ უკრაინის დასახმარებლად და შეერთებოდა ანტირუსულ ეკონომიკურ სანქციებს, რომლებიც ევროკავშირშიც კი ირღვევა,** ანუ საქართველოს უნდა გამოეცხადებინა ბლოკადა საკუთარი თავისთვის და გაეწირა თავისი მოსახლეობა შიმშილისა და სიცივისათვის — უარი ეთქვა რუსული მარცვლეულის მოწოდებაზე **(იმ დროს, როდესაც დასავლეთი ორგანიზებას უკეთებდა უკრაინული მარცვლეულის ექსპორტს ევროპულ ქვეყნებში)**, უარი ეთქვა რუსული ენერგომატარებლების იმპორტზე **(იმ დროს, როცა ევროპის ქვეყნები აგრძელებდნენ რუსული გაზის გადატუმბვას თავიანთ გაზსაცავებში)** და შეეწყვიტა ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსულ ბაზარზე, რაც რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში შესვლის მკაცრ შეზღუდვებთან ერთად **(იყო ასეთი მოთხოვნაც)**, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გაკოტრების და, შესაბამისად, დეფოლტის ტოლფასია.

დიახ, ჩემი 2014 წლის პროგნოზი ახდა — „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა საქართველოს დასაღუპავად გაწირვაზე და შეასრულა აშშ-ის საელჩოს ზემოაღნიშნული ულტიმატუმები, **მაგრამ მიზეზი, რის გამოც შეიცვალა აშშ-ის პოზიცია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, შედარებით მცირე ხნის წინ გავიგეთ, როდესაც საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ოლანდმა და გერმანიის ყოფილმა კანცლერმა მერკელმა აღიარეს, რომ ხელი მოაწერეს მინსკის შეთანხმებებს უკრაინასთან დაკავშირებით დროის მოსაგებად, რათა უკრაინა უკეთ მომზადებულიყო რუსეთთან საომრად,** ანუ, როცა უკრაინა მოემზადა და მინსკის შეთანხმებები სანაგვეში გადააგდეს, **საქართველოც უნდა გადასულიყო არამეგობრული პოლიტიკიდან — რუსეთის მიმართ აშკარად მტრულ პოლიტიკაზე, რათა კონფლიქტში უფრო მეტი მოცულობით ჩართულიყო, ვიდრე ნატოს ნებისმიერი ქვეყანა** — ანუ უკრაინისთვის მიეწოდებინა არამარტო ქართველი გადასახადის გადამხდელების ფულით ნაყიდი ამერიკული იარაღი, არამედ ცოცხალი ძალაც — ქართული ჯარი!

**დღეს, 8 წლის შემდეგ,** შეიძლება იმის კონსტატაცია, რომ 2014 წლის ჩემეული პროგნოზი გამართლდა სომხეთთან დაკავშირებითაც: **„რაც შეეხება სომხეთში „კიევის მაიდნის“ მოვლენების გამეორების ალბათობას. კომპეტენტური წყაროებიდან მიღებული საგანგაშო ინფორმაცია იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ აქ სახელმწიფო გადატრიალების გარკვეულწილად განსხვავებული სცენარი განვითარდება, ვიდრე საქართველოში — საომარი მოქმედებების განახლება კვლავ პროვოცირებული იქნება ყარაბაღში... ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილების ტალღას მაშინვე აიტაცებენ ადგილობრივი ოპოზიციონერები, ისეთები, როგორიცაა ნიკოლ ფაშინიანი — გაზეთ „აიკაკან ჟამანაკის“ მთავარი რედაქტორი...“**

სხვათაშორის, ამასთან დაკავშირებით შარშანაც აღვნიშნავდი, რომ **„მას შემდეგ, რაც საქართველო ვერ აიძულეს, ეომა რუსეთთან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სადაც რუსული სამხედრო ბაზებია განთავსებული, ანგლოსაქსები გეგმავენ ახალი ომის პროვოცირებას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში, სადაც მხარეებს რუსი სამშვიდობოები მიჯნავენ** (გარდა ამისა, გიუმრიში უწინდებურად დისლოცირებულია რუსული სამხედრო ბაზა). **მარტო უკრაინა, როგორც ჩანს, არ კმარა — აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს სჭირდება რუსეთთან ომები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში — ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია ან მეტ-ნაკლებად წინაპირობები არსებობს...** გარკვეულ სომხურ წრეებში ღვივის უკმაყოფილება ყარაბაღის შედეგით, რაც იგივდება **პრემიერ ფაშინიანთან,** არსებობს ზავის პირობების გადახედვის სურვილი... **უცნობია, დაიბევა თუ არა სომხეთის პრემიერმა პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში, პრეზიდენტი ზელენსკის მსგავსად, მაგრამ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) დირექტორის უილიამ ბერნსის თბილი დახვედრა, რომელსაც ორიოდე მორიგი ფრაზით გამოეხმაურნენ, ერთ რამეზე მოწმობს — აშშ-ის საელჩოს სომხეთში, რომელიც ყველაზე დიდია მსოფლიოში, „ფარდას ხდიან“ და აქცენტი ურჩი საქართველოდან ერევანზე გადადის“.**

სურათის სისავსისთვის დავამატებ გასული წლის ნოემბერში სომხეთის პრემიერ-მინისტრის **ნიკოლ ფაშინიანის,** სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **არარატ მირზოიანისა** და უშიშროების საბჭოს მდივნის **არმენ გრიგორიანის** შეხვედრებს ნატოს გენერალურ მდივან **იენს სტოლტენბერგთან;** ასევე გასული კვირის მოვლენას — განცხადება სომხეთის სასაზღვრო რეგიონებში ევროკავშირის სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის შექმნის შესახებ. **„ვაფიქსირებთ, რომ ერევანში, ОДКБ-ს მისიის მიმართულებაზე მუშაობის ლოგიკური დასასრულის გარეშე ამჯობინეს არჩევანის გაკეთება ევროკავშირის სასარგებლოდ. ევროკავშირის მცდელობამ, ნებისმიერ ფასად მოიკიდოს ფეხი სომხეთში, შეამციროს რუსეთის შუამავლობა, შეიძლება ზიანი მიაყენოს სომხების და აზერბაიჯანელების ფუნდამენტურ ინტერესებს რეგიონის მშვიდობიანი განვითარებისკენ დაბრუნების სწრაფვაში“,** — ნათქვამია გასულ ხუთშაბათს გამოქვეყნებულ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მაშ, რატომ შეჰყავთ დღეს სომხებს თავისი სამშობლო ტურბულენტურ ზონაში, საიდანაც საქართველო ვაივაგლახით ცდილობს თავის დაღწევას? **ნუთუ არასაკმარისია იმის მაგალითები, თუ რას იწვევს რუსეთთან კონფრონტაცია?** გადავხედოთ საქართველოს უახლოეს წარსულს, რათა დავრწმუნდეთ, რამდენად მატყუარა და არასანდონი არიან დასავლელი პარტნიორები, **ვისი ბრალითაც ეუთოს მინსკის ჯგუფმა ყარაბაღის საკითხებში საქმიანობა ისეთივე კრახით დაასრულა, როგორც ჩავარდა მინსკის შეთანხმებები უკრაინასთან დაკავშირებით!** რატომ არ დაეჭვდნენ ერევნელი მბრძანებლები — თუ მინსკის შეთანხმების დასავლელმა ხელმომწერებმა დრო განგებ გააჭიანურეს, რათა კიევი უკეთ მომზადებულიყო რუსეთზე თავდასხმისთვის, მაშინ ეუთოს მინსკის ჯგუფის შემადგენლობაში იგივე დასავლელი გაიძვერები აჭიანურებდნენ დროს, რათა აზერბაიჯანი უკეთ მომზადებულიყო ყარაბაღში ბლიცკრიგის საწარმოებლად, რაც წარმატებით განხორციელდა კიდეც 2020 წელს?! **ნუთუ სომხებისთვის გაუგებარია, რომ აშშ ისევე დატოვებს უკრაინას, როგორც მოკურცხლეს ავღანეთიდან და სირიიდან? და, საერთოდ, როგორ შეიძლება დადო ფსონი სტრატეგიულ პარტნიორობაზე ქვეყანასთან, რომლის კორუმპირებულმა პრეზიდენტმაც უკრაინაში ათობით მილიონი დოლარი იშოვა გაზის მაქინაციებში თავის ვაჟთან ერთად?** უფრო მეტიც — მოიპარა საიდუმლო დოკუმენტები, რომლებსაც თავის ავტოფარეხში, 1967 წლის საკულტო ავტომობილში „Chevrolet Corvette Stingray“ ინახავდა?!

„ამქვეყნად მხოლოდ ორი ერი არსებობს — ჭკვიანი და სულელი ერი. არც კარგი და ცუდი ხალხები არსებობენ, არიან კარგი და ცუდი მმართველები!“ — ამას ჯერ კიდევ 2010 წელს ვამბობდი მსოფლიო საზოგადოებრივი ფორუმის „ცივილიზაციათა დიალოგის“ მე-8 სესიაზე, რომელიც კუნძულ როდოსზე გაიმართა.

### მაშ, რა ერს მიეკუთვნება ხალხი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ თვალწინ აქვს სააკაშვილის მაგალითი და საქართველოში მომხდარი ტრაგედია, დაუშვა ხელისუფლებაში სააკაშვილის სომეხი ორეული – ნიკოლ ფაშინიანი?!

თუმცა, სააკაშვილიც ნახევრად სომეხია... **არადა, ამჟამინდელი სომხეთის ხელმძღვანელები უფრო ჭკვიანები რომ ყოფილიყვნენ, სომხეთს შეეძლო, დაებრუნებინა არარატი, ასე კი — დაკარგა არცახი და შეიძლება, დაკარგოს ერევანიც, თუ სომეხი ხალხი ისევ არ გამოვა ქუჩაში და არ გამოასწორებს თავის შეცდომას!**

აქ საქმე ის კი არ არის, რომ **სააკაშვილი და ფაშინიანი** არ შეესაბამებიან უძველესი კულტურის მქონე ორი ერის მაღალ ინტელექტუალურ დონეს, არამედ ის, რომ **ჭკვიან ლიდერს შეუძლია, დღევანდელი ვითარებაც კი სომხეთის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ მოაქციოს!** იმის ნაცვლად, რომ განაწყენებულიყო და რუსეთთან ურთიერთობა შეეწყვიტა, სომხეთის პრემიერი, თუკი, რა თქმა უნდა, სააკაშვილივით არ ასრულებს ვაშინგტონის ინსტრუქციას, პირდაპირ იტყოდა — **„ძვირფასო რუსეთო, სტრატეგიულო მოკავშირევ ЕАЭС-სა და ОДКБ-ში, გამოასწორე კიდევ ერთი ისტორიული უსამართლობა — გვიშუამდგომლე შენს პარტნიორთან — თურქეთთან, რომელსაც საერთაშორისო ენერგეტიკულ ჰაბად აქცევ, დაგვიბრუნოს არარატი — სომხეთის სიმბოლო! დიდი ამბავი, თუ სომხეთის საზღვარი მდინარე არაქსზე, სულ რაღაც, 30 კილომეტრით გადაიწევს...“.**

# სომხეთი სულ უფრო ღრმად შედის ტურბულენტურ ზონაში, საიდანაც საქართველო ვაი-ვაგლახით გამოდის!

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



2004 წელს **საქართველო არშემდგარი სახელმწიფო იყო,** სადაც ინსტიტუტები არ ფუნქციონირებდა, მაგრამ ჩემი პრეზიდენტობის დროს მთლიანი შიდა პროდუქტი ოთხჯერ გაიზარდა, კორუფცია თითქმის მთლიანად გაქრა და ჩვენ დავიწყეთ ევროინტეგრაცია. რა თქმა უნდა, იყო სამწუხარო ინციდენტებიც, როგორიცაა **ბანკირი სანდრო გირგვლიანის** შემთხვევა... რეტროსპექტივაში, **ვნანობ, რომ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან არ გავათავისუფლე.**

„შპიგელი“

**დავით სააკაშვილი**
*მიხეილ სააკაშვილის ძმა*



**გიორგი მუმლაძისგან** მივიღე შემოთავაზება, გამარჯვების შემთხვევაში **ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის პოსტის** დაკავების შესახებ.

„რეზონანსი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



ნაციონალური მოძრაობის საქციელი — **უპრინციპობა, არათანმიმდევრულობა, პოლიტიკური შინაარსის არქონა** არის ის, რაც **ივანიშვილის** რეჟიმს აწყობს.

„პირველი არხი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი*



**მიხეილ სააკაშვილი** ექიმებს არ უჯერებს და **აგინებს, ბოთლებს ესვრის, ალკოჰოლს მიირთმევს, სიგარეტსაც ეწევა,** ოროთახიან ლუქსში ფეხი ფეხზე გადადებული აქვს და ასე იხდის სასჯელს.

„პირველი არხი“

# რა დაავადებებს კურნავს აკაცია?



***თეთრი აკაცია უამრავი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ეს მცენარე რამდენიმე ქვეყანაში ოფიციალურად არის შესული სამკურნალო მცენარეების ჩამონათვალში. აკაციის ყვავილი შეიცავს A, C ვიტამინებს, შაქარს, გლუკოზიდს, რობლენინს, ორგანულ მჟავებს, ჰელიოტროპინს, ტანინს და ეთილის ზეთს.***

**თეთრი აკაცია** გამოიყენება როგორც **სიცხის დამწევი, შარდმდენი, ამოსახველებელი, სპაზმოლიზური** და **მსუბუქი საფაღარათე საშუალება.** მისი ნახარში და ნაყენი რეკომენდებულია **თირკმლის, ნაღველკენჭოვანი, შარდის ბუშტის დაავადებებისას.** გამოიყენება, აგრეთვე, როგორც **ანთების საწინააღმდეგო საშუალება, კუჭ-ნაწლავის ტკივილისას, მომატებული მჟავიანობის დროს, წყლულოვანი დაავადებების, თორმეტგოჯა ნაწლავის, კვებითი ალერგიების, კუჭიდან სისხლდენის, პიელონეფრიტის, ქალური დაავადებების, ჰიპერტონიული** დაავადების საწყის ეტაპზე.

## როგორ ვუმკურნალოთ საშვილოსნოს მიომას და საშვილოსნოს ანთებით დაავადებებს?

**საშვილოსნოს მიომას** და საშვილოსნოს ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება **თეთრი აკაციის ყვავილები. ნახარში მზადდება შემდეგნაირად: 1 სუფრის კოვზ გამხმარ ყვავილებს** დაასხით **2 ჩაის ჭიქა წყალი** და წამოადუღეთ. შემდეგ **2 წუთი** ნელ ცეცხლზე უნდა იდუღოს. გადაწურეთ, გააცივეთ და დაამატეთ **2 ჩაის ჭიქა** ადუღებული წყალი. **მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.**

## როგორ მოვაგვაროთ კუჭ-ნაწლავის პრობლემები?

**კუჭის ტკივილის** და, ზოგადად, **კუჭ-ნაწლავის** პრობლემების დროს მიიღეთ **აკაციის ყვავილების ნაყენი,** რომელიც შემდეგნაირად მზადდება: **1 სუფრის კოვზი გამხმარი ყვავილები** მოათავსეთ თერმოსში და დაასხით **1,5 ჭიქა ადუღებული წყალი, 2 საათის შემდეგ გააცივეთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-4 ჯერ დღეში.**

## როგორ ვუმკურნალოთ რადიკულიტს, რევმატიზმს და სახსრების ტკივილს?

**თეთრი აკაციის ყვავილები** გამოიყენება **რადიკულიტის, რევმატიზმის** და **სახსრების ტკივილისას. 50 გრამ** გამხმარ ყვავილს დაასხით **2 ჩაის ჭიქა არაყი, 21 დღის განმავლობაში მოათავსეთ ბნელ ადგილას.** დროდადრო აანჯღრიეთ, მერე გადაწურეთ და გამოიყენეთ დასაზელად.

## როგორ დავძლიოთ ინსულტი?

**აკაცია** გამოიყენება **ინსულტისა** და **ჰიპერტონიის მკურნალობისას.**

**ერთ დესერტის კოვზ თეთრი აკაციის ყვავილებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი,** მიიყვანეთ ადუღებამდე, დატოვეთ ქურაზე და გააცივეთ. **გადაწურეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.**

## აკაცია – ხველების უებარი წამალი?

**თეთრი აკაცია** გამოიყენება **გაცივებისას, მაღალი ტემპერატურის** და **ხველების** დროს.

**1 სუფრის კოვზ აკაციის ფოთლებს** დაასხით **1 ჭიქა ადუღებული წყალი** და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე **5 წუთის** განმავლობაში. **გადაწურეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.**

**თეთრი აკაციით** თვითნებური მკურნალობა არ არის რეკომენდებული, რადგან მცენარის ყოველი ნაწილი შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს — **ალკალოიდ რობინინს. დოზირების დარღვევამ, შესაძლოა, ძლიერი მოწამვლა გამოიწვიოს. თეთრი აკაციით მოწამვლის სიმპტომებია: გულისრევა, ღებინება, თავის ტკივილი, დიარეა, მუცლის ტკივილი, მომატებული ძილიანობა, გულ-სისხლძარღვთა ძლიერი უკმარისობა, საერთო სისუსტე.**

**თუ ეს სიმპტომები გაქვთ, დაუყოვნებლივ გამოირეცხეთ კუჭი, მიიღეთ აქტივირებული ნახშირი და გამოიძახეთ ექიმი.**

## ფინჯანი ყავა



*რა შეედრება ფინჯანი ყავისგან მიღებულ სიამოვნებას. თუმცა, როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, ჯანმრთელობაზე მხოლოდ პირველი ფინჯანი მოქმედებს დადებითად. 64 ადამიანს შესთავაზეს სამ-სამი ფინჯანი ყავა. პირველმა ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს ხასიათი და შრომისუნარიანობა გაუუმჯობესა, მაშინ, როცა დანარჩენ ორს მათზე არავითარი ზემოქმედება აღარ მოუხდენია.*

## კეფირითა და მცენარეული ზეთის ნარევით შესაძლებელია ხანგრძლივად კუჭის შეკრულობის მკურნალობა



ვიღებთ **1 ჩაის ჭიქა ახალ კეფირს** და მასში ვასხამთ **1 ს/კ მცენარეულ ზეთს** (უკეთესია ზეითუნის ზეთი) და ვურევთ კარგად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

**მიღება: საღამოობით ძილის წინ ვიღებთ ძალიან ნელა მცირე ულუფებით მთლიანად.**

## გუანაბანა



**ხილი, რომელიც კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო საშუალებაა, არის გუანაბანა. მას ისხამს ხე გრავიოლა. ეს ნაყოფი საკმაოდ ტკბილი და გემრიელია და მეცნიერთა მტკიცებით, ის ქიმიოთერაპიისგან განსხვავებით, უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს ორგანიზმზე.**

**ქვეყნებში (ბრაზილია, პერუ, კარიბის ზღვის აუზის სახელმწიფოები, ინდოეთი, მალაიზია), სადაც ეს ხილი მოდის, ირწმუნებიან, რომ გუანაბანა კიბოსგან განკურნების საუკეთესო საშუალებაა. მისი წვენი ამცირებს ორგანიზმში ავთვისებიან უჯრედებს. გრავიოლა საკმაოდ იშვიათი ხეა, მის ნაყოფს აქვს თეთრი შიგთავსი და, როგორც წესი, ცოცხლად მიირთმევენ, თუმცა, გამოიყენება კოქტეილისა და ტკბილეულის დასამზადებლადაც.**

**მას აგრეთვე გამოიყენებენ ანტიდეპრესანტადაც.**



## რომელი ბოსტნეული ამცირებს კიბოთი დაავადების რისკს?

***კიბო დიდი ხანია, იქცა ადამიანის უდიდეს მტრად. უამრავი კვლევა ტარდება, რათა გაირკვეს, როგორ ავიცილოთ თავიდან ეს საშინელი სენი. ბოლო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომბოსტოს რეგულარული მიღება კიბოთი დაავადების რისკს ამცირებს.***

აშშ-ის პროფესორებმა ჩაატარეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ კომბოსტოს ნებისმიერი სახეობის რეგულარული მიღება იცავს უჯრედებს, უნარჩუნებს მათ ჯანმრთელობას და კიბოს უჯრედების განვითარების რისკს სპობს. კომბოსტო, აგრეთვე, ეხმარება დაავადებულ უჯრედებს განკურნებაში.

მეცნიერებმა საცდელ ვირთხებს სხეულში ინიექციით შეუყვანეს კიბოს უჯრედი, შემდეგ კი მკურნალობა დაიწყეს კომბოსტოს მეშვეობით. აღმოჩნდა, რომ ბოსტნეულმა 50%-ით შეამცირა სიკვდილის რისკი.

## გადამდებია თუ არა ჰერპესი და როგორ ავიცილოთ თავიდან ეს ვირუსი?

***ჰერპესი საკმაოდ გავრცელებული ვირუსული ინფექციაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრს წარმოდგენა არა აქვს, სინამდვილეში რა კლინიკური ნიშნები ახასიათებს და შესაძლებელია თუ არა ამ ვირუსის თავიდან აცილება.***

— ჰერპესი ვირუსული ინფექციაა, რომელსაც ჰერპესის ვირუსი იწვევს. არსებობს დაახლოებით 8 სახის ჰერპესი, თუმცა, ყველაზე გავრცელებულია **ტუჩის, ცხვირისა** და **გენიტალიების...**

ჰერპესს დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები აქვს. ყველაზე გამოკვეთილი ნიშანი არის **ვეზიკულური გამონაყარი,** მარტივად რომ ვთქვათ, **გამჭვირვალე სითხით სავსე ბუშტუკი,** თუმცა, არა **ჩირქოვანი.** საზოგადოდ, **ჰერპესი** ქრონიკული ინფექციაა, მისი გამომწვევი ვირუსი ორგანიზმში ცხოვრობს და პერიოდულად გამოვლინდება. **მოსახლეობა რომ გამოვიკვლიოთ, აღმოჩნდება, რომ ძალიან დიდ ნაწილს აქვს ეს ვირუსი.** რთულია თქმა, რა არის ვირუსის გამომწვევი, თუმცა, შეიძლება, დასახელდეს **იმუნური სისტემა, სტრესული სიტუაციები.**

**ჰერპესით ინფიცირება ძალიან ადვილად ხდება — კონტაქტის, ჰაერ-წვეთოვანი გზით. თუ ადამიანს ტუჩზე გამონაყარი აქვს, არ არის სასურველი, გადავკოცნოთ. ხალხმრავლობაში გადადების საშიშროება მატულობს.** შეიძლება, ადამიანი ისე დაინფიცირდეს, რომ ვერც მიხვდეს. სამწუხაროდ, თავდაცვის უნიკალური წესი არ არსებობს. **მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი და ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება.**

**არსებობს ძალიან ეფექტიანი ანტივირუსული მედიკამენტი — აციკლოვირი და მისი გაუმჯობესებული ვარიანტი — ვალაციკლოვირი.**

**ჰერპესის კლინიკური ნიშნების გამოვლენისას** სასურველია, მიმართოთ ექიმს, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ჰერპესი თავისთავად გაივლის.

## რომელია ჯანმრთელობისათვის ყველაზე სასარგებლო წვენები?



### 1 ბროწეულის წვენი

ბროწეული მდიდარია C, B1, B2, B3, B5, B6 ვიტამინებით7 მიკროელემენტებითა და ანტიოქსიდანტებით8



### 2 ყავა

ყავის ზომიერად მიღება (3-4 ფინჯანი დღეში) ამცირებს ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებების, აგრეთვე, შაქრიანი დიაბეტის (მეორე ტიპის) განვითარების რისკს, იცავს ღვიძლს.

### 3 მწვანე ჩაი

მწვანე ჩაიში უფრო მეტი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა, ვიდრე შავ ჩაიში. თუმცა, უნდა გაფრთხილდეთ: მწვანე ჩაი ხელს უწყობს სისხლის შედედებას და, შესაბამისად, თრომბის წარმოქმნას.



**მწვანე ჩაის სასარგებლო ნივთიერებებს ორგანიზმი უფრო უკეთ ითვისებს, თუ მას ლიმონს დავუმატებთ**

### 4 მაწონი და კეფირი



რძის მჟავის ბაქტერიები ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის სისტემის მოქმედების მოწესრიგებას და რკინის შეწოვას.

### 5 შტოშის წვენი

ეს ვიტამინებით მდიდარი კენკროვანი მცენარეა, რომელიც ხელს უწყობს მხედველობის გაუმჯობესებას. შტოშის წვენში ბევრია სალიცილის შემცველი ნივთიერება, რომელიც სისხლს athხელებს, ამიტომ მასთან ერთად ასპირინის მიღება არ შეიძლება.

### 6 პომიდვრის წვენი



200 გრ პომიდვრის წვენი ვიტამინის დღიურ დოზას შეიცავს, გარდა ამისა, მასში არის ყველაზე ძლიერი ფიტოანტიოქსიდანტი — ლიკოპენი, რომელიც პროსტატისა და სარძევე ჯირკვლების კიბოს განვითარების რისკს ამცირებს, კანს კი ულტრაიისფერი სხივების მავნე ზემოქმედებისგან იცავს. რეკომენდებული არ არის გასტრიტით დაავადებულთათვის.

### 7 ფორთოხლის წვენი

125 მილიგრამი ფორთოხლის წვენი □ ვიტამინის დღიური ნორმის შემცველია. თუმცა, ქარხნული წესით დამზადებული წვენები ნაკლებად სასარგებლოა. რეკომენდებული არ არის გასტრიტით დაავადებულთათვის.



# ეს ყველამ უნდა იცოდეს!

## რა შეიძლება გამოიწვიოს ვიტამინების ნაკლებობამ და რამდენია მათი ყოველდღიური ნორმა?

*ვიტამინები, რომლებსაც ადამიანი საკვებიდან იღებს ორგანიზმისთვის შეუცვლელი ნივთიერებებია. ვიტამინებისგან მაქსიმალური სარგებელი რომ მივიღოთ, მათი სწორად მოხმარება უნდა ვიცოდეთ. რა თქმა უნდა, ვიტამინების მარაგის შევსება აფთიაქში ნაყიდი პოლივიტამინების კომპლექსითაც შეიძლება, მაგრამ გაცილებით გემრიელი და ბუნებრივია მათი მიღება პროდუქტების მეშვეობით. თუმცა, ვიტამინებით მდიდარი ხილი და ბოსტნეული სეზონზე უნდა შეიძინოთ.*

### როგორ მივიღოთ ვიტამინების ყოველდღიურად საჭირო ნორმა? რა თვისებებით ხასიათდება ვიტამინები და რა შეიძლება გამოიწვიოს მათმა ნაკლებობამ?

| ვიტამინი | სადღეღამისო ნორმა, მგ | ვიტამინის აღწერა | დღიური ნორმის ეკვივალენტი | რით არის საზიფათო ვიტამინის ნაკლებობა ● ან სიჭარბე ❖ |
|---|---|---|---|---|
| C | 20 | მაღალ ტემპერატურაზე იშლება და ორგანიზმში არ გროვდება. $B_1$ ვიტამინთან ერთად აძლიერებს ანტიბიოტიკის მოქმედებას | 4 საშუალო ზომის პომიდორი; 5 ბანანი; 1 ფორთოხალი | ● ღრძილებიდან იწყება სისხლდენა, სხეულზე ჩნდება წითელი ლაქები, ფერხდება ღვიძლის მუშაობა. ❖ ირღვევა ძილი, ჩნდება გულისრევისა და თავბრუსხვევის განცდა, იზრდება თირკმლებში ქვების წარმოქმნის რისკი. |
| B1 | 1,5 | ორგანიზმში $B_1$ ვიტამინის დაგროვება არ ხდება მაღალი ტემპერატურის დროს და იშლება მარილისა და ყავის ზემოქმედებით | 300 გრ ბრინჯი; 500 გრ ღორის ხორცი; 200 გრ ბარდა | ● შეიძლება დაიწყოს ნერვული სისტემის მოშლა, ზრდასრულებში დაჩქარდეს დაბერების პროცესი, პატარებში — ზრდის. ❖ შეიძლება მოიშალოს ღვიძლის ფუნქცია, დაიწყოს უძილობა, შემცირდეს სხეულის მასა. |
| B2 | 1,8 | ვიტამინ $B_1$-სა და ფოლიუმის მჟავასთან ერთად ხელს უწყობს რკინის ათვისებას | 300 გრ ნუში; 200 გრ გამხმარი ასკილი; 5 კვერცხი | ● შეიძლება გაუარესდეს მხედველობა, გაჩნდეს კანის დაავადებები, მოიშალოს ნერვული სისტემა, შემცირდეს დაავადებების მიმართ სხეულის წინააღმდეგობის უნარი. ❖ იშვიათ შემთხვევაში ჩნდება ქავილი და დაბუჟების განცდა. |
| B6 | 2 | კალციუმთან ერთად ხელს უწყობს კუნთებისა და გულის ნორმალურ მუშაობას | 350 გრ ყურძენი; 100 გრ „ფისტაშკები“; 2 კგ ხაჭო | ● ადამიანს შეიძლება დაეწყოს ხელების ცახცახი, თვალების ხამხამი, გაუარესდეს მხედველობა და მეხსიერება. ❖ შეიძლება დაიწყოს კიდურების დაბოლოებების დაბუჟება, გასტრიტის ან წყლულის მქონეთ შეიძლება, გაუმწვავდეთ დაავადებები. |
| B3 | 20 | ტკბილეულის მოყვარულებს ვიტამინი $B_3$ ნორმაზე 2-3-ჯერ მეტი სჭირდებათ | 200 გრ ქათმის ფილე; 150 გრ არაქისი; 50 გრ გამხმარი თეთრი სოკო | ● უარესდება მეხსიერება, იწყება უძილობა, ადამიანი სუქდება. ❖ წითელი ლაქები კანზე, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის აშლილობა, არითმია. |
| B9 | 0,4 | ვიტამინ $B_{12}$-თან ერთად ხელს უწყობს სისხლის წითელი უჯრედების წარმოქმნას ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების გადამუშავებას | 200 გრ ავოკადო; 150 გრ საქონლის ღვიძლი; 300 გრ ოხრახუში | ● იწვევს დეპრესიას, დაღლილობას, უძილობას. ❖ იწვევს უძილობას, მუცლის შებერილობას, კანის ალერგიულ რეაქციებს. |
| B12 | 0,003 | $B_{12}$ რკინასთან ერთად ებრძვის უნაყოფობას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესს | 700 გრ კეფირი; 100 გრ ძროხის ხორცი; 10 გრ ღორის ღვიძლი | ● ვითარდება ანემია, ნერვული სისტემის აშლილობა, ფერხდება საკვების მონელება. ❖ ვითარდება ალერგიული რეაქციები, თრომბოზი, ფილტვების შეშუპება, გულის უკმარისობა. |
| A (რეტინოლი და კაროტინი) | 0,9 | დღიური ნორმა შედგება 1/3 რეტინოლისა (ცხოველური პროდუქტები) და 2/3 კაროტინისაგან (ხილი, ბოსტნეული) | 1/10 სტაფილო; 1 ტოტი ნიახური; 100 გრ ნაღების კარაქი | ● უარესდება კანის მდგომარეობა, ირღვევა სასქესო ორგანოების ფუნქციები, იზრდება კიბოთი დაავადების რისკი. ❖ კანი უხეშდება, იწყება თავის ტკივილი, დიდდება ღვიძლი, ფეხმძიმე ქალს შეიძლება დაუზიანდეს ნაყოფი. |
| E | 15 | ითქვიფება ცხოველურ ცხიმებში, სიჭარბე ხელს უშლის K ვიტამინის ათვისებას | 100 გრ კედრის ნაყოფი; 50 გრ ნუში; 2 კოვზი მზესუმზირის ზეთი | ● იწვევს ქრონიკულ დაღლილობას, იზრდება კუნთოვანი სისტემის დაავადების რისკი. ❖ შეიძლება გამოიწვიოს პირღებინება, არტერიული წნევის მომატება, ბუშტუკების გაჩენა ენასა და ტუჩებზე. |
| D | 0,01 | კალიუმთან ერთად ამაგრებს ძვლებს | 1/2 ჭიქა რძე; 10 გრ ხაჭო; 450 გრ ზღვის ქორჭილა | ● ძვლები შეიძლება განილიოს, ახალშობილებს შეიძლება განუვითარდეთ რაქიტი. ❖ ქვეითდება მადა, ჩნდება სისუსტის განცდა, შფოთვა, იმატებს არტერიული წნევა. |
| K | 0,12 | K ვიტამინს ნაწლავები ცხიმებთან ერთად ითვისებს | 200 გრ გოგრის თესლი; 150 გრ ოხრახუში; 150 გრ ისპანახი | ● შეიძლება განვითარდეს ჰემაროი. ❖ იზრდება სისხლის შედედების კოეფიციენტი და შეიძლება წარმოიქმნას თრომბოზი. |

## ქოლეცისტიტი, მისთვის დამახასითებელი ნიშნები, კვების პრობლემა და რა ეკრძალებათ ამ დაავადებით დასნებოვნებულ ადამიანებს

*ნაღვლის ბუშტის ანთება (ქოლეცისტიტი) წარმოდგენილია ორი სახით — მწვავე და ქრონიკული ფორმით. მწვავე ფორმისთვის დამახსასიათებელია აშკარად გამოხატული თავისებური სიმპტომები და ამდენად იგი იოლი დასადგენია, ქრონიკული ფორმის ქოლეცისტიტი, შეიძლება წლობით იყოს ადამიანის ორგანიზმში ე.წ. „ჩუმი ნიღბის“ სახით, რომელსაც გარკვეული დროის გავლის შემდეგ წყობიდან გამოყავს მთელი საჭმლის მომნელებელი სისტემა, ღვიძლი წყვეტს თავის თავზე დაკისრებულ ფუნქციას და ძალიან ხშირ შემთხვევაში ადამიანი ავადდება ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებით. აშკარაა ვეგეტონერვოზის გამოვლენა, აღგზნებულია ნერვული სისტემა. მნიშვნელოვნად ქვეითდება საკვებზე მოთხოვნილება და მადა.*

### ქრონიკული ქოლეცისტიტისათვის დამახასიათებელია რამდენიმე ნიშანი, რომელსაც ძირითადად ყოფენ 9 ჯგუფად

**1. პირის ღრუში მწარე და მეტალისებური გემო; 2. ხშირი ბოყინი; 3. დილის გულისრევა; 4. მეტეორიზმი; 5. კუჭის მოქმედების მოშლილობა; 6. კანისა და თვალის ცილის შეყვითლება; 7. ენაზე დიდი ზომის სქელი ნადები; 8. გაღიზიანებადობა; 9. უძილობა.**

აუცილებელი არაა ერთდროულად გამოვლინდეს **ქოლეცისტიტისათვის** დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მაგრამ თუ ზემოთ ჩამოთვლილი ამ ნიშნებიდან ადამიანს გამოუვლინდება **ხუთი ან მეტი, აუცილებელია ექიმის კონსულტაცია, რათა ულტრაბგერითი გამოკვლევებით დროულად იქნეს დადგენილი ნაღვლის ბუშტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.**

**ქოლეცისტიტის** დროს პირველ რიგში საყურადღებოა კვების პრობლემა. კვება საჭიროა ცოტ-ცოტა დღეში 4-6-ჯერ. კვება დაფუძნებული უნდა იყოს ვეგეტარიანულ პრინციპებზე, სასარგებლოა **რძის პროდუქტები (რძის, არაჟნის, კარაქის გამოკლებით)** და **ბოსტნეულზე დამზადებული ბურღულეულის სუპები, უცხიმო ხორცი და თევზი, ქათამი, რძე-მჟავა პროდუქტები (ხაჭო, ნადუღი, მაწონი), ფაფეულობა, გამხმარი, კარგად გამომცხვარი და გამომშრალი თეთრი და შავი პური, მწიფე ხილი** (ტკბილი, არამჟავე), **უმი და მოხარშული ბოსტნეული და მწვანილი; წვენებიდან უკეთესია და უპირატესობა ეძლევა ბოსტნეულისა და ხილეულის წვენებს, სასარგებლოა ასევე არა მაგარი ჩაი.**



### ქოლეცისტიტით დაავადებულ პაციენტებს კატეგორიულად ეკრძალებათ:

1. ალკოჰოლური სასმელები;
2. ცხიმიანი ხორცი და თევზი;
3. ხორცისა და თევზის ბულიონები;
4. სუბპროდუქტები (ღვიძლი, ტვინი, სალა);
5. პარკოსნები;
6. სოკო;
7. ისპანახი;
8. მჟაუნა;
9. ხახვი;
10. რბილი პური;
11. შემწვარი, ცხარე, დაშაშხული პროდუქტები;
12. ცხარე;
13. ძმარი;
14. კონსერვები;
15. ნაყინი;
16. კაკაო;
17. გაზიანი სასმელები;
18. შოკოლადი;
19. კრემი.





აუცილებელია, აღინიშნოს, რომ მხოლოდ დიეტა — ეს ცოტას ნიშნავს; აუცილებელია, 4-6 კვირის განმავლობაში პაციენტი ყურადღებით უნდა იყოს და გეგმაზომიერად გამოიყენოს მცენარეული პრეპარატებით მკურნალობა, მაგრამ ფიტომასალებით მკურნალობის დროს აუცილებლად სწორად იქნეს შერჩეული მცენარეები და მასთან შესაბამისობაში მხედველობაში იქნეს მიღებული კუჭის მოქმედების ხასიათი.



# მიხეილ ცაგარელი:

# მთვარე და ჩვენი კულინარიული შესაძლებლობები თუ კვების პრიორიტეტები



*ვისთვის არის აუცილებელი ჭამის დროს სიმშვიდე და იდილია? ვის არ უყვარს ამ დროს კამათი, ვერ იტანს სადილობისას სერიოზულ თემებზე საუბარს და რატომ ამბობენ ამგვარ მამაკაცზე, რომ გზა მისი გულისკენ კუჭზე გაივლის? რისი მანიშნებელია, როცა ასეთი მამაკაცი უარს ეტყვის ქალს კარგად მომზადებულ საჭმელზე? ადამიანის კვების პროცესი რა შემთხვევაში დაემსგავსება დღესასწაულს და როდის გვაგონებს მამაკაცი სამზარეულოში მსახიობს, ანუ ვისთვის არის საჭმლის მომზადების პროცესი ერთდროულად თეატრალური წარმოდგენაც, მინი-ლექციაც და კულინარიული შედევრის პრეზენტაციაც? ვინ ითხოვს სუფრასთან ეტიკეტის დაცვას? პირად ჰოროსკოპში მთვარის რომელ ზოდიაქოში განლაგებისას წარმოადგენს დიასახლისი ოჯახისთვის ნამდვილ საგანძურს? ვისი ნახელავია საქვეყნოდ განთქმული და რა არის ის ერთადერთი, რაც არ ეხერხება? ვისთვის არის სუფრასთან თუ სამზარეულოში ინტელექტუალური ჩართვები ისეთივე მოთხოვნილება, როგორც ბუნებით ტკბობა ან თეატრსა თუ კინოში წასვლა და ვის არ უყვარს განმარტოებით ჭამა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორია ადამიანის ამა თუ იმ სახის საკვებისადმი მიდრეკილება ან ანტიპათია და კულინარიული შესაძლებლობანი მის პირად ჰოროსკოპში მთვარის სხვადასხვა ზოდიაქოში განლაგების მიხედვით.**

**— 4. პირად ჰოროსკოპში მთვარის კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანში განლაგების შემთხვევაში ადამიანს უყვარს მარტივად და გემრიელად დანაყრება.** მისთვის კვება მნიშვნელოვანი პროცესია, რომლის დროსაც დაუშვებელია აჩქარება და შფოთი, ამიტომ ფასტ-ფუდებს ის საკვებად არ მიიჩნევს და თვლის, რომ ამგვარად, შესაძლოა, შიმშილის შეგრძნება გაგიძლიერდეს და განწყობაც წაგიხდეს. თუმცა, ამავდროულად, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ჩვევები გამოჰყვა ბავშვობიდან. უნდა ითქვას ისიც, რომ **მთვარის** ამგვარი განლაგების დროს ადამიანი ინტერესით და სიამოვნებით აგემოვნებს მისთვის უცხო კერძებს რესტორანსა თუ კაფეში, ანუ იქ, სადაც იცის, რომ კერძი ვარგისია, მაგრამ, ძირითადად, ურჩევნია ოჯახის წევრებთან ერთად მშვიდად სადილობა ლამაზად გაწყობილ სუფრასთან, რასაც აუცილებლად თან უნდა ახლდეს ახლობელ ადამიანებთან გულითადი საუბარი. ნიშანდობლივია ისიც, რომ მას არ უყვარს სადილობისას კამათი და ვერ იტანს ჭამის დროს სერიოზულ თემებზე საუბარს. მათ შორის, იქნება ეს პოლიტიკა, ავადმყოფობა, ყვითელ პრესაში გამოქვეყნებული სკანდალი და ჭორი, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მსგავსი თემებით არ ინტერესდება, ანუ ამაზე შეგიძლიათ, ნებისმიერ სხვა დროს გაესაუბროთ, მაგრამ საჭმლის მირთმევისას მისთვის აუცილებელია სიმშვიდე და იდილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ადამიანების სამზარეულო ყოველთვის ხალისიანი, სანდო და მუშა საყოფაცხოვრებო ტექნიკითაა აღჭურვილი, თუმცა, ბრენდომანია არ ახასიათებთ. **ამგვარ მამაკაცზე ამბობენ, რომ გზა მათი გულისკენ კუჭზე გაივლის. იგი თვლის, რომ საჭმლის მომზადებით ქალი მამაკაცისადმი თავის სიყვარულსა და მზრუნველობას ავლენს.** თუ ასეთი მამაკაცი უარს ეტყვის ქალს მის მიერ კარგად მომზადებულ საჭმელზე, ეს მანიშნებელია იმისა, რომ უარს ამბობს თვით ამ ქალზე. ეს მისი პროტესტის გამოხატვაა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ამგვარად მამაკაცი ქალს მიანიშნებს, რომ არ უყვარს. ისიც უნდა ითქვას, რომ ჰოროსკოპში ამ პლანეტური განლაგების მქონე მამაკაცს საჭმლის კეთება არ ეხერხება. თუ მას დაავალებთ კარტოფილის გაფცქვნას, ხორცის დაჭრას ან ჭურჭლის გარეცხვას, ამას სიამოვნებით, შემოქმედებითადაც კი შეასრულებს, ოღონდ მაშინ, თუ იცის, რომ ამას ნამდვილად დააფასებენ, მოეფერებიან, შეაქებენ და თან უცხოს არავის გააგებინებენ, რათა ვინმემ არ დასცინოს.

**5. იმ ადამიანთა კვების პროცესი კი, რომელთა ჰოროსკოპშიც მთვარე ლომის ზოდიაქოშია განლაგებული, ხშირ შემთხვევაში დღესასწაულს მოგვაგონებს. უნდა ითქვას, რომ ასეთი მამაკაცი სამზარეულოში მსახიობს ემსგავსება.** თუმცა, საჭმლის კეთება დიდად არ გამოსდის, მაგრამ მუდამ აქვს ძვირადღირებული ტექნიკა და ხარისხიანი სამზარეულოს გაჯეტები, ასევე ნაკლებად მოსახერხებელი, მაგრამ განსაკუთრებულად ლამაზი და ძვირფასი ჭურჭელი. მაცივარში კი ხშირად იხილავთ დელიკატესებსა და ნახევარფაბრიკატებს, მითუმეტეს, რომ ერთ-ორ კერძს მართლაც გემრიელად მოგიმზადებთ (ძირითადად მწვადსა და კოქტეილს). მისთვის ყოველთვის საკვების მომზადება ერთდროულად თეატრალური წარმოდგენაცაა, მინი-ლექციაც და კულინარიული შედევრის პრეზენტაციაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანების სუფრის სერვირებაც და კერძებიც ყოველთვის მოდის უახლეს მოთხოვნას აკმაყოფილებს. თავადაც სუფრას მუდამ მოწესრიგებულები მიუსხდებიან და სხვებისგანაც, განსაკუთრებით სტუმრებისგან ეტიკეტის დაცვას ითხოვენ. კვების პროცესი კი მათთვის წარმოდგენაა, დღესასწაულია, განსაკუთრებული კომუნიკაციის სივრცეა, რომლის დროსაც შესაძლებელია საკუთარ თავსა და ინტერესებზე საუბარი. დანარჩენი კი დეკორაციაა. **ნიშანდობლივია, რომ ჰოროსკოპში ლომის ზოდიაქოში მთვარის განლაგების მქონე დიასახლისი ოჯახისთვის ნამდვილი საგანძურია. ასეთი ქალბატონები ტრადიციებს იცავენ და ეროვნული სამზარეულო უყვართ. ახალი კერძის რეცეპტი მათ კულინარიულ რვეულში იშვიათობაა. სამაგიეროდ, მათ მიერ მომზადებული ხაჭაპური, საცივი ანდა რომელიმე სხვა კერძი საქვეყნოდ არის განთქმული, რომ არაფერი ითქვას ნამცხვრებსა თუ ცხელ წვნიანებზე.** ერთადერთი, რაც მათ არ ეხერხებათ, სამზარეულოს კარადების უჯრების დალაგება-დასუფთავებაა. აქ კი ყოველთვის დამხმარეები ესაჭიროებათ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჰოროსკოპში ამგვარი მონაცემის მქონე ადამიანები სიამოვნებით იკვებებიან სახლის გარეთ კაფესა თუ რესტორნებში, დადიან სტუმრად და სუფრასთან საუბრობენ არამარტო კულინარიაზე, არამედ კულტურაზე, ისტორიაზე და სხვა მრავალ თემაზე. მათთვის სულიერი საკვები მშვენივრად ეთავსება ხორციელს, ამიტომაც სამზარეულოში თუ სუფრასთან ინტელექტუალური ჩართვები ისეთივე მოთხოვნილებას წარმოადგენს, როგორც ბუნებით ტკბობა ანდა კინოსა თუ თეატრში სიარული. ასეთი ადამიანები მეტად გულღია და სტუმართმოყვარენი არიან. კარგად ერკვევიან საჭმელსა და სასმელებში, კარგად უძღვებიან სუფრას და არ ეზარებათ ამა თუ იმ კერძის შეთავაზება. სტუმრობისას ცოტა ხმაურიანები არიან და გემრიელ კერძს გულწრფელად შეაფასებენ. მათ განმარტოებით ჭამა არ უყვართ და თუ სახლში მარტონი არიან, არც სუფრის სერვირებაზე და არც კერძების გალამაზება-მორთვაზე აღარ ზრუნავენ. ამ შემთხვევაში ტელევიზორთან ახლოს დივანზე ჩამომჯდარნიც მშვენივრად ისადილებენ, რის შემდეგ, შესაძლოა, დასვრილი თეფში დროებით სადმე თვალს მიაფაროს, რათა მან ხელი არ შეუშალოს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 30 იანვარი - 5 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**თუ არ დაიზარებთ და სასიკეთო ტენდენციებს გამოიყენებთ, ბიზნესსა და ფინანსურ საკითხში წარმატებას მიაღწევთ. ორაზროვან სიტუაციაში ცდუნებას არ აჰყვეთ, რადგან შეცდომებს გვერდს ვერ აუვლით და, შესაძლოა, ბევრი უსიამოვნება შეგხვდეთ. სიფრთხილე გმართებთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან კონტაქტისას, რამეთუ, შესაძლოა, არსებულ სასიყვარულო კავშირს ზიანი მიაყენოთ. მოგზაურობა კი დადებითად ჩაივლის.**

**კურო** (21.04-20.05)
**ახალ პროექტზე მუშაობა დამღლელი, მაგრამ ნაყოფიერი იქნება. საქმეებში წარმატების მისაღწევად წვრილმანს ყურადღება მიაქციეთ და ყოველი ნაბიჯი გაიაზრეთ. აქტიურმა განწყობამ, მოგზაურობა-შეხვედრებმა და სწავლამ, შესაძლოა, ძალები წაგართვათ, ამიტომ ხშირად უნდა დაისვენოთ. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას ტაქტიანობა გამოავლინეთ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან მოერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევას.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ძველ საქმეებს ადვილად დაასრულებთ და, შესაძლოა, კარგი გასამრჯელოც მიიღოთ. სამსახურში პრობლემის შემთხვევაში დაფიქრება გმართებთ იმაზე, თუ რისი შეცვლა გმართებთ. პირადი ურთიერთობის გაუმჯობესება იქნება სტიმული შემდგომი ქმედებისთვის. მოგზაურობისას ყურადღება გმართებთ, რათა არაფერი დაგეკარგოთ. ამ პერიოდში თქვენი ორგანიზმისთვის მეტად სასიკეთო იქნება სპორტული ვარჯიშები და ცეკვა. მონატრებულ მეგობრებთან შეხვედრები გაგახალისებთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ეცადეთ, წესები დაიცვათ და კანონი და მორალური ზღვარი არ გადალახოთ, რათა წლების განმავლობაში აშენებული ურთიერთობა და საქმეები არ წაახდინოთ. აზრები დროულად დაალაგეთ და სურვილებიც ჩამოაყალიბეთ, რათა მერყეობამ და ჭირვეულობამ ცხოვრება უფრო მეტად არ გაგირთულოთ. კარგი პერიოდია ხანმოკლე მოგზაურობისთვის და ახალი კავშირების დასამყარებლად. ამტანობის დაქვეითების შემთხვევაში დროულად მიაკითხეთ ექიმს და ხშირად დაისვენეთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეცადეთ, დამთმობი იყოთ და პირადი ურთიერთობებისა და საქმიანობისას წარმატების მისაღწევად დიპლომატიური ხერხები გამოიყენოთ. დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ. ერთობლივი საქმიანობა მეტ მოგებას მოგიტანთ. ემოციების კონტროლი საშუალებას მოგცემთ, ფინანსურ დანაკარგებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს თავი აარიდოთ. ოჯახში ან საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის დაძაბვისას ეცადეთ, სიტუაცია ტაქტიანად განმუხტოთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ენერგეტიკული მაჩვენებელი დაქვეითებულია, რაც შესაძლოა, მუშაობის ხარისხსა და ჯანმრთელობაზეც აისახოს. მიღებული ინფორმაციის დამუშავება გაგიჭირდებათ, რაც შესაძლოა, სამსახურში პრობლემის მიზეზი გახდეს. მიღებული ინფორმაციები გადამოწმების გარეშე არ გამოიყენოთ. მით უფრო თუ ეს პირად ან სასიყვარულო ურთიერთობას ეხება. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად ან კომპლექსური მკურნალობის დასაწყებად.**

## 30 იანვარი - 5 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**უცხოელებთან პარტნიორობის ან თანამშრომლობისთვის არახელსაყრელი პერიოდია. შესაძლოა, მათ თქვენი იდეებით ისარგებლონ და მოგება დაგაკარგვინონ. სირთულეებია მოსალოდნელი საბუთებთან და სადავო საქმეებთან დაკავშირებითაც. ეცადეთ, სახლში მეტი დრო გაატაროთ და ხშირად დაისვენოთ. ხალხმრავალ ადგილებსა და დიდ თავყრილობებს მოერიდეთ. სასიყვარულო ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ, რათა თქვენმა რჩეულმა თქვენთან არ მოიწყინოს.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ენერგია იკლებს, ამიტომ ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და ორგანიზმი არ გადაღალოთ. სახლის საქმე და ნათესავებთან ურთიერთობა ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, შინაგან კმაყოფილებას მოგგვრით. ახალ საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებით სიფრთხილე გმართებთ, რამეთუ შესაძლოა, პირობებმა არ დაგაკმაყოფილოთ და დრო ტყუილუბრალოდ დაკარგოთ. პირად ცხოვრებაში უთანხმოებისას ემოციებს ნუ აჰყვებით და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასაც ჯერ ნუ მიიღებთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**საბუთებთან მიმართებით ყურადღება გმართებთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ და მდგომარეობა არ გაიუარესოთ. სასიყვარულო პარტნიორთან თქვენი ემოციები შეიკავეთ და საკუთარი პოზიცია არგუმენტების საშუალებით დაამტკიცეთ. კარგი პერიოდია სწავლისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მომავალი გეგმებისა თუ მიზნების დასახვისთვის. ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებით და ჯანმრთელობასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ამ პერიოდში შემოსავლები, ხარჯები და მატერიალური საკითხი მეტად მნიშვნელოვანი გახდება, ამიტომ მთელ ძალისხმევას მიმართავთ ფინანსური მდგომარეობისკენ. საერთო მიზნის გამო საკუთარი სახსრებით ნუ გარისკავთ, რადგან შესაძლოა, ახლობლებმა დანაპირები ვერ შეასრულონ. საბუთებზე ხელმოწერას მოერიდეთ და ნურც დანაპირებს გასცემთ. მოგზაურობის შემთხვევაში კარგად დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახში კი ეცადეთ, ნაკლებმომთხოვნი იყოთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ერთობლივი საქმიანობის დროს შესაძლოა, არასასიამოვნო გარჩევის მომსწრე ან მონაწილე გახდეთ. ოჯახის წევრებთან და შეყვარებულთან ურთიერთობა ბევრად სასიამოვნო გახდება, თუ ერთად დაიწყებთ საცხოვრებელი ადგილის კეთილმოწყობას. მოგზაურობა-გადაადგილებების რიცხვი შეამცირეთ და ეცადეთ, აუცილებელი საჭიროების გარეშე სამშობლო არ დატოვოთ, რათა ფსიქოსომატური მდგომარეობა არ გაიუარესოთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**დაქვეითებული ენერგია სწრაფად მოქმედების საშუალებას არ მოგცემთ. ეს პერიოდი კარგია დასვენებისთვის, გეგმაზომიერი სამედიცინო კვლევისთვის, მიმოწერისთვის, ცოდნის გასაგრძელებლად ან სამეცნიერო მოღვაწეობისთვის. ინტრიგებს არ აჰყვეთ და წყენასაც გულში ნუ ჩაიდებთ, რათა დანაკარგებს თავი აარიდოთ. ცოლქმრული და სასიყვარულო ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ბევრი სიურპრიზი გელით. შესაძლოა, ნათესავებისგან დახმარება მიიღოთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**1, 2, 4 და 5 თებერვალი**

**22 იანვარი - ახალმთვარეობა, პიკი - 00.56 საათზე;**
**5 თებერვალი - სავსემთვარეობა, პიკი - 22.31 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 30 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.16 საათზე, ჩადის 18.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.55) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 12.50 საათზე, ჩადის 31 იანვარს 03.12 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 12.25 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 09.52 საათიდან 12.55 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დანაპირები აუცილებლად უნდა შეასრულოთ. ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ. სპონტანური იმპროვიზაციისას ინტუიციას დაეყრდენით. ხელი შეეწყობა შერიგებასა და მიტევებას. კარგი დღეა საბუთების მოსაწესრიგებლად, კონტაქტის დასამყარებლად, ინტელექტუალური განვითარებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, ინტერვიუსა და რეკლამირებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, ხელშეკრულების დასადებად. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. დღის მეორე ნახევრიდან არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება, მთების დალაშქვრა. მოიმატებს დაცინვის, ინტრიგების, ქურდობის, ჭორების გავრცელების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ყელი, მხრები, ხელები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, აკვამარინი, ბერილი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 31 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.15 საათზე, ჩადის 18.15 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 13.25 საათზე, ჩადის 1 თებერვალს 04.18 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 12.47 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს იმატებს სიტყვის ძალა, ამიტომ გამონათქვამები აკონტროლეთ. ყოველდღიური საქმის შესრულებისას ყურადღებას ნუ მოადუნებთ. ხიბლი და მიმზიდველობა იმატებს. მოერიდეთ უჰაერო სივრცეებსა და სიმძიმის აწევას. კარგი დღეა საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, საბანკო ოპერაციებისთვის, ინტერვიუებისთვის, რეკლამირებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, ხელშეკრულების დასადებად, მშენებლობისთვის, ავიამოგზაურობისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება, საიდუმლო ინფორმაციის გამხელა. მაღალია გაჭორვის, ქურდობის, მოტყუების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, სერდოლიკი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 1 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.14 საათზე, ჩადის 18.16 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 14.06 საათზე, ჩადის 2 თებერვალს 05.20 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 13.18 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.58 საათიდან 23.27 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ეცადეთ, გამოიყენოთ დღევანდელი შესაძლებლობები. კარგი დღეა საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, რეკლამისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, მიმოწერისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფი ქმედებები, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება. მოერიდეთ უჰაერო სივრცეში ყოფნას, სიმძიმის აწევას. მაღალია ქურდობის, ჭორაობის, დაცინვის, ინტრიგების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ციტრინი, ნეფრიტი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 2 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.13 საათზე, ჩადის 18.17 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (00.27) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 14.55 საათზე, ჩადის 3 თებერვალს 06.17 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.03 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს, ტრადიციის დაცვას, კულინარიულ საქმიანობას. ურთიერთობისას მოერიდეთ ემოციურობას, კამათს, საქმის გარჩევას, ეჭვიანობას. კარგი დღეა კბილების სამკურნალოდ, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ვაჭრობისთვის, ცხოველების, ანტიკვარული ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მალაქიტი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 3 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.12 საათზე, ჩადის 18.18 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 15.50 საათზე, ჩადის 4 თებერვალს 07.06 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 15.02 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ყურადღება გაამახვილეთ გადაუდებელ საქმეებზე. ემოციები, ეჭვიანობა გააკონტროლეთ. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა საოჯახოსანათესაო ურთიერთობებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, სველი წესით დასუფთავებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ცხოველების შესაძენად, ვაჭრობისთვის. შესაძლებელია ურთიერთობის გაუმჯობესება, შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, მალაქიტი, მთვარის ქვა. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 4 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.11 საათზე, ჩადის 18.20 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.55) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 16.50 საათზე, ჩადის 5 თებერვალს 07.47 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 16.13 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.19 საათიდან 12.55 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ემოციები აკონტროლეთ, პროვოკაციებს არ აჰყვეთ. ცუდი აზრებიც მოიშორეთ და ოპტიმისტურად განეწყვეთ. ინტუიციას დაეყრდენით. მოერიდეთ გადაღლას, სიმძიმეების აწევას, ნერვიულობას. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, თანამდებობის დასაკავებლად, იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, მშენებლობისთვის, მხედველობის სამკურნალოდ. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება. ძველ საქმეებზე დროს ნუ დახარჯავთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვათა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, ზურმუხტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 5 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.09 საათზე, ჩადის 18.21 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 17.53 საათზე, ჩადის 6 თებერვალს 08.22 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 17.29 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 22.31 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული ენერგიების დღეა, რაც განაპირობებს აგრესიულ-დეპრესიულ გამოვლენას, ტრავმებსა და ავარიებს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს, რაც ყველასგან ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს, წინდახედულებას. არ არის სასურველი ქორწინება, მცენარის დარგვა-გადარგვა, ხელშეკრულების დადება, პრეტენზიების გამოვლენა, სესხის გაცემა ან აღება, ბინის შეცვლა. სასიკეთოა ლოცვა, მიტევება, ითხოვეთ შენდობა. კარგი დღეა დასვენებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვათა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** გიშერი, ბრილიანტი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



30 იანვარი – ხსენება ღირსისა ანტონი დიდისა



3 თებერვალი – ხსენება მაქსიმე ბერძენისა

✝ 30 იანვარი. ორშაბათი. **ღირსისა და ღმერთშემოსილისა ანტონი დიდისა, მეგვიპტელისა;** მოწამეთა იუნილასი და ტურვონისა; კეთილმსახურისა მეფისა თეოდოსი დიდისა, წარმომავლობით იბერიელისა.

✝ 31 იანვარი. სამშაბათი. **მიცვალება წმიდა მეფე თამარისა;** ათანასესი და კირილესი, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა; ღირსისა ეფრემ მცირისა, ფილოსოფოსისა; ღირსისა ალექსი მღვდელმონაზონისა; ღირსისა მარკიანე კვირინელისა; მოწამისა თეოდულე ანაზარბელისა.

✝ 1 თებერვალი. ოთხშაბათი. **ღირსისა მაკარი დიდისა, მეგვიპტელისა; ღირსისა ანტონი მესვეტისა, მარტყოფელისა, სასწაულმოქმედისა;** მარკოზ ევგენიკოსისა, ეფესელი მთავარეპისკოპოსისა; ქალწულმოწამისა ევფრასია ნიკომიდიელისა; ღირსისა მაკარი ალექსანდრიელისა, რომაელისა, ქალაქელისა; არსენისა, კერკირელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა ამბა ანტონისა, რომელსა ერქვა რავახ; გრიგოლ ღმრთისმეტყველის წმიდათა ნაწილთა აღმოყვანება ნაზიანზიდან კონსტანტინოპოლს; **ხსენება ნიკეაში მომხდარი უდიდესი სასწაულისა, როდესაც ბასილი დიდმა ლოცვით გააღო კათოლიკე ეკლესიის კარი და გადასცა ეკლესია მართლმადიდებლებს.**

✝ 2 თებერვალი. ხუთშაბათი. **ღირსისა და ღმერთშემოსილისა ექვთიმე დიდისა; ღირსისა ექვთიმე აღმსარებელისა (კერესელიძე);** მოწამეთა: ბასუსი, ევსევისა, ევტუქისა და ვასილიდოსი; მოწამე მამათა: ინასი, რიმასი და პინასი; მართლისა პეტრე მეზვერეყოფილისა; კეთილმსახურისა მეფისა ლეონ დიდისა, მაკელისად წოდებულისა.

✝ 3 თებერვალი. პარასკევი. **ღირსისა მაქსიმე აღმსარებელისა;** მოწამისა ნეოფიტესი, რომელი იყო ნიკია ქალაქით ბითვინიისა; მოწამეთა: ევგენი ტრაპეზუნტელისა და მის თანა უალერიანესი, კანდიდოსი და აკვილასი; ქალწულმოწამისა აგნია რომაელისა.

✝ 4 თებერვალი. შაბათი. მოციქულისა 70-თაგანისა ტიმოთესი; ღირსმოწამისა ანასტასი სპარსისა; მოწამეთა: მანუელ, გიორგი, პეტრე და ლეონტი ეპისკოპოსთა, სიონი, გაბრიელ, იოანე, ლეონტი და პაროდი ხუცესთა და სხვათა 368-თა.

✝ 5 თებერვალი. კვირა. **მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე.** კლიმენტი ანკვირელი ეპისკოპოსისა და მოწამისა აგათანგელოზისა; ღირსისა მავსიმე ასურისა; ღირსისა სალამან მდუმარისა; პავლინე მოწყალისა, ნოლანელი ეპისკოპოსისა; ხსენება წმიდათა მამათა, რომელნი შეიკრიბნენ მე-6 მსოფლიო კრებაზე; ღირსისა ევსევი ასურისა; ორთა მოწამეთა კვიზიკელთა; აქოლე თესალონიკელი ეპისკოპოსისა.


ლამარა თოდუა საგვარეულო წამლებითა და მალამოებით 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს:

ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას (სწრაფად, თანაც ლაქებისა და ნაოჭების გარეშე), თმის ბუდობრივ ცვენას, დატილიანებას, დისბაქტერიოზს, მოგაშორებთ კანზე გაჩენილ ლაქებსა და ნაწიბურებს, მოგირჩენთ ნაწოლებს, დაჩირქებულ ჭრილობებს, ბუასილს, სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, მოგაშორებთ არასასიამოვნო სუნსა და ოფლიანობას ფეხებიდან, სპეციალური ნილბებით გაგისწორებთ ნაოჭებს და გაგიქრობთ ჩირქოვან გამონაყარს სახის კანზე. მისი წამლების მეშვეობით ღვიძლი, ნაღველი და მთლიანად ორგანიზმი იწმინდება ტოქსინებისა და შლაკებისგან.

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52

თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93    598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. მიტელშპილი; 7. ამნისტია; 11. გაუდი; 12. სექსოლოგია; 13. რაფსოდია; 14. ვანგა; 15. ეპითელიუმი; 20. ნიაგარა; 21. ჰიტი; 23. რე; 24. კონტრიბუცია; 25. ყივილი; 28. ვაფლი; 30. პიკოლო; 31. ვიზა; 33. რესურსი; 34. რეა; 35. მაცა; 37. მედიჩი; 40. დღე; 41. დიროლი; 44. ტიკი; 46. ნოე; 47. მანტისა; 48. პაბი; 50. პანამა; 51. ხარჯი; 52. ტო; 53. არამისი; 57. ტალღა; 58. პეპია; 61. ბეცი; 63. ადინამია; 64. ტაბულა; 66. გორდა; 67. დიკლო; 68. სონატინა; 69. ოფელია.

**შვეულად:** 1. მასნე; 2. ტაქტი; 3. ლეონი; 4. პეონი; 5. იგავი; 6. კუინჯი; 7. აირანი; 8. ნაფნაფი; 9. სტომაქი; 10. ირიბარი; 16. პრომილე; 17. თუტმოსი; 18. ლუიდორი; 19. უსურვაზი; 21. ჰავა; 22. ტაფტა; 25. ყირა; 26. ვისტი; 27. ლარგო; 29. ხიდი; 32. ზადი; 35. მექა; 36. ცინი; 37. მამბა; 38. დანია; 39. ჩვილი; 41. დეპო; 42. რენიე; 43. ლამბი; 44. ტახი; 45. კარნე; 48. პიტი; 49. ბალთა; 52. ტატუ; 54. როდეო; 55. მანია; 56. სიმდი; 58. პრადა; 59. პოლკა; 60. აპნოე; 61. ბაგა; 62. ცერი; 64. ტაო; 65. ბზე.

სანტიმეტრიკაფელინიაგარაკიკოლაფსიტიტალიონი
ნორმანებიერისკალაჰარისიმონიავალუარაზარალი

| მეტრის მეასედი | კედელზე გასაკრავი ფილები | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | ქაჯანას მამა (ლიტ.) | არჩვი | შურისძიება თავისი ძალით დანაშაულის ფარდი |
|---|---|---|---|---|---|

| ფერმწერი რაფაელ ... | დაბადების მოწმობა | იტალიელი რეჟისორი | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | გონების დაკარგვა | ყვავილი | ქალაქი საფრანგეთში |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 7. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 11. ესპანელი არქიტექტორი; 12. მოძღვრება სექსის შესახებ; 13. ინსტრუმენტალური ნაწარმოები ხალხური მუსიკისა და ცეკვების თემებზე; 14. ბულგარელი ნათელმხილველი; 15. ქსოვილი — ფარავს ადამიანისა და ცხოველის სხეულის ზედაპირს; 20. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 21. სეზონის მოდური სიმღერა; 23. მეორე ნოტი; 24. ფულადი გადასახადი, რომელსაც აკისრებს გამარჯვებული მხარე დამარცხებულს; 25. მამლის ხმიანობა; 28. მსუბუქი ნამცხვარი; 30. პატარა ფლეიტა; 31. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა; 33. ფულადი სახსრები; 34. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 35. ებრაელთა ხმიადი; 37. იტალიელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე ლორენცო ... („ბრწყინვალე"); 40. ფილმი „... უკანასკნელი, ... პირველი). 41. ერთგვარი სალექი რეზინი; 44. ტყავის ღვინის პარკი; 46. ბიბლიური პერსონაჟი; 47. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 48. ინგლისური ლუდხანა; 50. ერთგვარი ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი; 51. ის, რაც იხარჯება; 52. ბიჭო! — თბილისური ჟარგონი; 53. ა. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 57. ზვირთი; 58. თამროს მამა („გლახის ნაამბობი"); 61. ახლომხედველი ადამიანი; 63. ძალღონის გამოცლა; 64. გამრავლების ცხრილი; 66. თორაძის ბალეტი; 67. სოფელი ახმეტის რაიონში; 68. მცირე სონატა; 69. ჰამლეტის სატრფო.

შვეულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი; 2. მეტრული მუსიკალური ერთეული; 3. იტალიელი რეჟისორი; 4. ტყის ყაყაჩო, იორდასალამი; 5. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 6. რუსი მხატვარი; 7. მაწვნის მსგავსი რძის პროდუქტი; 8. ერთ-ერთი გოჭი „სამი გოჭიდან" (ს. მიხალკოვი); 9. კუჭი, მუცელი (ძვ.); 10. ესპანელი ექსფეხბურთელი; 16. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 17. ეგვიპტის ფარაონთა სახელი; 18. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 19. ველური ვაზი, კრიკინა; 21. კლიმატი; 22. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი; 25. ხელებზე და თავზე დაყრდნობით დგომა; 26. ბანქოს ერთგვარი თამაში; 27. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 29. ნაგებობა მდინარეზე; 32. ნაკლი, წუნი; 35. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 36. ჩინეთის იმპერატორთა დინასტია; 37. გველის ნაირსახეობა; 38. ევროპის სახელმწიფო; 39. ახალშობილი, თოთო ბავშვი; 41. ლოკომოტივებისა და ვაგონების სადგომი; 42. ფრანგი პოეტი; 43. იგივეა, რაც ბლანდი; 44. გარეული ღორი; 45. ფრანგი რეჟისორი; 48. ჰოლივუდის მსახიობი ბრედ ...; 49. სარტყლის შესაკრავი; 52. სვირინგი; 54. კოვბოების შოუ; 55. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი; 56. ოსური ცეკვა; 58. ამერიკელი დიზაინერი; 59. ჩქარტემპიანი საბალო ცეკვა; 60. სუნთქვის დროებითი შეჩერება; 61. ახალი ვენახი; 62. დიდი თითი; 64. მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; 65. პურეულის ნამჯის ნალეწი.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე

| ჩრდილოეთ გერმანული ტომები | „... წყლული გაჩნდეს" | უდაბნო აფრიკაში | საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა | ფრანგ მეფეთა დინასტია | კარის რკინის საკეტი | სპორტული შეჯიბრი მანქანებით |
|---|---|---|---|---|---|---|

| რისამე დაწესებული რაოდენობა | ლაღი, უზრუნველი | დანაყოფებიანი სახაზავი ხელსაწყოებში | ამერიკელი მსახიობი მამაკაცი | ქართველი მსახიობი მამაკაცი | მდინარე საფრანგეთში | ქონებრივი დანაკლისი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 30 იანვარი – 5 თებერვალი №6 (1470)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


